

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თ. ქუნძულია

საგანგებო სიტუაციების
მართვა



დამტკიცებულია სახელმწიფო
სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ. 17.03.2010, ოქმი №2

თბილისი
2010

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგენილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ახალი პროგრამის შესაბამისად, რომლის მიზანია სრულყოფილი სწავლების განხორციელება, როგორც კომერციულ, ისე სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში.

სახელმძღვანელოში განხილულია სტიქიური უბედურებების, საწარმოო აგარიებისა და კატასტროფების სახეობები, მოცემულია მათი საერთო დახასიათება და მათგან დაცვის ყველა საშუალება, დაზიანების კერაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება და უსაფრთხოების მოთხოვნები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამით მოსწავლე სტუდენტებისათვის, აგრეთვე ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისათვის. მისი გამოყენება შეუძლიათ ტექნიკური დარგის მუშაობსა და ყველა დაინტერესებულ მკითხველს.

რეცენზენტი სრული პროფესორი უ. ზეიადაძე

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2010

ISBN 978-9941-14-808-8

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოიცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

შესაგალი

საქართველომ თავისი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ბევრ სულიერ და მატერიალურ ღირებულებასთან ერთად, ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაკარგა, ხოლო რაც შეინარჩუნა, ისიც მნიშვნელოვანი სისხლისლვრისა და უამრავი მსხვერპლის ფასად.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, წინსვლისა და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა, სამხედრო ძლიერებასთან ერთად, ქვეყნის საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ერთიანი სისტემის ორგანიზება და სრულყოფა.

ამის გამო, ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით აქტუალურია მოსახლეობისა და ეკონომიკური მეურნეობის ობიექტების დაცვის უზრუნველყოფა როგორც მოწინააღმდეგის აგრესისაგან, ასევე მშვიდობიანობის პერიოდში სტიქიითა და ავარიებით გამოწვეული საფრთხისაგან.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მსოფლიოში დიდი რაოდენობითაა დაგროვილი მასობრივი განადგურების იარაღი, აგრეთვე თავდასხმის თანამედროვე სხვა საშუალებები, ამასთან, მოსალოდნელია ჩვენი ქვეყნის ჩაბმა ლოკალურ თუ გლობალურ ომებში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განტურიცებას.

ასეთ ვითარებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისა და ეკონომიკური მეურნეობის ობიექტების მომზადებას სტიქიური უბედურებებისა და მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დასაცავად, რომლის საფუძველია მოსახლეობას შევასწავლოთ შესაბამისი დაცვის ღონისძიებები, მეცნიერულად განისაზღვროს ეკონომიკური მეურნეობის წარმოების ყველაზე ოპტიმალური დარგების ორგანიზაცია, სრულყოფილად შესწავლილ და განსაზღვრულ იქნეს დაზიანების კერის სალიკვიდაციო ღონისძიებები.

ამის გამო, საგანგებო სიტუაციების მართვა გამოცხადდა საყოველთაო-სახალხო ღონისძიებად. თავდაცვითი ღონისძიებები უნდა იცოდეს ყველა მოქალაქემ..

მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარება იძლევა ორ საპირისპირო შედეგს. ერთი მხრივ, არაჩვეულებრივად განვითარდა ავარიებისა და სტიქიური უბედურებების პროგნოზირების, გაფრთხილების, მათი შედეგების სალიკვიდაციო საშუალებები და ხერხები, ხოლო მეორე მხრივ ასევე ძლიერ გადიდდა ავარიებისა და კატასტროფების მასშტაბები ცალკეული ენერგეტიკული კომპლექსების ენერგიის უდიდესი კონცენტრაციის, მოძრაობის სიჩქარის გაზრდისა და მრავალი სხვა მიზეზის შედეგად.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობას ყოველწლიურად დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს ბუნებრივი სტიქიური უბედურებები. მარტო უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა 6 — 9 ბალი სიმძლავრის 20-მდე მიწისძვრა, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო მცირე სიმძლავრის მიწისძვრებზე.

თავისი ტრაგიული შედეგებით გამორჩეული იყო 1991 წლის 29 აპრილს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი მიწისძვრა, რომელმაც შეიინირა 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე და გამოიწვია მილიონობით საბჭოთა მანეთის მატერიალური ზარალი. დაინგრა ქალაქები: საჩხერე, ონი, ამბროლაური, დაბა ჯვარი, ათეულობით სოფელი, უსახლვაროდ დარჩა ათასობით ადამიანი.

საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა მოხდა ქ. თბილისში 2001 წლის 26 აპრილს, რასაც თან მოჰყვა სახლების ნგრევა, დაბზარვა და ასეულობით ადამიანის უსახლვაროდ დარჩენა.

თითქმის ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა რეგიონს თავს ატყდება წყალდიდობები, მეწყერები, დვარცოფები და თოვლის ზვავები. ყოველივე ამას თან სდევს ადამიანებისა და პირუტყვის მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი.

სტიქიური მოვლენების გამანადგურებელი ძალა ძალიან დიდია, მაგრამ სათანადო ზომების მიღებით შესაძლებელია მისი თავიდან აცილება ან მიყენებული ზიანის შემცირება. აუცილებელია მოსახლეობის წინასწარი მომზადება ბუნებრივი ხასიათის სტიქიური უბედურებებისაგან, დიდი სანარმოო ავარიებისაგან, აგრეთვე ძლიერი ტექნოგენური კატასტროფებისაგან თავის დასაცავად და გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად. სტიქიური უბედურებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიყენებული ზარალი ბევრად ნაკლები

იქნებოდა, ხოლო ზოგჯერ შესაძლებელია სულ აგვეცილებინა თავი-დან, მოსახლეობა რომ უკეთ ყოფილიყო მომზადებული ამ მოვლენების შესახვედრად, მოსახლეობას რომ უკეთ სცოდნოდა მოქმედების წესები მათი წარმოქმნის შემთხვევაში.

სტიქიური უბედურება არ ემორჩილება სახელმწიფო საზღვრებს. იგი ხშირ შემთხვევაში ვრცელდება მთელ რიგ მოსაზღვრე ქვეყნებში და მისი სწრაფი ლიკვიდაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველმხრივ ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას. სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციოდ ხშირად საჭიროა მრავალი ქვეყნის ძალისხმევის გაერთიანება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც მსოფლიოში დიდი რაოდენობითაა დაგროვილი მასობრივი განადგურებისა და თავდასხმის სხვა საშუალებები, ამავე დროს, მოსალოდნელია ჩვენი ქვეყნის ჩართვა ლოკალურ თუ გლობალურ საომარ მოქმედებებში, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება საგანგებო სიტუაციების მართვასა და სამოქალაქო თავდაცვის განმტკიცებას, მოსახლეობისა და ეკონომიკური მეურნეობის ობიექტების დაცვის დონის ამაღლებას.

ასეთ ვითარებაში, უპირველესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისა და ეკონომიკური ობიექტების მომზადებას სტიქიური უბედურებებისა და მასობრივი განადგურების იარაღისაგან დასაცავად, რომლის საფუძველია შევასწავლოთ ქვეყნის მოსახლეობას მოსალოდნელი საშიშროებებისაგან დაცვის ღონისძიებები, დაზიანების კერის სალიკვიდაციო ღონისძიებები.

სწორედ, ამ საკითხების განხილვას, დამუშავებასა და შესწავლას ემსახურება საგანგებო „საგანგებო სიტუაციების მართვა“. ყოველივე ეს საკითხები უნდა გავითვალისწინოთ სამეურნეო ობიექტებზე სამაშველო სამუშაოების ჩატარების დროს.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის საზოგადოები

1.1. საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები

საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები მოცულობით, შინაარსითა და სირთულით მრავალფეროვანია. მისი ძირითადი ამოცანებია: 1. მოსახლეობის დაცვა სტიქიური უბედურებების, ავარიებისა და კატასტროფებისაგან, აგრეთვე ომიანობის პერიოდში; 2. მაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება, დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა; 3. ეკონომიკური ობიექტებისა და დარგების მდგრადობის ამაღლება; 4. შინაური ცხოველების, კულტურული მცენარეების, სურსათის, წყალსაცავებისა და სასმელი წყლით მომმარაგებელი სისტემის დაცვა რადიაქტიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დაზიანებისაგან; 5. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის ძალების შექმნა, მათი აღჭურვა და მუდმივ მზადყოფნაში ყოლა; 6. მოსახლეობის საყოველთაო აუცილებელი სწავლება სტიქიური უბედურებების, ავარიებისა და კატასტროფებისაგან თავდაცვისათვის, ასევე მოქმედება მოწინააღმდეგის თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციისათვის; 7. მართვის პუნქტების, შეტყობინებისა და კავშირგაბმულობის სისტემებისა და საშუალებების შექმნა და მათი მუდმივი მზადყოფნა, მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხის შემთხვევაში.

1.2. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია

საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მიზეზია საშიში ბუნებრივი მოვლენა, ავარია ან სახიფათო ტექნოგენური შემთხვევა; ფართოდ გავრცელებული ადამიანის ინფექციური დაავადებები; ცხოველებისა და მცენარეების საკარანტინო მავნებლები, აგრეთვე დაზიანების თანამედროვე საშუალებათა გამოყენება, რის შედეგადაც წარმოიქმნა

ან შეიძლება წარმოიქმნას საგანგებო სიტუაცია.

საგანგებო სიტუაცია არის მდგომარეობა, როდესაც ობიექტზე, გარკვეულ ტერიტორიაზე ან აკვატორიაში საგანგებო სიტუაციის მიზეზის წარმოქმნის გამო იღვევა ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმალური პირობები, საფრთხე ექმნება მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე ზარალდება მოსახლეობა, ეკონომიკის ობიექტი და ბუნებრივი გარემო. საგანგებო სიტუაციის შესახებ მონაცემების ერთობლიობა ახასიათებს საგანგებო ვითარებას, რომელიც თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს: რადიაციული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, სახანძრო, საინჟინრო ან კომბინირებული (როდესაც ორი ან რამდენიმე საგანგებო ვითარება ერთდროულად იქმნება).

ავარია არის ტექნოლოგიური მიზეზებითა და გარე შემთხვევითი ხასიათის ზემოქმედებათა შედეგად გამოწვეული საგანგებო შემთხვევა, რომელსაც თან სდევს ნაგებობებისა და ტექნიკურ მოწყობილობათა დაზიანება, მწყობრიდან გამოსვლა ან ნგრევა. საწარმოო ან სატრანსპორტო კატასტროფა არის ავარია, რომლის შედეგად ადგილი აქვს ადამიანთა მრავალრიცხოვან მცხვერპლს, მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და სხვა მძიმე შედეგებს.

ეკოლოგიური უბედურება არის ხმელეთის, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ბიოსფეროს ცვლილებანი, გამოწვეული ანთროპოგენური ან პოლიტიკურ-დივერსიული ხასიათის ფაქტორების ზემოქმედებით, რომელიც გამოიხატება ამ ცვლილებების მკვეთრ და უარყოფით გავლენაში ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მის სულიერ სფეროზე, ეკონომიკასა და გენეტიკურ ფონდზე.

მასშტაბებისა და შედეგების სიმძიმის მიხედვით საგანგებო სიტუაცია შეიძლება იყოს: ლოკალური, საობიექტო, ადგილობრივი, რეგიონული, ნაციონალური და გლობალური.

ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაცია არის საშიში ბუნებრივი მოვლენა, ანუ სტიქიური უბედურება, რომელიც წარმოშობის ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს: გეოფიზიკური (მიწისძვრა, ვულკანი); გეოლოგიური (მეწყერი, სელური ნაკადი, ზვავი, ლვარცოფი, ეროზია, ქვათაცვენა, მტვრის ქარიშხალი); მეტეოროლოგიური (ქარიშხალი, შტორმი, გრიგალი, ციკლონი, ქარბორბალა — ტორ-

ნადო, მსხვილი სეტყვა, ძლიერი კოკისპირული წვიმა, დიდთოვლიანობა, ძლიერი ყინვა, ძლიერი სიცხე; საზღვაო-ჰიდროლოგიური (ტაიფუნი, ძლიერი ღელვა, ზღვის დონის ძლიერი რყევა, წყალდიდობა, დატბორვა, წყლის ნიაღვარი); ბუნებრივი ხანძრები (ტყის ხანძარი, ტორფის ხანძარი, ხანძარი პურის ყანაში, მინდვრის ხანძარი).

გარდა ამისა, ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციებს მიეკუთვნება: ბიოლოგიურ-სოციალური, ეკოლოგიური, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს მდგომარეობის ცვლილებით გამონვეული, სამხედრო ხასიათისა და პოლიტიკურ-დივერსიული ხასიათის საგანგებო სიტუაციები.

ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაცია არის ტექნოსფეროში მომხდარი ავარია ან კატასტროფა, რომელსაც თან ახლავს ადამიანის მსხვერპლი და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობის საშიშროება, აგრეთვე მატერიალური ფასეულობებისა და მიმდებარე გარემოს პირდაპირი ან არაპირდაპირი დაზიანება. ესენია: სატრანსპორტო ავარიები და კატასტროფები, ხანძრები და აფეთქებები, ავარიები ძლიერმომქმედი შეამიანი ნივთიერებების მწარმოებელ, გადამამუშავებელ და შემნახველ ობიექტებზე, ავარიები რადიაქტიკური ნივთიერებების გამოფრქვევით, ავარიები ბიოლოგიურად სახიფათო ობიექტებზე, ნაგებობების უეცარი ნგრევა, ელექტროენერგეტიკული და სასიცოცხლო უზრუნველყოფის კომუნალური სისტემების ავარიები, ჰიდროდინამიკური ავარიები.

2. პუნებრივი ხასიათის სტიმული უბედურებები

2.1. სტიქიური უბედურებების, საწარმოო ავარიებისა და კატასტროფების სახეობანი

სტიქიური უბედურება არის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც წარმოიქმნება, როგორც წესი, უეცრად და იწვევს მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური რითმის მკვეთრ დარღვევას, ადამიანებისა და

ცხოველების მსხვერპლს, მატერიალურ ფასეულობათა ნგრევასა და განადგურებას.

ყოველ სტიქიურ უბედურებას აქვს თავისი ფიზიკური არსი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისება, გამომწვევი მიზეზი, ხასიათი და განვითარების სტადია, გარემოზე ზემოქმედების უნარი. გარდა ამისა, მიუხედავად ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნებისა, მათთვის დამახასიათებელია საერთო თვისებები — დიდი სივრცობრივი გავრცელება, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, ადამიანზე დიდი ფსიქოლოგიური ზემოქმედება და სხვ.

სტიქიური უბედურებების ხასიათისა და წარმოქმნის მიზეზების ცოდნა საშუალებას იძლევა წინასწარ მიღებული პროფილაქტიკური ზომებით თავიდან ავიცილოთ ან შევასუსტოთ მათი დამანგრეველი ზემოქმედება, უფრო კონკრეტულად, გააზრებულად ვაწარმოოთ მათი შედეგების ლიკვიდაცია, განვსაზღვროთ მოსახლეობის მოქმედების სწორი გზები.

ავარია არის შენობის, ნაგებობის, მატარებლის, გემის, თვითმფრინავის, ავტომანქანის, მოწყობილობა-დანადგარის გაუთვალისწინებელი გამოსვლა მწყობრიდან, დაზიანება, დანგრევა და სხვ. ავარიამ შესაძლებელია გამოიწვიოს კატასტროფა ტრაგიკული, გამოუსწორებელი შედეგებით.

კატასტროფა არის განადგურება, დაღუპვა, სამხედრო დამარცხება, დანგრევა, შემაძრნებელი მოულოდნელი უბედურება, რომელსაც თან ახლავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა.

1974 წლის შემდეგ, საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებით ტერმინი კატასტროფა გულისხმობს: სტიქიურ უბედურებებს, სამხედრო კონფლიქტებს, მსხვილ სამრეწველო ავარიებსა და ეპიდემიებს, რომლებიც თავისთავად წარმოქმნიან საშიშროებებს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

2.2. სტიქიური უბედურებების, ავარიებისა და კატასტროფების შედეგების ლიკვიდაცია

სტიქიური უბედურებებისა და ავარიების შედეგების ლიკვი-

დაციის ამოცანები არ შემოიფარგლება მხოლოდ უკვე მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელი პასიური ზომების მიღებით, არამედ მოიცავს მათთან აქტიურ ბრძოლასაც, მათი წარმოქმნის პროგნოზებას, პროფილაქტიკას, ავარიის თავიდან აცილებას, ლოკალიზაციას ან ლიკვიდაციას მისი წარმოქმნისთანავე.

ამის შესაბამისად არსებობს კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და ავარიების შედეგების ლიკვიდაციის ორგანიზაციული და საინჟინრო ღონისძიებათა ექვსი ჯგუფი:

I ჯგუფი — სტიქიურ უბედურებებათა და ავარიათა პროგნოზირება, მზის აქტიურ მოვლენათა ციკლურობის კანონზომიერების, კოსმოსური, მეტეოროლოგიური, სეისმური, ვულკანური, ბიოლოგიური და სხვა სახის პროგნოზირების სტატისტიკური მონაცემების გაანგარიშებათა ჩათვლით;

II ჯგუფი — ბრძოლა სტიქიურ უბედურებებსა და საწარმოო ავარიებთან მოიცავს მოსალოდნელი უბედურებების შესახებ მოსახლეობის გაფრთხილებასა და შემდგომი ნგრევისა და დანაკარგების შემცირებას;

III ჯგუფი — მაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება სტიქიური უბედურებებისა და საწარმოო ავარიების რაიონებში, ე.ი. საინჟინრო დაზვერვის ჩატარება, ნგრევის მოცულობისა და ხარისხის, მოწამლული ზონის მასშტაბის, ხანძრის გავრცელების სიჩქარისა და მიმართულების, დატბორვისა და მოწამვლის დასადგენად; იმ ობიექტებისა და დასახლებული პუნქტების გამოვლენა, რომლებსაც უშუალოდ ემუქრებათ საშიშროება. დატბორილი, მოწამლული, დამეწყრილი რაიონებიდან, ხანძრის კერებიდან, აღმოდებული და ნახევრად დანგრეული შენობა-ნაგებობებიდან ხალხისა და ცხოველების ევაკუაცია, მატერიალური ფასეულობების გამოტანა; დაშავებულებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ სამაშველო სამუშაოების ჩატარებას და შემდგომ აღდგენით სამუშაოებს; უბედურების რაიონებში საკომენდანტო რეჟიმის დაწესება საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად; მატერიალურ ფასეულობათა დაცვა, დალუპულთა ძებნა, მათი ვინაობის დადგენა და დაკრძალვა;

IV ჯგუფი — დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის მატე-

რიალური და სხვა სახის დახმარების აღმოჩენა;

V ჯგუფი — დასახლებული პუნქტების, საწარმოებისა და სხვა ობიექტების დროებითი, ხოლო შემდეგ კაპიტალური აღდგენა; ნაწილობრივ დანგრეული და მცირედ დაზიანებული შენობა-ნაგებობების, კომუნალური და ენერგეტიკული ქსელების, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღდგენა, ისტორიის, ხელოვნებისა და არქიტექტურის უნიკალური ძეგლების რესტავრაცია და კონსერვაცია, სრულიად დანგრეული და ძლიერ დაზიანებულის ნაცვლად ახალი შენობა-ნაგებობების აგება;

VI ჯგუფი — საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები სახალხო მეურნეობის ობიექტების მყარი მუშაობის უზრუნველსაყოფად და ნაგებობების მდგრადობის ასამაღლებლად სტიქიური უბედურებების, სამრეწველო ავარიებისა და კატასტროფების განმეორების შემთხვევებში; პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება შემდგომი ნგრევის თავიდან ასაცილებლად, ხალხის, მატერიალურ ფასეულობათა და ხელოვნების ნიმუშების დასაცავად.

2.3. მიწისძვრები და მათი წარმოშობის მიზეზები

ყველაზე ძლიერ დამანგრეველ სტიქიურ უბედურებას, რომელიც მოულოდნელად წარმოიქმნება და მყისიერად მოქმედებს წარმოადგენს მიწისძვრა. მას თან სდევს ადამიანების მსხვერპლი და დიდი მატერიალური ზარალი.

მიწისძვრის მოვლენის ბუნების დადგენაში დიდი როლი შეასრულა მთლიანად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კერძოდ გეოლოგისა და გეოფიზიკის განვითარებაში.

დღეს უკვე დადგენილია, რომ მიწისძვრის გამომწვევი მიზეზები მეტნილად დაკავშირებულია დედამიწის ნიაღში დრეკადი ძაბვების დაგროვებასა და მის სწრაფ განმუხტვასთან, ე.ი. პოტენციური ენერგიის მყისიერ გადასვლასთან კინეტიკურ ენერგიაში. ენერგიის დაგროვებას იწვევს ტექტონიკური პროცესები, რომლებიც აქტიურად მიმდინარეობენ დედამიწის ზოგიერთ რაიონში.

ტექტონიკური ხასიათის მიწისძვრა შეიძლება იყოს როგორც სუსტი, ასევე დამანგრევები და უძლიერესი.

მიწისძვრის წარმომშობი მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე ვულკანური პროცესები და ჩაქცევითი ან ზვავური მოვლენები, რომლებიც დედამიწის ზედაპირზე იწვევენ ლოკალურად გამოვლენილ სუსტ ბიძგებს.

მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის მიწისძვრებს და მათ მიერ დედამიწის წიაღში წარმომშობილ დრეკადი ძალების გავრცელებას, სეისმოლოგია ეწოდება. ამ დარგს სათავე დაუდო ინგლისელმა მეცნიერმა მიჩელმა XV საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც პირველად გამოაქვეყნა ნარკვევი მიწისძვრების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიწისძვრის წარმოქმნა დაკავშირებულია დედამიწის წიაღში მიმდინარე ტალღურ მოძრაობასთან.

ამის შემდეგ, XIX საუკუნის შუა წლებში ევროპაში განვითარება დაიწყო ინსტრუმენტულმა სეისმოლოგიამ. თანდათან იქმნებოდა მოვლენების სარეგისტრაციო აპარატურა და მუშავდებოდა მიწისძვრის მახასიათებელი ელემენტების განსაზღვრის მეთოდები.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ განაპირობა თანამედროვე სეისმოგრაფების შექმნა და სეისმური სადგურების მსოფლიო ქსელის ორგანიზება. ამ ქსელის მონაცემები შეიცავს ფასდაუდებელ ინფორმაციას მიწისძვრის დამახასიათებელი ელემენტების შესახებ.

ამ ელემენტებს მიეკუთვნება: მიწისძვრის ჰიპოცენტრი — ადგილი დედამიწის წიაღში, საიდანაც დასაბამი მიეცა ეპნების რღვევას; ეპიცენტრი — ჰიპოცენტრის გეგმილი დედამიწის ზედაპირზე; კერა — სასრული სიდიდის არე დედამიწის წიაღში, რომელიც პოტენციური ენერგიის სწრაფი გარდაქმნის შედეგად სითბური ენერგიის გამოყოფისა და დრეკადი ტალღების გამოსხივების წყარო ხდება; ჰიპოცენტრის კოორდინატები; დრო; კერაში — მიწისძვრის წარმოქმნის მომენტი; ეპიცენტრული დრო — ეპიცენტრში შერყევის დაწყების დრო;

მიწისძვრით გამოწვეული ზარალის ხარისხი ახასიათებს ბიძგის ინტენსივობას, რომლის უშუალო გაზომვის საშუალება არ არსებობს. შესაძლებელია მხოლოდ მისი მიახლოებითი შეფასება საზომ ერთეულებში — ბალი, დრეკადი სეისმური ტალღების ზემოქმედების

ეფექტის შესაბამისად, რისთვისაც გამოიყენება მიწისძვრის ინტენ-სივობრის განმსაზღვრელი მაკროსეისმური სკალა.

დამუშავებულია რამდენიმე სახის მაკროსეისმური სკალა: 12-ბალიანი (გამოიყენება ევროპასა და ამერიკაში) და 7-ბალიანი (გამოიყენება იაპონიაში).

განვიხილოთ მოკლედ 12-ბალიანი სკალა:

- 1 ბალი** — არ შეიგრძნობა მოსახლეობის მიერ.
- 2 ბალი** — შეიგრძნობა მოსახლეობის მხოლოდ ზოგიერთი ნაწილის მიერ, რომლებიც იმყოფებიან წყნარ მდგომარეობაში, განსაკუთრებით შენობის ზედა სართულებზე.
- 3 ბალი** — ბევრი შეიგრძნობს. შენობებში ჩამოკიდებული საგნები სუსტად ქანაობს; შეიძლება არც ჩაითვალოს მიწისძვრად.
- 4 ბალი** — უმრავლესობა შეიგრძნობს შენობებში, ხოლო ზოგიერთი — შენობის გარეთაც. ჩამოკიდებული საგნები მნიშვნელოვნად ქანაობს. ადგილიდან იძვრიან ავტომობილები. ზანზარებს შემინული კარი, წკრიალებენ ჭიქები, ხის კედლები და ჩარჩოები ტკაცუნობენ.
- 5 ბალი** — მოსახლეობის უმეტესობა შეიგრძნობს შენობის გარეთაც. მძინარენი იღვიძებენ. ჭურჭელში ჩასხმული სითხე ირხევა და ნაწილობრივ იღვრება. მცირე ზომისა და წონის მქონე საგნები ადგილიდან იძვრიან ან ყირავდებიან. შეიძლება დაიმტვრეს ჭურჭელი, გაიღოს კარი, გაჩერდეს საათის ქანქარა. ზოგჯერ ირხევა ტოტები და მთლიანად ხეები.
- 6 ბალი** — შეიგრძნობს ყველა. ბევრს მოიცავს შიში, ზოგიერთი შენობიდან გამორბის. ადამიანებს უჭირთ სიარული. მინისა და ფაიფურის ჭურჭელი იმტვრევა, სკდება ფანჯრის ზოგიერთი მინა. თაროებიდან ცვივა მცირე წონის მქონე საგნები, ხოლო კედლებიდან — სურათები. შეიძლება გადაადგილდეს ავეჯი. D კატეგორიის ქვისა და აგურის შენობების ბათქაშში ჩნდება ნაპრალები. რეკენ ეკლესიისა და სკოლის ზარები. შესამჩნევად ირხევა ხეები და ბუჩქები.
- 7 ბალი** — მოსახლეობა შეშინებულია, ძნელია ერთ ადგილზე გაჩერება. მძღოლები მოძრაობისას ამჩნევენ მანქანების რყევას. იმტვრევა ავეჯი, ზიანდება ღუმელის მიღები. ძირს ცვივა ცუდად დამაგრებული აგური, კრამიტი და ქვეები; D კატეგორიის ქვისა და აგურის ნაგებობები ზიანდება. C კატეგორიის შენობებში ჩნდება ნაპრალები.

წყალსაცავებში შეიმჩნევა ტალღები. რეკავს დიდი ზარები. ზიანდება ბეტონის სარწყავი არხები.

8 ბალი — საერთო შიშია გამეფებული, შეიმჩნევა პანიკის ნიშნები. გაძნელებულია ავტომანქანების მართვა, ცვივა ბათქაში, აგურისა და ქვის ზოგიერთი კედელი ინგრევა. იძვრის და დაბლა ცვივა ღუმელისა და ქარხნის მიღები, აგრეთვე მაღალ საყრდენებზე მოთავსებული ძეგლები, კოშკები და ავზები. ძლიერ ზიანდება D კატეგორიის შენობები. ზიანდება და ნაწილობრივ ინგრევა C კატეგორიის შენობები, ზიანდება B კატეგორიის ზოგიერთი ნაგებობა. იმტვრევა ძირმომპალი საყრდენები, ტყდება ხის ტოტები. წყაროებსა და ჭაბურღილებში შეიძლება შეიცვალოს წყლის დებიტი და მისი ტემპერატურა. სველ ნიადაგში და ციცაბო ფერდობებზე ჩრდება ბზარები.

9 ბალი — საყოველთაო შიშია. ზიანდება კარგად ნაგები შენობა-ნაგებობები. შენობის შიგნით დიდი ნგრევაა. შეინიშნება სპეციალურად დაუმაგრებელი კარკასის შენობების გადაადგილება. D კატეგორიის ქვისა და აგურის შენობები თითქმის მთლიანად ინგრევა, ძლიერ ზიანდება და ზოგჯერ მთლიანად ინგრევა C კატეგორიის შენობები; B კატეგორიის შენობები ღებულობს სერიოზულ დაზიანებას. სერიოზულად ზიანდება წყალსაცავები, სკდება წყალ-სადენის მიწისქვეშა მიღები, ნიადაგში შესამჩნევია ნაპრალები.

10 ბალი — აგურის, ქვისა და კარკასული შენობების უმრავლესობა ინგრევა ფუნდამენტებთან ერთად. ინგრევა ზოგიერთი კარგად ნაშენი ხის სახლი და ხიდი. სერიოზულად ზიანდება კაშხალები, ნავმისადგომები და ჯებირები, ჩრდება დიდი მეწყერი. არხებიდან, მდინარეებიდან და ტბებიდან ამოილვრება წყალი. მდინარეების ქვედა დინების ნაპირების გასწვრივ ამოიყრება სილა და შლამი. მსუბუქად იღუნება ლიანდაგი.

11 ბალი — აგურის, ქვისა და ხის შენობების უმეტესობა ინგრევა. ინგრევა ზოგიერთი ხიდი. ნიადაგში ჩრდება დიდი ზომის ნაპრალები. მიწისქვეშა წყალსადენის მიღები მთლიანად გამოდის მწყობრიდან. ძლიერ იღუნება ლიანდაგი.

12 ბალი — საყოველთაო ნგრევაა. ხდება მთის მასივების გადაადგილება. ზედაპირზე ჩრდება „მიწის ტალღები“, ხდება ლანდშაფტის

ხილული ცვლილებები.

გარდა ამ მაკროსეისმური სკალისა, მიწისძვრის დრეკადი ტალ-დების ენერგიის (E) შეფასებისათვის შედგენილია შესაბამისი სკალა ე.წ. რიხტერის მაგნიტუდებში (M). მიწისძვრის მაგნიტუდა წარ-მოადგენს ენერგიის საერთო რაოდენობის ზომას, რომელიც გამოსხ-ივდება სეისმური ბიძგის დროს დრეკადი ტალღის სახით.

ცნობილმა სეისმოლოგმა ბ.გუტენბერგმა დრეკად სეისმურ ენერ-გიასა და რიხტერის მაგნიტუდას შორის დაადგინა შემდეგი სახის დამოკიდებულება:

$$\lg E = 9,9 + 1,9M - 0,0024M^2,$$

სადაც E არის გამოსხივებული სეისმური ენერგია; M — რიხტერის მაგნიტუდა.

ცხრილში 2.1. მოცემულია თანაფარდობა რიხტერის მაგნიტუ-დასა და 12-ბალიან მერყალის სკალას შორის.

ცხრილი 2.1.

მიწისძვრის სიმძლავრე	მაგნიტუდა (რიხტერის სკალის მიხედვით)	ბალიანობა (მერყალის მოდერნიზირებული სკალის მიხედვით)
კატასტროფული	7.8 — 8.5	11 — 12
უძლიერესი, დიდი ნგრევით	7.0 — 7.7	10 — 11
ძლიერდამანგრეველი	6.0 — 7.0	8 — 10
საკმაოდ ძლიერი	5.3 — 6.0	7 — 8
საშუალო სიძლიერის	5.3-ზე ნაკლები	7.0-ზე ნაკლები

გეოლოგია გვასწავლის, რომ დედამიწა განუწყვეტლივ განიცდის გარდაქმნა-განვითარებას. თანამედროვე გეოფიზიკური გამოკვლე-ვებით დადგენილია, რომ გარე ფენა — დედამიწის ქერქი შედგება მაგარი კრისტალური ქანებისაგან, რომლებიც მეტწილად დაფარუ-ლია დანალექი ქანებით. სიღრმის ზრდასთან ერთად დედამიწის ნიაღში ქანების ტემპერატურა იზრდება და 70 — 100 კმ სიღრმეზე იგი აღწევს 1000 — 2000°C, რომლის დროსაც კრისტალური ქანები იწყებენ ლღობას.

ამ წერტილის ზევით მდებარე მაგარი კრისტალური ნივთიერე-ბებისაგან შემდგარ ფენას, დედამიწის ქერქის ჩართვით, ლითოს-

ფერო ეწოდება.

ამ წერტილის ქვემოთ მდებარე ლლობით დარბილებულ მანტიის ნივთიერებებისაგან შექმნილ ფენას ეწოდება ასთენოსფერო.

მიწისქვეშა ბიძგის წარმოქმნის მექანიზმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიწისძვრა დედამიწის ქერქისა და მანტიის ნივთიერების რეაქცია იმ ტექტონიკურ დაძაბულობაზე, რომელიც გროვდება დედამიწის წიაღში. ამ დროს აღინიშნება როგორც მკუმშავი, ისე გამჭიმავი ძალები. მიწისქვეშა დარტყმის წარმოქმნის არე — მიწისქვეშა კერა წარმოადგენს დედამიწის წიაღის იმ უბანს, სადაც ხდება ქანებში დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ენერგიის განტვირთვა.

გეოლოგიის თვალსაზრისით, მიწისქვეშა კერა არის რღვევათა ერთობლიობა, რომელთა გასწვრივ ხდება ქანების მასების მყისიერი გადაადგილება.

წერტილს მიწისქვეშა კერის ცენტრში პირობითად ეწოდება ჰიპოცენტრი, ხოლო მის გეგმილს დედამიწის ზედაპირზე — ეპიცენტრი.

მიწისძვრის სიმძლავრე განისაზღვრება ბალებში, რომლითაც ფასდება ეპიცენტრში შერყევის ინტენსიურობა. ინტენსიურობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სეისმური სკალა, რომელშიც რხევის ინტენსივობა შეფასებულია შენობების დაზიანების, გრუნტის ნარჩენი დეფორმაციის მასშტაბის, გამოვლენის ფორმისა და მიწისძვრის სხვა გარეგანი ფაქტორების მიხედვით.

ძირითადად გამოყენებულია თორმეტბალიანი სეისმური სკალა. გარდა ამისა მაგნიტუდებში მიწისძვრის შეფასების დროს გამოიყენება რიხტერის სკალა, რომლის მიხედვით მაქსიმალური მაგნიტუდა არის 9.

2.4. მიწისძვრის პროგნოზირება

მიწისძვრის პროგნოზირების ერთ-ერთი სახე — სეისმური დარაიონება — უკვე განიხილება როგორც საკმაოდ დასაბუთებული. სეისმური დარაიონება წარმოდგენას გვაძლევს როგორი მაქსიმალური ინტენსივობის მიწისძვრაა მოსალოდნელი მოცემულ რაი-

ონში დროის ამა თუ იმ ინტერვალში.

სეისმური დარაიონების ძირითადი მიზანია გვქონდეს სახელმძღვანელო ნორმატიული დოკუმენტი მშენებლობისათვის, რომლის მიხედვითაც უნდა წარმოებდეს სეისმურად მდგრადი ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ მიწისძვრის პროგნოზირება უაღრესად რთული ამოცანაა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა ახლა, როდესაც უკვე დაგროვდა გარკვეული სტატისტიკური მასალა ისეთი მიწისძვრებისა, რომლებიც მოხდა სპეციალური აპარატურით აღჭურვილ რაიონებში.

ყოფილ საბჭოთა კავშირში მიწისძვრის პროგნოზული სამუშაოები ფართოდ გაიშალა აშხაბადის (1948 წ.) უძლიერესი მიწისძვრის შემდეგ.

1962 წელს, მიწისძვრების პროგნოზირების მიზნით მეცნიერული კვლევის ვრცელი პროგრამა დამუშავდა იაპონიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. გარდა ამისა ყოფილ საბჭოთა კავშირში მიწისძვრების პროგნოზირებისაკენ მიმართული სამუშაოების ინტენსივობა მკვეთრად გაიზარდა 1966 წელს მომხდარი ტაშკენტის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში შემუშავებულია ვრცელი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ამ პრობლემის ყველა ასპექტის კვლევას.

განვიხილოთ ის იდეები, რომლებიც საფუძვლად უდევს მიწისძვრების პროგნოზირებას დროში.

ამ იდეებიდან ძირითადია ის, რომ ამჟამად მიწისძვრის კერაში მიმდინარე პროცესი განიხილება არა როგორც მყისიერი, კატასტროფული აქტი, არამედ პროცესი, რომელშიც მხოლოდ ფინალურ ნაწილს წარმოადგენს საკუთრივ მაგისტრალური რღვევა.

ფიზიკური მოდელების მიხედვით, მყარ სხეულზე მოდებული წევა იწვევს მიკრობზარების გაჩენას, რომლებიც შემდგომ ერთიანდებიან და ქმნიან სულ უფრო დიდ ბზარებს, ვიდრე უდიდესი ბზარი საბოლოოდ არ მიაღწევს ე.წ. გრიფიტის ბზარის ზომას. ამის შემდეგ ეს დიდი ბზარი იზრდება დაახლოებით განვით დრეკადი ტალღის გავრცელების სისწრაფით სხეულის სრულ დაშლამდე. სწორედ ამ

ე.ნ. დინამიკურ ფაზას უკავშირდება მიწისძვრის დამანგრეველი ეფექტი.

რუსმა მეცნიერებმა წამოაყენეს არამდგრადი ზვავური (სწრაფი) დაბზარვის თეორია, რომლის მიხედვით რღვევის პირველ ეტაპზე ხდება გაფანტული მიკროდაბზარვა; მეორე ეტაპი ხასიათდება გარკვეული მიმართულებით განლაგებული ბზარების ზომის სწრაფი ზრდით, რასაც მათი გარკვეული კრიტიკული კონცენტრაცია სჭირდება; მესამე — ბოლო ეტაპზე ამ დიდი ბზარების გაერთიანებით წარმოიშვება შედარებით არამდგრადი ზონა, სადაც ხორციელდება დეფორმაციის ძირითადი წანილი, ხოლო დანარჩენ მოცულობაში ხდება დრეკვადი და ბმულობების განტვირთვა. არამდგრად ზონაში ვითარდება მაგისტრალური რღვევა, რომელიც იქცევა მიწისძვრის მიზეზად.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, იაპონიაში, ჩინეთსა და აშშ-ში არსებობს თანამედროვე ხელსაწყოებით აღჭურვილი რეჟიმულ დაკვირვებათა სისტემები, რომლებიც სეისმურად ყველაზე საშიშუბნებზეა მჭიდროდ განლაგებული და ქმნიან ე.ნ. საკვლევ პოლიგონებს.

როგორც წესი, ამ პოლიგონებზე ხდება დაკვირვება სეისმურ აქტივობაზე, დედამიწის ქერქის დეფორმაციებზე, დრეკვადი ტალღების სიჩქარეთა ვარიაციებზე, ელექტრული და მაგნიტური ველების ვარიაციებზე, სპეციალურად შერჩეულ ჭებში წყლის დონის ცვალებადობაზე და მიწისქვეშა წყლებში სხვადასხვა ქიმიური ელემენტების კონცენტრაციების ცვალებადობებზე.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და მათ შორის საქართველოშიც შექმნილია მრავალი სეისმოპროგნოზული პოლიგონი. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებობს სამი ასეთი პოლიგონი: თბილისში, ენგურშესის რაიონში და ჯავახეთის ზეგანზე. მათ მუშაობას წარმართავს საცდელ-მეთოდური გეოფიზიკური ექსპედიცია.

1983 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა მიწისძვრების პროგნოზირების კავკასიის რეგიონული ცენტრი, რომელსაც ევალება კავკასიის ტერიტორიაზე მიწისძვრების პროგნოზირებისათვის საჭირო ყველა მონაცემის თავმოყრა, მანქანური დამუშავება და გრძელვადიანი

პროგნოზირების განხორციელება.

2.5. მიწისძვრები საქართველოში

კაცობრიობას ახსოვს მსოფლიოში მომხდარი მრავალი კატასტროფული მიწისძვრა, რომლებიც ისტორიულ დოკუმენტებშია აღწერილი. ყველა ეს მიწისძვრა დაკავშირებული იყო ამა თუ იმ ტექტონიკურ პროცესებთან. მათი მაგნიტუდა იყო 7 და უფრო მეტი და მათ გამოიწვიეს კიდეც დიდი ნგრევები და მატერიალური ზარალი.

1991 წლის 29 აპრილს ადგილობრივი დროით 13 საათსა და 13 ნუთხე რაჭისა და ზემო იმერეთის შესაყარზე მოხდა ძლიერი მიწისძვრა, რომლის მაგნიტუდა იყო 7.2 და მას ახასიათებდა ზედაპირული კერა. ამ მიწისძვრამ გამოიწვია მასიური ნგრევა და მოიცვარაიონული ცენტრები: საჩხერე, ონი, ამბროლაური და ჯავა. მთლიანად განადგურდა ან მნიშვნელოვნად დაზიანდა ამ რაიონებში შემავალი ათეულობით სოფელი; ჩამონგრეულმა მთის მასამ მრავალ ადგილას ჩახერგა გზები და გადაკეტა მდინარეების კალაპოტი; განვითარდა მეწყერული პროცესები და დიდ მონაკვეთზე დაინგრა გზები. საერთო მატერიალურმა ზარალმა შეადგინა 8 მილიარდი საბჭოთა მანეთი.

მიუხედავად ასეთი მასშტაბური ნგრევისა, საბედნიეროდ ადამიანთა მსხვერპლი 200-ს არ აღმატებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მიწისძვრის მომენტში მოსახლეობის დიდი ნაწილი გასული იყო მინდორში საგაზაფხულო სამუშაოების ჩასატარებლად, სკოლებში კი ამ დროს იყო გაკვეთილებს შორის შესვენება და კარგი ამინდის გამო მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი იმყოფებოდა სკოლის შენობებში.

მიწისძვრის კერა დაკავშირებული იყო გაგრა-ჯავის ცნობილ დრმა ზოლთან, რომელიც ეპიცენტრის არეში იკვეთება სხვა სუბგანედური რღვევის ზოლით და ადგენს კვანძს.

ასეთი ძლიერ-დამანგრეველი მიწისძვრა საქართველოში არ ყოფილა უკანასკნელი ორი ასეული წლის მანძილზე. ამ მიწისძვრას

თან მოჰყვა მრავალრიცხოვანი მიწისძვრის თანამდევი მიწისქვეშა ბიძგები, რომელთა შორის აღსანიშნავია 3 მაისის ამპროლაურის, აგრეთვე 15 ივნისის ჯავის სიახლოვეს მომხდარი მიწისძვრები. ამ უკანასკნელის სიმძლავრე შეადგენდა 7 — 8 ბალს მერკალის მოდერნიზებული 12-ბალიანი სკალის მიხედვით. ამ ბიძგებმა თითქმის მთლიანად დაანგრიეს რეგიონში 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრით დაზიანებული შენობები.

2001 წლის 25 აპრილს საქართველოში, და კერძოდ, თბილისში, კვლავ მოხდა საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა, თუმცა განსხვავებით 1991 წელს მომხდარი მიწისძვრებისაგან, იგი არ იყო დამანგრეველი. ამ მიწისძვრისას ძირითადად მოხდა შენობების დაზიანება.

2.6. მიწისძვრის სახეობები

მიწისძვრის ერთ-ერთი სახეობაა ვულკანური მიწისძვრა, რომელიც წარმოიქმნება ვულკანის ამოფრქვევისას. დედამიწაზე ცნობილია 522 მოქმედი ვულკანი, რომელთა 2/3 თავმოყრილია წყნარი ოკეანის ნაპირებსა და კუნძულებზე.

ვულკანის ამოფრქვევას თან სდევს დიდალი ენერგიის გამოყოფა. ამოფრქვევის წინამორბედია მიწისქვეშა გუგუნი, დარტყმები და სხვადასხვა ძალის მიწისქვეშა რყევები. ვულკანის კრატერსა და ფერდობებზე ჩნდება შზარები, საიდანაც ამოიფრქვევა მახრჩობელა აირი ან ცხელი წყალი.

მიწისძვრის ძეორე გავრცელებული სახეობაა ე.წ. ჩამონიგრევითი მიწისძვრები. ამ შემთხვევებში მიწისქვეშა წყლები გამორცხავს ქანებს, რის შედეგადაც მიწის ქვედა ფენებში წარმოიქმნება სიცარიელე. ჩამონიგრევითი მიწისძვრა წარმოიქმნება აგრეთვე მიტოვებული მაღაროების მიწისქვეშა გვირაბებში, რომლებიც დროთა განმავლობაში ჩამოინგრევა. ასეთი მიწისძვრა სუსტია, მის დროს წარმოქმნილი სეისმური ტალღები დიდ მანძილზე ვერ ვრცელდება და მათ დიდი მატერიალური ზარალი ვერ მოაქვთ.

არსებობს აგრეთვე მეტეორიტის ჩამოვარდნით ან აფეთქებით გამოწვეული მიწისძვრები. ასეთი სიტუაციები უფრო იშვიათად წარ-

მოიქმნება. ცნობილია 1900 წელს ციმბირში, ტუნგუსკის მეტეორიტის ჩამოვარდნა. ეს იყო პატარა კომეტა, რომელიც აფეთქდა დედამიწასთან შეჯახების შედეგად.

მეტეორიტების ჩამოვარდნას, ისევე როგორც მათ შეჯახებას ასტეროიდებთან და კომეტებთან თითქმის ყოველთვის თან სდევს აფეთქებები და ისეთი დიდი ენერგიის გამოყოფა, რომელიც აღემატება ძლიერ ბირთვულ აფეთქებას. ყოველივე ამის შედეგად წარმოიქმნება მიწისძვრები, კრატერები და ნგრევა. ასეთ მიწისძვრებს თან სდევს მძიმე, ზოგჯერ კატასტროფული შედეგები, რომლებიც ისეთივეა, როგორიც ბირთვული აფეთქებისას, მხოლოდ მათ არ ახლავს შემღწევი რადიაცია და რადიაქტიური მოწამვლა.

2.7. მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები

მოსახლეობის რეაგირება მიწისძვრაზე იწყება მისი პირველივე ბიძგის შეგრძნებისას. ამ დროს ან მოსალოდნელი მიწისძვრის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე მოსახლეობამ უნდა იმოქმედოს გადმოცემული ინფორმაციისა და არსებული რეკომენდაციების შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დატოვოს შენობა, ხოლო თუ ეს შეუძლებელია — უნდა დადგეს კარების ან ფანჯრის თაღის ქვეშ. მრავალსართულიან შენობებში ყველაზე საშიშია შენობის ლიფტების შახტები და კიბის უჯრედები.

ქუჩაში მყოფი ადამიანი არ უნდა დადგეს შენობის სიახლოვეს. მან უნდა გადაირპინოს ქუჩის შუაგულში ან სხვა თავისუფალ ადგილას.

დაუშვებელია მოსახლეობის თავმოყრა ადვილადაალებად ან ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებათა მნარმოებელი ან შემნახველი ობიექტების ტერიტორიაზე. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მოსახლეობას ხშირად ტრავმას აყენებს მინის, შიფერის, კრამიტის ნამსხვრევები, რკინის სახურავის ნაგლეჯები, ფიცრები და ზევიდან ჩამოვარდნილი სხვა საგნები. განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს დაწყვეტილი, ძაბვის ქვეშ მყოფი დენგამტარი სადენები.

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა და აუცილებლად უნდა შესრულდეს შემდეგი სამუშაოები:

— დაშავებულთა გამოყვანა ნანგრევებიდან და იმათი გადარჩენა, ვინც მოხვდა ნახევრადდანგრეულ ან ცეცხლმოდებულ შენობაში;

— იმ კომუნალურ-ენერგეტიკული და ტექნოლოგიური ხაზების ავარიების ლიკვიდაცია და აღმოფხვრა, რომლებიც ემუქრება ადამიანების სიცოცხლეს;

— დაშავებულთა თავმოყრა და სამედიცინო დახმარების პუნქტების შექმნა, თვითდახმარებისა და ურთიერთდახმარების აღმოჩენა;

— ავარიულ და საშიშ მდგომარეობაში მყოფი შენობებისა და ნაგებობების კონსტრუქციების იძულებითი წესით ჩამონგრევა ან გამაგრება;

— მიწისძვრის ზონაში დაზიანებული წყალმომარაგების აღდგენა.

გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს დაზუსტდეს მოსახებნი და გადასარჩენი ადამიანების, დაჭრილებისა და დასახიჩრებულების რაოდენობა, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების რაოდენობა, განისაზღვროს რა ძალებია საჭირო საწარმოების აღსადგენად, ადგილობრივი მოსახლეობის რა რაოდენობა იქნება ჩართული მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში.

სამარცვლო სამუშაოების შესრულებისას დაუშვებელია, საჭიროების გარეშე, ნანგრევების ზემოთ სიარული, დანგრეულ შენობა-ნაგებობებში შესვლა, მათ ახლოს ყოფნა თუ არსებობს მათი შემდგომი ჩამონგრევის საშიშროება.

შენობების შიგა ნაწილის დათვალიერებისას აკრძალულია გასანათებლად ღია ცეცხლის გამოყენება. ძლიერ დაკვამლულ და ჩახერგილ შენობებში შესვლისას აუცილებელია წელზე თოვის შებმა, რომლის თავისუფალი ბოლო უნდა ეჭიროს შენობის შესასვლელთან მდგომ პირს.

შენობაში, რომელშიც მწყობრიდან გამოსულია ელექტროგაყვანილობა, არ შეიძლება სამუშაოთა ჩატარება რეზინის ხელთათმანების გამოყენების გარეშე.

იქ, სადაც ჰაერში არის მომწამლავი ნივთიერებები, მუშაობისას უნდა გამოვიყენოთ სასუნთქი ორგანოებისა და კანის დამცავი ინ-დივიდუალური საშუალებები (აირწინალი, ხელთათმანი, კომბინი-ზონი). მტკვრისაგან სასუნთქი ორგანოების დასაცავად გამოიყენება დოლპანდი, მტკვერსანინააღმდეგო ნიღაბი ან რესპირატორი.

მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის დროს უდიდესი მნიშვნე-ლობა ენიჭება კარგად ორგანიზებულ ინფორმაციას. ცნობა მი-ნისძვრის შესახებ და მოსახლეობისათვის აუცილებელი და საჭირო რეკომენდაციები უნდა იყოს ჩამოყალიბებული მეაფიოდ და ადვი-ლად გასაგები უნდა იყოს; ცნობაში მოცემული უნდა იყოს მითითე-ბები ვინ, სად და როგორ უნდა მოიქცეს და იმოქმედოს.

2.8. ლანდშაფტური ხანძრის სახეები

ხანძარი არის წვის პროცესი, რომელიც ვრცელდება სტიქიურად. ხანძარი შეიძლება იყოს ტყის, ჭაბის (ტორფის), ტუნდრის, ლე-წმისა და მინდვრის.

ლანდშაფტური ხანძარი წარმოადგენს საშიშ სტიქიურ უბედურე-ბას. იგი ანადგურებს ტყეს, ტორფს, პურის ყანასა და სხვა მატერი-ალურ დოვლათს.

ხანძარი იწვევს დიდი რაოდენობით დაკვამლიანებას, რაც გამა-ლიზიანებლად მოქმედებს ადამიანებსა და ცხოველებზე, ზოგიერთ შემთხვევებში იწვევს მათ მოწამვლას ნახშირის დიოქსოდით. იგი ამ-ცირებს მხედველობის არეს და უარყოფით ფსიქოლოგიურ ზემო-ქმედებას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე.

ხანძრის მიერ დაზიანებული ფართობის რაოდენობა მერყეობს დიდ ზღვრებში. იგი უდიდეს ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას და უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ადამიანებისა და ცხოველების, აგრეთვე დასახ-ლებული პუნქტების, სამრეწველო და სხვა სახის ობიექტებისათვის, რომლებიც განთავსებულები არიან ტყეებში ან მათ სიახლოვეს.

სახეობის მიხედვით ლანდშაფტური ხანძარი შეიძლება იყოს: 1. ტყის ხანძარი — დაბალი და მაღალი; 2. მიწისქვეშა ხანძარი — ტორფის და ნიადაგის.

2.9. ტყისა და ტორფის ხანძრები

გვალვიან პერიოდებში ტყისა და ტორფის ხანძარი ძალიან გავრცელებული სტიქიური უბედურებაა. იგი დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს მეურნეობას. მისი წარმოქმნის მიზეზი მრავალია. ამ მიზეზებიდან ძირითადია ცეცხლგამჩენ და ფეთქებად ნივთიერებებთან უდიერი მოპყრობა. ხანძარი შეიძლება გაჩნდეს აგრეთვე ელვის, გაუმართავი ელექტროგაყვანილობის, თივისა და ტორფის თვითალების გამო.

ტყის დაბალი ხანძარი წარმოიშობა წიწვოვანი ან ფოთლოვანი ბუჩქნარის, ნიადაგის ზედაპირის ცოცხალი საფარის (ხავსი, ბალახი), ნახევრადბუჩქნარისა და ნიადაგის მკვდარი საფარის ან საფენის (ჩამოცვენილი ფოთლები, ტოტები, ხის ქერქი და სხვ.) წვის შედეგად, ე.ი. უშუალოდ მიწის ზედაპირზე ან მისგან 1.5 — 2.0 მ სიმაღლეზე მყოფი მცენარეებისა და მათი ნარჩენების წვის შედეგად, ასეთი ხანძრის გავრცელების სიჩქარე არ არის დიდი, ხოლო ძლიერი ქარის დროს — 1.0 კმ/სთ-ია.

დაბალი და ჩქარი ხანძრის დამახასიათებელია მის საზღვარზე (ნაპირზე) ალის სწრაფი გავრცელება, აგრეთვე ნაცრისფერი კვამლის გამოყოფა. ასეთი ხანძრის დროს ცეცხლის გავრცელება ხდება რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე. საერთოდ ჩქარი ხანძრის გავრცელება მიმდინარეობს არათანაბრად.

მყარი ხანძარი მთლიანად წვავს მიწის ზედაპირის საფარს, ცეცხლის ალის სიმაღლე უფრო მაღალია, ვიდრე ჩქარი ხანძრის შემთხვევაში, ხოლო მისი გავრცელების სიჩქარე არ არის დიდი.

ტყის მაღალი ხანძარი, როგორც წესი წარმოიშობა დაბალი ხანძრისაგან. ამ დროს იწვის მთლიანად ხეები. შეიძლება იყოს აგრეთვე მწვერვალის ხანძარი, როდესაც იწვის მხოლოდ ხის წვეროები, მაგრამ ასეთი ხანძარი უფრო მოკლე დროის განმავლობაში მიმდინარეობს. ამ დროს გამოიყოფა მოშავო ფერის კვამლი და დიდი რაოდენობით სითბო, ხოლო ცეცხლის ალის სიმაღლე 100 მ-ზე მეტია.

ცეცხლის შტორმი ტყეში იშვიათია, მაგრამ შესაძლებელი. იგი წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიასა და იაპონიაში,

გავრცელებული იყო აგრეთვე XX საუკუნის 60-ან წლებში ვიეტნამის ჯუნგლებში. იგი ბევრ რამეში ჰგავს ხიროსიმის ცეცხლოვან შტორმს (მხუთავი გრიგალი, ქარის მოძრაობა პერიფერიიდან ცენტრისაკენ, მაღალი ტემპერატურა, 1 კმ-ზე მაღალი ცეცხლის ალი, ტყის მასივის ცეცხლით სრული განადგურება).

მიწისქვეშა (ტორფის ან ნიადაგის) ხანძარი წარმოიქმნება უფრო ხშირად ზაფხულის ბოლოს, როგორც დაბალი ან მაღალი ტყის ხანძრის გაგრძელება. ამ დროს მიწისქვეშა ხანძრის კერაში წაქცეული ხეებისაგან, აგრეთვე ტორფის წვისაგან წარმოიქმნება გაუვალი, ჩახერგილი უბნები.

აგრეთვე, შეიძლება წარმოიქმნას მინდვრის ხანძარი. იგი ჩნდება ღია ადგილზე, სადაც მშრალი ბალახი ან შემოსული პურის ყანაა. ხელსაყრელ პირობებში მინდვრის ხანძარი საკმაოდ სწრაფად ვრცელდება. ძლიერი ქარის დროს ცეცხლის ფრონტის გადაადგილების სიჩქარე 25 — 30 კმ/სთ აღწევს, ხოლო მთიან ადგილებში (ხანძრის სიმაღლეზე გავრცელების დროს) — სიჩქარე 50 კმ/სთ აღმატება.

ტორფის ხანძარი შეიძლება წარმოიქმნას ტყის ხანძრის გარეშე, ტორფის დამამუშავებელ რაიონებში და ტორფის ჭაობებში. იგი ხშირად მოიცავს ვრცელ ტერიტორიას და რთული ჩასაქრობია. მისი მიმდინარეობისას დიდ საშიშროებას წარმოადგენს ის, რომ ხშირად წვა მიმდინარეობს მიწის ქვეშ. ამის შედეგად შეიძლება წარმოიქმნას მიწისქვეშა ადგილები, რომლებიც შესაძლებელია ჩაინგრეს და ჩაიტანოს ხალხი.

2.10. ლანდშაფტური ხანძრების სალიკვიდაციო ღონისძიებები

ტყის ხანძრის კერის აღმოჩენისთანავე საჭიროა ყველა ზომის მიღება მის ჩასაქრობად, ადამიანების, ცხოველების, სასოფლო-სამეურნეო და მატერიალურ ფასეულობათა გადასარჩენად. ხანძრის კერის ადგილსამყოფელის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საგანგებო სიტუაციების მართვის (სამაშველო) სამსახურს, პოლიცი-

ასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

ტყის ხანძრის ლოკალიზაციისა და სალიკვიდაციო სამუშაოები იწყება ხანძრის კერის დაზვერვით. მის ყველაზე ოპერატიულ საშუალებას წარმოადგენს სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი თვითმფრინავები და შვეულმფრენები. ისინი უმოკლეს დროში მოაწვდიან უტყუარ ცნობებს ხანძრის მასშტაბის შესახებ, აგრეთვე, მისი კერის დახასიათებას.

ტყის ხანძრების ლიკვიდაციაში საგანგებო სიტუაციების სამსახურის (011) მუშავებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს ადგილობრივი მოსახლეობა. უშუალოდ ცეცხლის პირას მომუშავე ადამიანები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ სპეციანსაცმლით, ჩაჩქანებით, კვამლსაწინააღმდეგო ნიღბებითა და აირწინაღებით. თუ დაკვამლულ ზონაში ხილვადობა ნაკლებია 10 მ-ზე, მასში შესვლა ყველასათვის აკრძალულია.

საერთოდ ნებისმიერი ტიპის ხანძრის წარმოშობისათვის და მისი გაძლიერებისათვის აუცილებელია სამი კომპონენტის არსებობა და მათი ურთიერთქმედება. ესენია, საწვავი მასალა, ჰაერის ნაკადი და აალების წყარო. ამიტომ, საერთოდ ხანძრების, და მათ შორის ტყის ხანძრების, ჩაქრობის თანამედროვე ხერხები და საშუალებები ეყრდნობა ამ სამი კომპონენტიდან თუნდაც ერთი მათგანის მოშორებას, რის შედეგადაც გამოირიცხება მათი ურთიერთქმედება და ხანძარი ქრება მოკლე დროის განმავლობაში.

არსებობს ტყის ხანძრის ჩაქრობის შემდეგი ხერხები: 1. ტყის ხანძრის ქვედა საზღვრების დაფერთხვა მწვანე ტოტებით, ცოცხებითა და ტომრის ნაჭრებით; 2. ტყის დაბალი ხანძრის საზღვრებზე მიწის დაყრა ნიჩბებით ან ბარებით; 3. დამაბრკოლებელი ზოლის ან არხის გაყვანა რათა შევაჩეროთ ხანძრის გავრცელება; 4. ხანძრის ჩაქრობა აფეთქების გამოყენებით (დამაბრკოლებელი არხის მოწყობა).

ტყისა და ტორფის ხანძრების ჩასაქრობად ყველაზე ხშირად გამოიყენება წყალი, რომელიც უახლოესი წყალსაცავიდან ხანძრის კერას მიეწოდება წყალსატუმბი აგრეგატების, სახანძრო მანქანების მოტოტუმბოებისა და დასაშლელ-ასაწყობი ლითონის მილების საშუალებით.

ხანძრის კერაზე წყლის მიწოდებისას ცივდება ცეცხლის კერა,

გარდა ამისა წყლის აორთქლებისას წარმოქმნილი ორთქლი ამ-ცირებს ჰაერში უანგბადის კონცენტრაციას, ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ცეცხლის ჩაქრობას. წყლის, როგორც ცეცხლის ჩამქრობი საშუალების, არაეფექტურობა იმაში გამოიხატება, რომ მას ახასი-ათებს სუსტი დამასველებლობა, რის გამოც წყლის დიდი რაოდენობა ფუჭად იხარჯება. იმისათვის, რომ ამაღლდეს წყლის ცეცხლმქრობი თვისებები, მას უმატებენ სპეციალურ დამასველებლებს, ანუ იღებენ ე.წ. „სველ წყალს“, რომელიც უფრო კარგად აღწევს წვადი ზე-დაპირის სილრმეში და ხანძრის ქრობა უფრო ეფექტურია, ხოლო დახარჯული წყლის რაოდენობა მცირდება. გარდა ამისა ხშირად გამოიყენება ხანძრის ქრობა ქიმიკატების გამოყენებით.

ტყისა და ტორფის ლანდშაფტური ხანძრების ჩაქრობა ხშირად წარმოებს ავიაციის გამოყენებით. ამ შემთხვევებში ხანძრის ჩასა-ქრობად გამოიყენება სპეციალური ცისტერნებითა და წყლის მფრქვე-ვანებით აღჭურვილი თვითმფრინავები და შვეულმფრენები.

გარდა ამისა, უკანასკნელ ხანს ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენება ხელოვნურად გამოწვეული ნალექები, თუმცა, ეს საშუალება თავისი სიძვირის გამო იშვიათად გამოიყენება.

2.11. გრიგალი, ქარიშხალი, ქარბორბალა და მათი მოქმედების შედეგების სალიკვიდაციო ლონისძიებები

ყველა ამ სტიქიურ მოვლენას აქვს წარმოშობის ერთი და იგივე წყარო — ქარი. იმისათვის, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როდის გარდაიქმნება ქარი საშიშ სტიქიად, საჭიროა მივმართოთ ბოფორტის სკალას, რომელიც 1806 წელს დაამუშავა ინგლისელმა ადმირალმა ბოფორტმა. აღნიშული სკალა 1963 წელს დაზუსტებულ იქნა მეტრობრივი საზომით და მიღებულ იქნა მთავარი ფიზიკური ობსერვატორიისა და მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ ქარის ძალის განსაზღვრისათვის.

გრიგალი არის უდიდესი დამანგრეველი ძალის მქონე და ხან-გრძლივად მოქმედი ქარი. გრიგალის დროს ქარის სიჩქარე შეიძლება

იყოს 30 — 60 მ/წმ და უფრო მეტიც. შორეულ აღმოსავლეთში, სადაც გრიგალს უწოდებენ ტაიფუნს, ქარის სიჩქარე აღწევს 90 მ/წმ-ში. იგი თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს: ამტვრევს ხეებს, ან-გრევს შენობა-ნაგებობებს. ზღვაზე გრიგალი იწვევს ძლიერ ტალღებს, რაც აფერხებს ნაოსნობას და ხშირად იწვევს გემების დაღუპვას.

გრიგალის ნაირსახეობას ზღვაზე წარმოადგენს შტორმი. იგი არის 9 — 11 ბალი სიძლიერის ქარი, რომელიც ზღვაზე იწვევს დიდ ტალღებს, ხოლო ხმელეთზე — დიდ ნგრევას. შტორმი ჩვეულებრივ წარმოიშობა ღრმა ციკლონის გავლისას, იშვიათად — ანტიციკლონის პერიფერიულ ბაზაზე.

ქარიშხალი წარმოადგენს გრიგალისა და შტორმის ნაირსახეობას. იგი არსებობს მტვრიანი, ნაკადისებრი, შავი, ნითელი, თეთრი, სილიანი, თოვლიანი და სხვ. მისი სიჩქარე ნაკლებია, ვიდრე გრიგალისა. მიუხედავად ამისა, მისი სიჩქარე აღწევს 20 — 30 მ/წმ-ში. მტვრიანი ანუ შავი ქარიშხალი გარდა უდიდესი ნგრევისა, ხასიათდება ჰაერის დაბალი ფარდობითი ტენიანობით (მშრალი ჰაერის მასების მოძრაობით), რაც იწვევს მიწის ზედა ფენების გამოშრობასა და გამოფიტვას — ნიადაგის ეროზიას, რაც თავისთავად ამცირებს მოსავლიანობას.

ქარბორბალა ჰაერის გრიგალური მოძრაობაა, რომელიც წარმოიქმნება ელჭექის ღრუბლებში და შემდეგ ვრცელდება შავი გიგანტური სახელოს ან ხორთუმის სახით მიწის ზედაპირის ან ზღვის მიმართულებით. ქარბორბალა თავისი ფორმით მოგვაგონებს გადაბრუნებულ ძაბრს, რომლის სიმაღლე შეიძლება იყოს 800 — 1500 მ, ხოლო ფუძის დიამეტრი ზღვაზე — რამდენიმე ათეული მეტრი, ხოლო ხმელეთზე — საშუალოდ 300 მ. იგი ძაბრის შიგნით წნევის დაბალი დონისა და უდიდესი წრიული სიჩქარის გამო იწოვს სილას ან წყალს და გადააქვს იგი დიდ მანძილზე.

ტაიფუნი არის ძლიერი ქარი, რომლის ძალა აღწევს ყველაზე ძლიერი გრიგალის ძალას (10 — 12 ბალი) და იწვევს კოკისპირულ წვიმებს. იგი ზღვაზე წარმოშობს უზარმაზარ ტალღებს, რომლებიც იჭრება სანაპიროებზე, ანგრევს დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს. ტაიფუნის მოახლოებას მოასწავებს ატმოსფერული წნევის

შევეთრი დაცემა. ტაიფუნის თანამდევი კოკისპირული წვიმების შედეგად მოსული ნალექების რაოდენობამ დღე-ღამეში შეიძლება მიაღწიოს 1000 მმ-ს, რაც აუცილებლად იწვევს წყალდიდობას.

გრიგალის, ქარიშხალის, ქარბორბალასა და ტაიფუნის მოახლოებაზე ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო თავდაცვის ორგანოებს გამაფრთხილებელ ცნობას აწვდიან ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ორგანოები, რომლებიც თავის მხრივ აფრთხილებენ მოსახლეობას.

ამის შემდეგ, სტიქიური უპედურებების სალიკვიდაციოდ შექმნილი ფორმირებების პირადი შემადგენლობა და მოსახლეობა ატარებს საჭირო გამაფრთხილებელ ღონისძიებებს მოსალოდნელი საშიშროების დასახვედრად.

პირველ რიგში, უნდა გამაგრდეს შენობა-ნაგებობები, სახურავები, ცალკეული კონსტრუქციები. აუცილებელია დაიკეტოს ყველა ფანჯარა, კარი, სხვენი. საჭიროა შენახულ იქნეს ყველა ის საგანი, რომლებიც შეიძლება გადმოვარდეს და დააშავოს ადამიანები.

მთავარი ამოცანაა ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისთვისაც ხდება მათი განთავსება სპეციალურ თავშესაფრებში.

გაფრთხილების მიღებისთანავე საძოვარზე მყოფი ყველა შინაური ცხოველი უნდა გადაიდენოს საიმედო მოფარებულ ადგილას.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ ქარის სიძლიერის შემცირებისას თავშესაფრიდან უცბად გამოსვლა კატეგორიულად აკრძალულია.

მოსახლეობის ღია ცის ქვეშ ყოფნისას საჭიროა იმ ადგილებიდან მოცილება, სადაც შესაძლებელია სახურავის თუნჯეის ნაგლეჯების, შიფერისა და კრამიტის ნამსხვრევებისა და სხვა საგნების ჩამოვარდნა და ადამიანების ტრავმირება. განსაკუთრებით საშიშია განყვეტილი, ძაბვის ქვეშ მყოფი დენგამტარები.

ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით გრიგალის, ქარიშხალის, ქარბორბალასა და ტაიფუნის გადავლის შემდეგ ჩასატარებელი ღონისძიებებია: 1. საშიში ტერიტორიიდან მოსახლეობისა და შინაური ცხოველების ევაკუაცია; 2. დაშავებულთა ძებნა და მათი გამოყვანა შენობა-ნაგებობების ნანგრევებიდან; 3. დაშავებულთათვის პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და მათი გადაყვანა სამკურნალო დაწესებულებაში; 4. ცეცხლმოკიდებულ და დანგრეულ

სახლებში დარჩენილი ადამიანების შველა და წარმოქმნილი ხანძრების ჩაქრობა; 5. სტიქიური უბედურების რაიონებში ხიდებისა და გზების აღდგენა; 6. საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, რაც ითვალისწინებს ნანგრევების გასუფთავებას, სახლებთან, წარმოებთან, საწყობებთან და სხვა სასიცოცხლო დანიშნულების ოპიექტებთან მისასვლელების მოწყობას; 7. კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი საპაერო ხაზების აღდგენა; შენობის იმ კონსტრუქციების ჩამონგრევა, რომელთა აღდგენაც შეუძლებელია; სასმელი წყლის მოძებნა და მისი გაწმენდა-გასუფთავება; 8. დაზმარების გაწევა გზების, წყალსადენის, წყაროებისა და შენობა-ნაგებობების დროებით აღდგენისას.

საერთოდ, გრიგალის, ქარიშხალის, ქარბორბალასა და ტაიფუნის დროს მოსახლეობის მიერ უსაფრთხოების საჭირო მოთხოვნების დაცვა მნიშვნელოვნად ამცირებს სტიქიური უბედურებით გამოწვეული მსხვერპლისა და მატერიალური ზარალის რაოდენობას.

2.12. წყალდიდობა, ლვარცოფი, მეწყერი, ნიადაგის ეროზია და მათი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები

წყალდიდობა (დატბორვა) არის ადგილმდებარეობის მნიშვნელივანი ფართის წყლით დაფარვა მდინარეების, ტბების ან ზღვის დონის აწევის შემთხვევაში. მისი ძირათადი მიზეზებია: კოკისპირული წვიმები, თოვლისა და ყინულის ინტენსიური დონება, მდინარეთა წყალმოვარდნა. განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს მეწყერებით, ქანების ჩამორეცხვითა და კაშხალების გარღვევით გამოწვეული წყალდიდობები.

მდინარეთა ადიდება შეიძლება გამოიწვიოს მდინარის დინების მთლიანად ან ნაწილობრივ ყინულით ჩახერგვამ. გარდა ამისა, წყალდიდობის (დატბორვის) მიზეზი შეიძლება იყოს დიდი ავარიები ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე კაშხალის დამცავი ჯებირის დანგრევის გამო.

ზღვის სანაპიროებზე და ზღვაში ჩამდინარე მდინარეების შესარ-

თავებში წყალდიდობა წარმოიქმნება მძლავრი ციკლონების ზემოქმედებით, როდესაც ძალიან ძლიერი ქარი წარმოქმნის უზარმაზარ ტალღებს და გზას უღობავს მდინარის დინებას.

ძალიან ძლიერი კატასტროფული დატბორვა შესაძლებელია წარმოიქმნას წყალქვეშა მიწისძვრის გრავიტაციული ტალღების ზემოქმედების შედეგად, რომელსაც ცუნამი ეწოდება.

წყალდიდობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დროულ პროგნოზირებას, მოსახლეობის დროულ ინფორმირებასა და მოსალოდნელი დატბორვის ადგილებიდან ხალხის ევაკუაციას.

ღვარცოფი არის კოკისპირული წვიმის, თოვლისა და ყინულის ინტენსიური დნობით გამოწვეული, აგრეთვე მიწისძვრის შედეგად მთის მდინარეების კალაპოტში მიმდინარე წყალში ჩაყრილი ქვიშა, თიხა, ღვარლი, ქვის ნამსხვრევები, ხეები და სხვა საგნები.

ღვარცოფი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავისი მოძრაობის ხასიათით; ტურბულენტური ღვარცოფი მიედინება კალაპოტში თხიერი სითხის მოძრაობის კანონის შესაბამისად. მისგან განსხვავდებით, სტრუქტურული ღვარცოფი წარმოადგენს ტალახქვიან მასას, რომელიც ლავის მსგავსად მოქუხავს პირდაპირი ხაზით.

ღვარცოფები, გარდა იმისა, რომ თავის გადაადგილების გზაზე ანგრეეს ყველაფერს, ამავე დროს ქვებით, ტალახით, მოთხრილი ხეებითა და სხვა საგნებით ხერგავს ფართო მიდამოს.

საქართველოში აღრიცხულია 2000-მდე ღვარცოფის აუზი.

მეწყერი არის დახრილობის მიმართულებით, სიმძიმის ძალის ზემოქმედებით ნიადაგის ან ქანის მოწყვეტა ან მოსხლეტვით გადაადგილება. მეწყერები ქმნიან რელიეფის გარკვეულ ფორმას, როგორიცაა მეწყერული ცირკი და თვითმეწყრული ბლოკი.

მეწყერი უფრო ხშირად ვითარდება იქ, სადაც წარმოადგენილია რბილი, ადვილად შლადი მეოთხეული ან მესამეული ასაკის ქანები, ანუ ისეთი ქანები, როგორებითაც ძირითადად აგებულია საქართველოს მთათაშორისი ბარი.

არსებობს მეწყერის მრავალი სახეობა. მათგან საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია შემდეგი სახეები: ზედაპირული, სიღრმული, ტექტონიკური, ტექტოგენური და კომბინირებული მეწყერები.

საქართველოში მეწყერული დაზიანებისა და მეწყერული პროცე-

სების განვითარების უმაღლეს კატეგორიას მიეკუთვნება ზემო იმერეთი, აფხაზეთის მთისწინეთი, რაჭა და შიდა აჭარა.

მეწყერული მოვლენების განვითარების მაღალი ინტენსივობა ახ-ასიათებს ცივ-გომბორის ქედის ჩრდილოეთი ექსპოზიციის ფერ-დობებს, დასავლეთ საქართველოს გორაკ-ბორცვიან ლანდშაფტთა უმრავლესობასა და მესხეთს.

არსებითია მეწყერსაშიში მოვლენები თრიალეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობისათვის.

მეწყერები პრაქტიკულად არ აღინიშნება კოლხეთის დაბლობზე, ალაზნის ველსა და შიდა ქართლის ვაკეზე.

საერთოდ, სულ საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 30000-მდე მეწყერ- და ზვავსაშიში ტერიტორია.

ნიადაგის ეროზია ეწოდება დენადი წყლის, ქარის ან სხვა ფიზიკურ-ქიმიური პროცესების ერთობლივი მოქმედებით გამოწვეულ ნიადაგის ან მთის ქანების წარეცხვას.

ნიადაგის ეროზია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამგები ქანების სიმტკიცეზე, რის მიხედვითაც არჩევენ ადვილადშელად და ძნელადშლად ქანებს.

ფერდობის დახრილობა ეროზიული პროცესების ინტენსივობაზე დიდ გავლენას ახდენს. რაც მეტად დახრილია ფერდობი, მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ეროზიული პროცესები.

ეროზიული პროცესების ინტენსიურობის მიხედვით საქართველო იყოფა შემდეგ რაიონებად: კოლხეთის დაბლობის, დასავლეთ და აღ-მოსავლეთ საქართველოს ვაკის, გორაკ-ბორცვების, მთის ქვაბ-ულებისა და მაღალი მთის ლანდშაფტები.

წყალდიდობით, ღვარცოფით, მეწყერითა და ნიადაგის ეროზიით გამოწვეული სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციოდ ტარდება შემდეგი ღონისძიებები:

1. საშიში ზონიდან ადამიანებისა და შინაური ცხოველების ევაკუაცია;
2. დაზიანებული მისასვლელი გზების აღდგენა და ახალი გზების გაყვანა სტიქიური უბედურების ზონაში;
3. წყლის დინების რეგულირება, მდინარეთა კალაპოტის გაწმენდა, გაღრმავება და გასწორება;

4. საინჟინრო-მაშველი სამუშაოების ჩატარება, მათ შორის დაშავებულთა ქეპნა საინჟინრო ტექნიკის გამოყენებით;
5. დაშავებულებთან სასმელი წყლის, საჭმელისა და ტანსაცმლის შეტანა;
6. საავარიო-აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, მათ შორის აფეთქებით გადამლობი მიწაყრილების სასწრაფოდ მოწყობა;
7. იმ შენობა-ნაგებობების კედლებისა და კონსტრუქციების ჩამონ-გრევა, რომელთა აღდგენა აღარ შეიძლება და რომლებიც საფრთხეს წარმოადგენს ირგვლივ მყოფი ხალხისათვის;
8. კომუნალურ და ენერგეტიკულ ქსელებში დაზიანებების ლიკვი-დაცია;
9. დროის მოკლე მონაკვეთში შენობა-ნაგებობების, დაზიანებული გზებისა და ხიდების დროებითი აღდგენა.

სტიქიური უბედურებებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდა-ციო სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწ-ილეობა, უსაფრთხოების მოთხოვნების განუხრელი დაცვა მნიშვ-ნელოვნად ამცირებს ადამიანთა მსხვერპლსა და მატერიალურ და-ნაკარგებს.

3. ბიოლოგიურ-სოციალური საბანგებო სიტუაციები

3.1. ეპიდემია, ეპიზოტოპია და ეპიფიზოტია

ეპიდემია არის ინფექციური დაავადების მასიური გავრცელება მნიშვნელოვან ტერიტორიაზე დასახლებულ მოსახლეობაში.

ეპიდემიის გავრცელების საწინააღმდეგოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ინფექციური დაავადების საწყის ეტაპზე აღმოჩენას. სავალდებულო სარეგისტრაციო აღრიცხვაზე აყვანას ექვემდებარება შემდეგი ინფექციური დაავადებები: მუცლის ტიფი, პარტახტიანი ტიფი, მწვავე და ქრონიკული დიზინტერია, ნითელა, პოლიომიელიტი, ციმბირის წყლული, მალარია, თურქული და სხვ. გარდა ამისა, ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორიცაა ჭირი, ქოლერა, ყვითელი ციება და ნატურალური ყვავილი აყვანილ იქნეს სპეციალურ აღრიცხვაზე.

პირველადი კერიდან დაავადება შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა ხერხებითა და გზებით. მათ გავრცელებაზე გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრების პირობები, საერთო-სანიტარული კულტურის დონე, ორგანიზმის იმუნიტეტი, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-პროფილაქტიკური მუშაობის დონე, წელიწადის დრო და სხვა ფაქტორები.

ზოგიერთი ინფექციური დაავადება დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანებისათვის — აზიური ქოლერა, ყვავილი, მუცლის ტიფი; არ-სებობს აგრეთვე ე.წ. საერთო დაავადებები — ციმბირის წყლული, თურქული, რომლებითაც ავადდებიან ადამიანებიცა და ცხოველებიც.

ინფექციის გადაცემის გზებია: სასუნთქი ორგანოებით; მონამ-ლული პროდუქტების, ფურაჟისა და სასმელი წყლის მოხმარებით; მონამლულ საგნებთან შეხებით; ავადმყოფ ადამიანებთან ან ცხოველებთან ურთიერთობით; ავადმყოფობის გადამტანი მწერების კბენით, ამასთან ცოცხალ ორგანიზმში მცირე რაოდენობით ავადმყოფობის მატარებელი მიკრობებისა და ჩხირების მოხვედრაც კი იწვევს ადამიანის დაავადებას.

მონამლულ ტერიტორიაზე ინფექციური დაავადების კერის წარმოქმნის შემთხვევაში უნდა დაწესდეს კარანტინი და ოპსერვაცია, ანუ

ეპიდემიის საწინააღმდეგო და რეჟიმულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია დაავადების კერის გარშემო მყოფი მოსახლეობის იზოლაციისაკენ და ინფექციური დაავადების კერის ლიკვიდაციისაკენ. დაავადების კერის ირგვლივ უნდა განლაგდეს შეირაღებული დაცვის პოსტები. აკრძალულია საკარანტინო ზონაში შესვლა-გამოსვლა და ზონიდან სხვადასხვა საგნების გამოტანა. საკარანტინო ზონაში მყოფი მოსახლეობის მომარაგება ხდება სპეციალური პუნქტების საშუალებით მკაცრი სამედიცინო და შეიარაღებული დაცვის სამსახურის მუშავების კონტროლის ქვეშ.

ობსერვაცია არის საიზოლაციო-შემზღვდავი ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს საშიშად გამოცხადებულ ტერიტორიაზე: შესვლა-გამოსვლისა და ხალხთან ურთიერთობის შეზღუდვას; სამედიცინო კონტროლის გაძლიერებას; ინფექციურ დაავადებათა გავრცელების ლიკვიდაციას. ობსერვაცია ცხადდება მხოლოდ ისეთი ინფექციური დაავადების წარმოქმნისას, რომლებიც არ განეკუთვნებიან განსაკუთრებით საშიშ დაავადებათა ჯგუფს.

კარანტინისა და ობსერვაციის დაწესება და მოხსნა ხდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ.

კარანტინის შემოღების შემთხვევაში აუცილებელია გავატაროთ შემდეგი ღონისძიებები:

1. დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს საერთო სარგებლობის ადგილებს, ავეჯს, ტანსაცმელს, ჭურჭელს, ლოგინს, პირად ნივთებს;
2. ყოველდღიურად უნდა გაიწმინდოს და დალაგდეს ბინა სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
3. ინფექციური დაავადებით ეჭვმიტანილი ავადმყოფის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ექიმს;
4. უნდა განადგურდეს ინფექციური დაავადების გადამტანები: ვირთხები, თაგვები, ტარაკანები, რწყილები და ტკიპები;
5. ყველა ადამიანმა სახლიდან გამოსვლისას უნდა ჩამოიცვას სასუნთქი օრგანოების დაცვის ინდივიდუალური საშუალებები;
6. მოსახლეობას მკაცრად უნდა მოვთხოვთ, რომ მათ განუხელებად დაიცვან პირადი ჰიგიენის წესები: ჭამის წინ ჯერ სადეზინფექციო ხსნარით, შემდეგ კი თბილი წყლითა და საპნით დაიბანონ ხელები;
7. მოსახლეობამ მკაცრად უნდა დაიცვას კვების სანიტარულ-ჰი-

გიენური მოთხოვნები: სასმელი წყალი აიღონ მხოლოდ საიმედო ადგილიდან, გამოიყენონ მხოლოდ ადუდებული წყალი და რძე, თავი არ უნდა აარიდონ აცრას და წამლების მიღებას.

ეპიზოტოპია არის ცხოველთა დაავადების ფართო გავრცელება, რომელიც ძალიან აღემატება ამავე რეგიონში დაავადების გავრცელების ჩვეულებრივ დონეს.

2007 წელს საქართველოში მასიურად გავრცელდა ღორის აფრიკული ციება, რომელმაც მოიცვა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი და მასიურად გაანადგურა ღორები. ასევე ხშირია ცხოველების ისეთი დაავადებების წარმოქმნა-გავრცელება, როგორიცაა თურქული და ციმბირის წყლული. მათ აღმოსაფხვრელად სასწრაფოდ ტარდება მასიური ღონისძიებები ამ დაავადებების შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

ეპიფიტოტია მცენარეთა დაავადებების დიდ ტერიტორიაზე ფართოდ ვრცელდება. მცენარეთა დაავადებებიდან განსაკუთრებით საშიშია პურმარცვლოვანთა ჟანგა, რომლის დროსაც იკარგება მოსავლის 40 — 70%; კარტოფილის სიდამბლე — ყველაზე მავნე დაავადება, რომლის დროსაც სოკოთი ზიანდება ფოთლები, ღეროები და ბოლქვები. ბოლო წლებში დასავლეთ საქართველოში ძალზედ გავრცელდა ე.წ. ამერიკული ჰეჭელა, რომელიც ანადგურებს სავარგულებს.

მცენარეთა დაავადება და კვდომა შეიძლება იყოს სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების არასწორი გამოყენების შედეგი. ასე მაგალითად, ჰერბიციდების, დეცოლინტების, დესიკანტების და სხვა ქიმიური ნივთიერებების გარკვეული დოზებით გამოყენება სპობს სარეველებსა და ველურ ბუჩქებს; მაგრამ, ამავე ქიმიური ნივთიერებების დიდი დოზით გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს სარეველებთან ერთად მთელი მოსავლის დაღუპვა.

ეპიზოტოპისა და ეპიფიტოტიასთან ბრძოლის ძირითად ღონისძიებებს წარმოადგენენ:

1. ცხოველთა და მცენარეთა დაავადების თავიდან ასაცილებელი ეპიზოტოპისა და ეპიფიტოტიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება;
2. დერატიზაცია, დეზინსექცია, ბიოლოგიური, ქიმიური და მექა-

ნიკური ბრძოლა სოფლის და სატყეო მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ (შესხურება, შეფრქვევა, მავნებელთა გავრცელების კერის ალყაში მოქცევა).

4. ტექნოგენური ხასიათის საბანგებო სიტუაციები

4.1. საწარმოო ავარიები და კატასტროფები

დიდი საწარმოო ავარიები საკმაოდ ხშირად ხდება თანამედროვე პირობებში. მათ განაპირობებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მრეწველობის განვითარება. ძლიერი საწარმოო ავარიები განსაკუთრებით ხშირია მაშინ, როდესაც უგულებელყოფილია ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები.

დიდი საწარმოო ავარია უეცრად წყვეტს ან არღვევს საწარმოს მუშაობის დაწესებულ პროცესს, მწყობრიდან გამოჰყავს მანქანები, აგრეგატები, კომუნიკაციები, შენობა-ნაგებობანი, აზიანებს ან ანადგურებს მატერიალურ ფასეულობებს, შეინირავს ადამიანთა სიცოცხლეს. ავარიამ შესაძლებელია გამოიწვიოს კატასტროფა ტრაგიკული, გამოუსწორებელი შედეგი.

საწარმოო ავარიების წარმოქმნის მიზეზები შეიძლება გავაერთიანოთ ორ ძირითად ჯგუფში:

პირველი ჯგუფი არის ზოგიერთი დამპროექტებლების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება დაპროექტებისას ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებისადმი; საამქროების ხელმძღვანელობის გულგრილი დამოკიდებულება ამ მოთხოვნათა შესრულებისადმი; ფეთქებასაშიშ უბნებში სისტემატიური კონტროლის უქონლობა.

მეორე ჯგუფი განპირობებულია იმით, რომ ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ბუნების ყველა მოვლენა; პერიოდულად აღმოჩნდებოდა, რომ სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება შედის მძაფრ რეაქციებში და იწვევს აფეთქებას ან თვითაალებას.

საწარმოო ავარია შეიძლება იყოს გარეგანი ბუნებრივი ფაქ-

ტორების ზემოქმედების შედეგი. ეს ფაქტორებია: სტიქიური უბე-დურებანი, ნაგებობათა საპროექტო-საწარმოო დეფექტები, სხვადასხვა მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაციისა და წარმოების ტექნოლო-გიური პროცესების ნორმალური მიმდინარეობის დარღვევა.

ექსპლუატაციის წესებისა და ტექნოლოგიური პროცესების დარ-ღვევის გამო მიწისქვეშა პირობებში მუშაობისას არაერთხელ მომხ-დარა აირისა და ნახშირის მტვერის აფეთქება, მაღაროს ხანძარი, ნახშირისა და აირის უეცარი გამოყოფლური დატბორვა წყლისა და შლამიანი მასის გამოხეთქვის შედეგად, თაღების ჩამონიგრევა, ნაგე-ბობათა ჩავარდნა, ადამიანთა დაზიანება ელექტრული დენით და კესონური დაავადებით. დიდია ადმიანთა მსხვერპლი მაღაროებში აირისა და ნახშირის მტვერის აფეთქების შედეგად. მსხვერპლის რაო-დენობის მიხედვით ავარიებს შორის მეორე ადგილი უკავია მაღაროს ხანძრებს.

მიწისზედა სამრეწველო ავარიებს მიეკუთვნება ავარიები სამ-რეწველო ობიექტებზე, მშენებლობებზე, აგრეთვე სარკინიგზო, სა-ჰაერო, საავტომობილო, საწყლოსნო და მილსადენ ტრანსპორტზე, რის შედეგადაც წარმოიქმნება ხანძარი, ინგრევა შენობა-ნაგებობები, წარმოებს ატმოსფეროს, მდინარეებისა და სხვა ბუნებრივი თუ ხელო-ვნური წყალსაცავების მონამვლა ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერე-ბებით, ხდება ნავთობპროდუქტებისა და მომწამლავი სითხეების გაუონვა მიწასა და წყალში, წარმოიქმნება სხვა სახის დაზიანებები, რომლებიც საშიშროებას უქმნიან მოსახლეობასა და გარემოს.

დიდი ავარიებისა და კატასტროფების თავიდან ასაცილებლად სისტემატურად უნდა განხორციელდეს ორგანიზაციული და საინ-ჟინრო-ტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც განსაზ-ღვრულია შრომის უსაფრთხოების შესაბამისი დებულებებით. ამასთან აუცილებელია წინასწარ შემუშავდეს შესაძლებელი ავარი-ებისა და კატასტროფების ლიკვიდაციის გეგმა. საწარმოების მუშა-მოსამსახურები მომზადებული უნდა იყვნენ ავარიულ პირობებში სამუშაოთა შესრულებისათვის. ამასთან საწარმოებში უნდა შეიქმნას ძალებისა და საშუალებების რეზერვი, სამაშველო და სხვა გადაუდე-ბელი სამუშაოების საწარმოებლად.

4.2. შენობა-ნაგებობების ჩავარდნა და ჩამორეცხვა

საწარმოო ავარიების დროს შენობა-ნაგებობების დეფორმაციის, ჩავარდნისა და ჩამორეცხვის, ასევე აფეთქებისა და ხანძრების მიზეზია ზედმეტი დატვირთვა, აგრეთვე მათი დაპროექტების დროს დაშვებული სხვადასხვა შეცდომები.

დაპროექტების დროს დაშვებულმა დეფექტებმა, აგრესიული წყლების, ნიადაგში მოხეტიალე დენების ზემოქმედებამ შესაძლებელია გამოიწვიოს კოროზია, ხოლო შემდეგ შენობებისა და ნაგებობების ძირითადი კონსტრუქციების დეფორმაცია.

შენობა-ნაგებობების ნგრევისას შესაძლებელია მივიღოთ კონსტრუქციების ორი სახის ავარიული მდგომარეობა:

1. კონსტრუქციის გამძლეობის ზღვრული მდგომარეობის მიღწევა;
2. კონსტრუქციის ჩამონგრევა.

საწარმოო ავარიების ლიკვიდაციის დროს, როდესაც საქმე ეხება შენობათა დეფორმაციასა და ნგრევას, ტარდება შემდეგი სახის აღდგენითი სამუშაოები: ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ადგილების გარშემო ტერიტორიის დაცვა; სამაშველო სამუშაოები, დაშვებულთა და მატერიალურ ფასეულობათა ძებნა და მათი ამოღება ნანგრევებიდან; შენობა-ნაგებობების კონსტრუქციების იმ ნაწილების იძულებითი ჩამონგრევა, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება და გარშემო მყოფთათვის წარმოადგენენ საფრთხეს; კომუნალურ-ენერგეტიკული ქსელების აღდგენითი სამუშაოები; შენობა-ნაგებობების ჯერ მომზადება დროებითი ფუნქციონირების დასაწყებად, ხოლო შემდეგ მათი სრული აღდგენა.

4.3. აფეთქებები

სამრეწველო საწარმოებში აფეთქებებს ჩვეულებრივ თან ახლავს ნაგებობათა ნგრევა და დეფორმაცია, ხანძარი, ენერგოსისტემის მწყობრიდან გამოსვლა, ტექნოლოგიური მიღსადენებიდან მავნე ნივთიერებების გაუონვა.

აფეთქებით გამოწვეული საწარმოო ავარიების შედეგები თავისი ხასიათით ომით გამოწვეული ნგრევების ანალოგიურია. აფეთქებები განსაკუთრებით ხშირად ხდება საქვაბეებში, ქიმიურ საწარმოებში, ნავთობსახდელ ქარხნებში, წისქვილკომბინაციებში, შაქრის ფხვნილისა და რაფინადის მწარმოებელ ქარხნებში.

ხშირია, კუმშული აირის ბალონებისა და ბუნებრივი აირის აფეთქებები, რის შედეგადაც წარმოიშობა ხანძარი და ხშირია ხალხის მსხვერპლი.

ბევრი აფეთქება ხდება ელექტრული ნაპერწკლისაგან, მათ შორის სტატიკური ელექტრობის დაგროვებისაგან. ელექტრული ნაპერწკალი ხშირად წარმოიქმნება ყოველგვარი ქსელისა და გამტარის გარეშე. ის იმითაა სახიფათო, რომ წარმოიქმნება სრულიად მოულოდნელ ადგილებში და სრულიად მოულოდნელად (ცისტერნის კედლებზე, ავტომობილის საბურავზე და სხვ.). სტატიკური ელექტრობის გამო ნაპერწკლებისადმი განსაკუთრებით მიღრეცილი აღმოჩნდა ხელოვნური ქსოვილებისაგან დამზადებული ტანსაცმელი, ლინოლეუმი, სინთეტიკური მასალისაგან და პლასტიმასისაგან დამზადებული ჭურჭელი. პრაქტიკაში აღრიცხულია იმ ავტომობილების აფეთქების შემთხვევები, რომლებსაც საბარგულში ჰქონდათ ბენზინით სავსე სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული კანისტრები.

აფეთქებით წარმოქმნილი დარტყმითი ტალღა, საწარმოო ავარიების დროს, ნაგებობათა ელემენტების ნგრევასთან ერთად იწვევს დიდი რაოდენობით ხალხის მსხვერპლს. აფეთქებით გამოწვეული დაზიანების ზონის ფართობი იზრდება აფეთქების სიმძლავრის გაზრდით.

ავარიებისა და აფეთქებების დროს ნაგებობათა დაზიანების ხარისხი და ხასიათი დამოკიდებულია: აფეთქების სიმძლავრეზე; ობიექტის ნაგებობათა ტექნიკურ მახასიათებლებზე; ობიექტის დაგეგმარებაზე — გაშენების ხასიათზე; გარემოს ლანდშაფტზე; აფეთქების დროს მეტეოროლოგიურ პირობებზე.

სამრეწველო საწარმოების აფეთქებისას ნგრევისაგან დასაცავად ცნობილია ხუთი სახის დაცვა:

1. მდგრადი დამცავი კონსტრუქციების დაპროექტება, რომელსაც შეეძლება აფეთქების დროს წარმოშობილი მაქსიმალური წნევისაზე დაცვა.

- ვითი დატვირთვის გაძლება;
2. ფეთქებასაშიში ზონებში ინერტული გარემოს შექმნა, სადაც ჰაერში უანგბადის შემცველობა იქნება წვის შესანარჩუნებლად აუცილებელ რაოდენობაზე ნაკლები;
 3. ფეთქებასაშიში ზონების დანარჩენი ზონებისაგან იზოლაცია მყარი კედლებით;
 4. ფეთქებასაშიში საწარმოების ისეთ ადგილებში განლაგება, სადაც აფეთქების შემთხვევაში საფრთხე არ დაემუქრება გარემოს;
 5. სპეციალური დამცავი სარქველების დაყენება აფეთქების დროს წარმოქმნილი წნევის შესამცირებლად.

საწარმოებში, აფეთქების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების დაწყებამდე, ავარიის ადგილებს უკეთდებათ შემოლობვა, იზღუდება შესვლა ამ ადგილებში.

აფეთქების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები მოიცავს: დაშავებულთა ძებნას და მათი ნანგრევებიდან გამოყვანას; შენობებსა და ნანგრევებში აფეთქების შედეგად წარმოშობილი ხანძრის ჩა-ქრობას; ტერიტორიის, ნაგებობებისა და ტექნიკის გაუვნებელყოფას, ადამიანების სანიტარულ დამუშავებას; საკომუნიკაციო-ენერგეტიკულ ქსელებში დაზიანების ლიკვიდაციას; დახმარების აღმოჩენას შენობების დროებითი სქემით ფუნქციონირების აღდგენაში.

4.4. ხანძრები

საწარმოო ავარიებისა და სტიქიური უბედურებების დროს ხანძრის გაჩენის ძირითადი მიზეზებია: იმ საქვაბებისა და მილ-სადენების დანგრევა, სადაც მოთავსებულია ადვილადაალებადი და ფეთქებასაშიში სითხეები და აირები; დაზიანებულ და ნაწილობრივ დანგრეულ შენობა-ნაგებობებში მოკლე ჩართვა ელექტრულ ქსელებში; ზოგიერთი ნივთიერებისა და მასალის აფეთქება და ანთებადობა.

ხანძრის გაჩენა უპირველესად დამოკიდებულია წარმოების სახეობასა და შენობა-ნაგებობების შემადგენელი ნაწილების ანთებადობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხზე. ხანძრის მხრივ განსაკუთრებით

საშიშია ნავთობგადამამუშავებელი და ქიმიური ქარხნები, ნავთობ-პროდუქტების საწყობები, ქვანახშირის მომპოვებელი საწარმოები, ხორბლისა და შაქრის საფქვავი განყოფილებები, აგრეთვე ხის დამა-მუშავებელი საწარმოები.

ყველაზე საშიშია წვადი მასალისაგან აგებული შენობა-ნაგე-ბობები. ამავე დროს, უნვი მასალისაგან აგებულმა შენობებმაც შეი-ძლება გაუძლოს ღია ცეცხლის ან მაღალი ტემპერატურის ზემოქ-მედებას მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში. კონსტრუქციის ცეცხლმედეგობის ხარისხი განისაზღვრება დროის იმ მონაცემთით, რომლის განმავლობაშიც კონსტრუქციაში არ ჩნდება გამჭვილი ბზარები, კონსტრუქცია არ კარგავს გამძლეობის უნარს და არ ინ-გრევა.

ხანძრის ქრობის ტაქტიკა ემყარება წვის დროს გამოყოფილი სითბური ენერგიის შემცირებას, საწვავი ნივთიერების ატმოსფერ-ული ჟანგბადისაგან იზოლაციის გაზრდას, აგრეთვე ხანძრის ლო-კალიზაციას, ე.ი. იმ საწვავი ნივთიერების მასის შეზღუდვას, რომელიც შეიძლება მიიზიდოს წვის პროცესში.

საწარმო ავარიების დროს ხანძარი იწვევს ნაგებობის ნგრევას. მაღალი ტემპერატურა იწვევს ლითონის ლერძების, გადამხურავი კოჭებისა და სხვა ელემენტების გადაწვას, დეფორმაციასა და ნგრე-ვას. დეფორმაციას განიცდიან აგრეთვე აგურის კედლები და ბოძები.

ყველაზე საშიშია ხანძარი მაღლივ შენობებში. თანამედროვე მაღ-ლივი შენობების კონსტრუქცია წარმოადგენს იმის შემზარავ მაგალ-ითს, თუ როგორ არ უნდა ვაშენოთ. უმეტეს შემთხვევებში შენობის შიდა კედლები მოპირკეთებულია წვადი მასალისაგან დამზადებული პანელებით. ხშირად ჭერის ფილებიც დამზადებულია ხის წვადი მასალისაგან. შენობებში ხშირად არ არის სახანძრო სიგნალიზაცია.

გარდა ამისა, ხანძარსანინალო ნორმების დაუცველობა, ხანძარ-სანინალო ტექნიკის ჩამორჩენა თანამედროვე მშენებლობის მასშ-ტაბებსა და მოცულობაზე იწვევს ხანძარს, ნგრევას, ადამიანთა მსხვერპლსა და დიდ მატერიალურ ზარალს.

ძალზე საშიშია ხანძარი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების ოპიექტებზე და ნავთობის საბადოებზე საძიებო ჭაბურღლილების ბურ-ღვის დროს. ამ შემთხვევებში ქვიშის მარცვლების ან კენჭების

ლითონის კონსტრუქციებზე ხახუნის შედეგად ცეცხლი უჩნდება ნავთობისა და თანამდევი აირის შადრევანს. ამასთან, ამ დროს დიდი საშიშროება ემუქრება ჭაბურღლის სიახლოვეს განლაგებულ რეზერვუარებს, საკომპრესორო დანადგარებს, ნავთობსადენებს, სახელოსნოებს, ავტოფარეხებს, საცხოვრებელ სახლებსა და ტყის მასივებს.

ასეთი ხანძრის ჩასაქრობად იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის აფეთქებებს, ყუმბარების დამშენებს, სახანძრო ტანკებს, ქვემეხებს, ხანძარსანინაღო დანადგარებს, ტურბორეაქტიული ძრავების ბაზაზე შექმნილ ცეცხლმქრობებს, თვითმფრინავებს — პაერიდან ხანძრის თვალყურის სადევნებლად და ჭაბურღლის მოგიზგიზე პირის დასაბომბად.

საშინელი კატასტროფა ხდება ზღვის ფსკერზე მდებარე ნავთობის საბადოს საძიებო სამუშაოების წარმოებისას, სადაც შესაძლებელია ნავთობის პირდაპირ ზღვაში ჩაღვრა და ამის შედეგად სანაპირო ზოლის გაჭუჭყიანება, ზღვის ცხოველებისა და მცენარეების განადგურება. ზღვაში ჩაღვრილი ნავთობის გავრცელებასთან ბრძოლა უფრო რთულია, ვიდრე სმელეთზე დაღვრილ ნავთობთან ბრძოლა.

რთული სამუშაოების ჩატარებაა საჭირო ქვანახშირის შახტებში მიწისქვეშა ხანძრებისა და ტორფის საძიებო ადგილებში წარმოქმნილი ხანძრის ჩასაქრობად.

მიწისქვეშა გვირაბებში წარმოქმნილი და ზედაპირული მძლავრი ხანძრების ჩაქრობისას მეხანძრები იყენებენ სპეციალურ რესპირატორებს, სითბო-დამცავ კომბინიზონებსა და სხვა დამცავ საშუალებებს.

ხშირად, ხანძარი წარმოიშობა საწვავის ანთებადობის გამო სარკინიგზო, საჰაერო, საავტომობილო და განსაკუთრებით საწყლოსნო ტრანსპორტით გადაზიდვების წარმოებისას.

ხანძარი მსხვილ სამრეწველო საწარმოებსა და დასახლებულ პუნქტებში შეიძლება იყოს ცალკეული (როდესაც იწვის ცალკე მდგომი შენობა ან ნაგებობა) და მასიური (ცალკეულ ხანძართა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს შენობათა 25%-ზე მეტს). გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხანძარი შეიძლება გადავიდეს ცეცხლოვან შტორმში,

რომელიც მოიცავს შენობათა 90%-ზე მეტს. ცეცხლოვანი შტორმი არის ქალაქებში მდგრადი ხანძრის განსაკუთრებული სახე, რომელიც ხასიათდება ზევით ამავალი 5 კმ-ის სიმაღლის წვის პროდუქტების სვეტითა და გამთბარი ჰაერით, აგრეთვე ყველა მხრიდან მოძრავი სუფთა ჰაერის ნაკადით, რომელიც მოძრაობს ცეცხლოვანი შტორმის საზღვრების მიმართულებით 50 — 60 კმ/სთ-ში სიჩქარით.

ხანძრის სალიკვიდაციოდ საწარმოებში აწარმოებენ შემდეგ სამუშაოებს: ხანძრის კერის დაზევერვასა და სახანძრო ვითარების შეფასებას; ადამიანთა ევაკუაციას ცეცხლის შესაძლო გავრცელების ადგილებიდან; მატერიალური ფასეულობების ძებნასა და ცეცხლმოდებული შენობებიდან გარეთ გამოტანას; ხანძრის ქრობას სახანძრო და საინჟინრო ტექნიკის გამოყენებით.

4.5. ავარიები ენერგოსისტემის, საინჟინრო და ტექნოლოგიურ ქსელებში

ენერგოსისტემის დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს ჭექა-ქუხილმა, აფეთქებამ, ხანძარმა, ნაგებობის ჩამონგრევამ, მიწისძვრამ, აგრეთვე თვით ენერგოსისტემის დამოუკიდებელმა ავარიამ.

დანგრეულ ქსელებზე დაზიანების ლოკალიზაცია უნდა ხდებოდეს სწრაფად, მაშველების მისვლისთანავე, ვინაიდან დაზიანების კერის ლოკალიზაციის დაგვიანებით გამოწვეულმა ნგრევამ შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს თავდაპირველი ზარალის მოცულობას. ასე მაგალითად, თუ დაზიანებული წყალსადენის ხაზზე დროზე არ გადაიკეტება ჩამკეტი ონკანი, წყალს, რომელიც დაამსხვრევს დაზიანებულ მილებს, შეუძლია დატბოროს გარშემო არსებული შენობების სარდაფები, საძირკველი გამოუთხაროს ამ შენობებს, გადარეცხოს გზები. ყოველივე ამის გამო მკვეთრად გაიზრდება აღდგენითი სამუშაოების მოცულობა.

განსაკუთრებით დიდი ნგრევა შეიძლება გამოიწვიოს ნავთობ-სადენების, გაზსადენების, თბომომარაგებისა და ტექნოლოგიური მილგაყვანილობის სისტემების სხვა ქსელების დაგვიანებულმა გადაკეტვამ.

აღდგენითი სამუშაოების ძირითადი ამოცანაა ავარიების ლოკალიზაცია წყალმომარაგების, კანალიზაციის აირ- და თბომომარაგების ქსელებში. წყლის მოცილება სარდაფების, თავშესაფრებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების დატბორვისა და დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

ენერგოსისტემებისა და საინჟინრო ქსელების საწარმოო ავარიების ლიკვიდაციისას ტარდება შემდეგი სამუშაოები: ავარიის ადგილის საინჟინრო დაზვერვა; მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელის გამორთვა და სადენებისა და მილსადენების დაზიანების სალიკვიდაციის აღდგენითი სამუშაოები; ხანმოკლე აღდგენითი სამუშაოები ელექტროქსელებსა და მილსადენებში და მათი გადართვა ენერგომომარაგების სხვა წყაროებზე; დახმარების გაწევა დასახლებული პუნქტებისა და საწარმოების ენერგოსისტემებისა და საინჟინრო ქსელების მუშაობის ნორმალური რეჟიმის აღსადგენად.

4.6. ავარიები სატრანსპორტო კომუნიკაციებზე

სატრანსპორტო კომუნიკაციებზე ხშირად ხდება დიდი ავარიები და კატასტროფები. არსებობს საჰაერო, სარკინიგზო, საავტომობილო, საჭაპანო და საწყლოსნო ტრანსპორტის, აგრეთვე მილგაყვანილობის ტრანსპორტისა და ბოლო ხანებში კოსმოსური ავარიები და კატასტროფები. მათ შორის ავარიების მიხედვით პირველ ადგილზეა ავარიები საავტომობილო ტრანსპორტზე.

საავტომობილო ავარიების დიდი რაოდენობა გამოწვეულია ავტომობილის მოძრაობის სიჩქარესა და გზის ტექნიკურ მდგომარეობას შორის შეუსაბამობით, აგრეთვე მძლოლების დაბალი კვალიფიკაციის დონით, გამოუცდელობით, დაბალი დისციპლინითა და სხვა სუბიექტური მიზეზებით.

ადამიანები ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ტრანსპორტის სახეობებს შორის ყველაზე სახიფათოა საავიაციო ტრანსპორტი, მაგრამ სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ სინამდვილეში ავიაკატასტროფებში უფრო ნაკლები ადამიანი იღუპება, ვიდრე ავტოკატასტროფებში.

საპატიო ტრანსპორტით მგზავრობისას ყველაზე სახიფათო მომენტად ითვლება თვითმფრინავის აფრენისა და დაფრენის მომენტები. ავიაკატასტროფებისას ბევრი ადამიანი იღუპება არა დარტყმისაგან, არამედ ხანძრის, კვამლისა და ცეცხლისაგან. ის რომ, ავიაკატასტროფების მსხვერპლთა რიცხვი უზარმაზარი გვგონია, აიხსნება ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზებით. ჰაერში გაფრენილი ადამიანის სრული უმწეობა, დრამატულობა, უურნალისტების მიერ სენსაციურად გადმოცემული ავიაკატასტროფების აღნერილობა ფსიქოლოგიური მოტყუების ძირითადი მიზეზია.

მიუკერძოებელი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველწლიურად ავიაკატასტროფებში იღუპება საშუალოდ 2500 ადამიანი, მაშინ როდესაც, ამავე დროის განმავლობაში ავტოკატასტროფებში იღუპება საშუალოდ 280000 ადამიანი.

საავიაციო შემთხვევებში მაშელი და საავარიო სამუშაოები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ერთი — რაც ტარდება საპატიო ხომალდის ეკიპაჟის მიერ, ხოლო მეორე — რომლებიც ტარდება სახმელეთო სამაშელო სამსახურის მეშვეობით.

საპატიო საავიაციო შემთხვევისას ეკიპაჟის მოქმედების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ეკიპაჟს კრიტიკული მდგომარეობის შეფასებისა და გადაწყვეტილების მისაღებად აქვს მეტად მცირე დრო. ასეთ შემთხვევაში საპატიო ხომალდის ეკიპაჟი დედამიწაზე გადმოსცემს უბედურების სიგნალს და მოახსენებს აეროპორტის დისპეტჩერს მომხდარის შესახებ, თვითმფრინავის ადგილსამყოფელს, ფრენის კურსს და მიღებულ გადაწყვეტილებას. თვითმფრინავის დედამიწაზე იძულებითი დაჯდომის შემთხვევაში მიიღება ყველა საშუალება მგზავრების უსაფრთხოებისათვის. დედამიწაზე დაშვებისას თავისუფლდება ყველა კარი და მათთან მისასვლელები. დედამიწაზე დაჯდომის შემდეგ ორგანიზება უკეთდება მგზავრების დაუყოვნებლივ ევაკუაციას საპატიო ხომალდის ყველა ძირითადი და საავარიო გამოსასვლელებით და მათ მოცილებას თვითმფრინავიდან უსაფრთხო მანძილზე.

ყველა დაშავებულს უნდა გაეწიოს ექიმადელი სამედიცინო დახმარება. ყველა სამუშაოს ხელმძღვანელობს ეკიპაჟის მეთაური, ხოლო მისი განკარგულებები საგალდებულოა შესასრულებლად ეკიპაჟის

ყველა წევრისა და მგზავრისათვის.

ავარიის შესახებ სიგნალის მიღებისთანავე აერპორტის უფროსის განკარგულებით ავარიული დაჯდომის ადგილზე ცხადდება საავარიო-მაშველი რაზმი, რომლის შემადგენლობაში შედის საპარო ძიების, საავარიო და სამაშველო სამუშაოების, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, სახანძრო-საევაკუაციო და დაცვის სამსახურის ჯგუფები, აგრეთვე სამოქალაქო თავდაცვის ფორმირებები.

სატრანსპორტო ავარიების ერთ-ერთი სახეა ავარია საზღვაო ტრანსპორტზე. მმიმე ავარიებისა და კატასტროფების უმეტესობა გემებზე ხდება სტიქიური მოვლენების (გრიგალი, შტორმი, ნისლი) ზემოქმედების შედეგად, აგრეთვე ადამიანების დაუდევრობის მიზეზით.

საზღვაო ტრანსპორტზე კატასტროფებისა და ავარიების მიზეზი შეიძლება გახდეს გემის დაპროექტებისა და მშენებლობის ან მათი ექსპლუატაციის დროს დაშვებული შეცდომები. ექსპლუატაციის დროს დაშვებულ შეცდომებს მოსდევს შეჯახება, გადაბრუნება, მეჩეჩზე შეჯდომა, აფეთქება, ხანძარი ბორტზე და სხვა.

გემზე მომხდარი ავარიისა და კატასტროფის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში და წყალში ჩავარდნილთა გადარჩენაში მონაწილეობს ეკიპაჟის მთელი შემადგენლობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გემის კაპიტნის გადაწყვეტილებით, გემზე მყოფი ყველა პირი.

სამაშველო სამუშაოების ხელმძღვანელია გემის კაპიტანი — სამოქალაქო თავდაცვის უფროსი. მთავარ ამოცანას წარმოადგენს ხალხის გადარჩენა დახრჩობისაგან, გემის გადარჩენა ჩაძირვისაგან, წარმოქმნილი ხანძრის ჩაქრობა, დაშავებულთათვის პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ავარიაში მოხვედრილი გემის გადარჩენის სამუშაოებში მონაწილეობენ სპეციალური მაშველი გემებისა და ავარიის ადგილთან ახლოს მყოფი სხვა გემების ეკიპაჟის წევრები, საავარიო-სამაშველო, გემთამწე და ტექნიკური სამუშაოების ჩამტარებელი სპეციალური ქვედანაყოფები.

საზღვაო ავარიებსა და კატასტროფებს შორის განსაკუთრებით სახიფათოა ტანკერების ავარიები, ვინაიდან ამ დროს წარმოიშობა მრისხან საშიშროება — ნავთობის ჩაღვრა საზღვაო აკვატორიაში.

მსოფლიო ოკეანეში ყოველწლიურად იღვრება 5 მილიონ ტონაზე მეტი ნავთობი, მათგან 1 მილიონი ტონა იღვრება ტანკერების რეცხვისას. ამჟამად ძალიან რთულად გადასაწყვეტი პრობლემაა აკვატორიების, ნავსადგურებისა და წყალსატევების გაწმენდა იმ ნავთობისაგან, რომელიც ავარიების შედეგად ჩაიღვარა წყალში.

ტანკერებზე მომხდარი ავარიების დროს სამაშველო სამუშაოების წარმოებისას წყდება ნავთობის ჩასხმის ან ამოქაჩვის ოპერაციები; წარმოებს საწვავის საცავების, გემბანისა და გემის ბორტების გაცივება; იკეტება უწვი სითხეების რეზისუარების სახურავები; ცარიელი საცავები ივსება წყლით ან ინერტული აირით; ეწყობა საწვავი სითხეების უონვის საწინააღმდეგო საშუალებები. ყველა ამ სამუშაოს ხელმძღვანელობას უწევს შესაბამისი საზღვაო სანაოსნოს უსაფრთხოების სამსახური.

სატრანსპორტო ავარიებს ეკუთვნის აგრეთვე ავარიები სარკინიგზო ტრანსპორტზე. ამ ავარიების ძირითადი მიზეზებია გზის, მოძრავი შემადგენლობის, მართვის ტექნიკური საშუალებების (სიგნალიზაცია, ბლოკირება) უწესრიგობა, მოძრაობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთა შეცდომები, მოძრაობის წესების დარღვევა და სხვა.

რკინიგზის ტრანსპორტზე მომხდარი ავარიებისა და კატასტროფების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების თანამიმდევრობა დამკიდებულია დაშავებულთა რაოდენობაზე და მათ მდგომარეობაზე, ავარიის სახეობაზე და დაზიანების მოცულობაზე, გადასაზიდი ტვირთის სახეობაზე, წელიწადის დროზე, დღე-ლამის პერიოდზე, აღსადგენი სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ძალების, საშუალებებისა და მასალების ადგილზე არსებობასა და მათი დამატებით მოზიდვის შესაძლებლობაზე.

4.7. მავნე ნივთიერებების გაუონვა და გარემოს დაპინძურება

ავარია შეიძლება მოხდეს იმ ობიექტებზე, სადაც აწარმოებენ ან იყენებენ ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებებს. ასეთი ავარიების

წარმოქმნის მიზეზებია: ქიმიური ნივთიერებების ზენორმატიული მარაგი, მათი ტრანსპორტირებისა და შენახვის წესების დარღვევა, წარმოებაში მათი გამოყენებისას უსაფრთხოების ზონების დაუცველობა, ცალკეული აგრეგატების, მექანიზმებისა და მილსადენების მწყობრიდან გამოსვლა და სხვ.

ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების რაოდენობის, ფიზიკური თვისებების და ტოქსიკურობის, ქარის ქროლვის სიჩქარის, ატმოსფეროს მდგომარეობის, ადგილმდებარეობის რელიეფისა და ჰაერის ტემპერატურის შესაბამისად მოწამლული ზონა შეიძლება წარმოქმნას მნიშვნელოვანი ფართის მქონე ტერიტორიაზე.

ძლიერმოქმედ შხამიანი ნივთიერებათა მწარმოებელ ან მათ მომხმარებელ ობიექტებზე ავარიის შედეგად მომსახურე პერსონალმა და ახლო-მახლოს მაცხოვრებლებმა შეიძლება მიიღონ მძიმე მოწამვლა ამ ნივთიერებებით, გარდა ამისა შეიძლება ადგილი ჰქონდეს საპაერო ან წყლის აუზის მოწამვლას, ცხოველებისა და მცენარეების დაავადებასა და დალუპვას.

ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერების მიერ შექმნილი მოწამლული კერა ხასიათდება თავისი გამძლეობით. ქიმიური ნივთიერებების აორთქლების სიჩქარე დამოკიდებულია ჰაერისა და მიწის ტემპერატურაზე, ქარის ქროლვის სიჩქარეზე და ატმოსფეროს ვერტიკალური მდგრადობის დონეზე, აგრეთვე ადგილის რელიეფსა და განაშენიანობის სიმჭიდროვეზე.

ასხვავებენ ჰაერის მიწისპირა ფენის მდგრადობის სამ ხარისხს: პირველი ხარისხი — ინვერსია (ჰაერის კვედა ფენა ზედა ფენებთან შედარებით ცივია), მეორე ხარისხი — იზოთერმია (ჰაერის ტემპერატურა მიწის ზედაპირიდან 20 — 30 მ-ის სიმაღლეზე ერთნაირია), მესამე ხარისხი — კონვექცია (ჰაერის კვედა ფენა ზედა ფენებთან შედარებით უფრო გამთბარია).

ინვერსია და იზოთერმია ხელს უწყობს ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების უფრო მაღალი კონცენტრაციის შენარჩუნებას. ჰაერის მიწისპირა ფენაში ისინი ხელს უწყობენ მოწამლული ჰაერის დიდ მანძილზე გავრცელებას. კონვექცია ინვევს მოწამლული ჰაერის ძლიერ გაფანტვას და ჰაერში შხამიანი ნივთიერებების კონცენტრაციის სწრაფად შემცირებას. მცენარეული საფარი (ტყე, ბუჩქნარი,

ხშირი ბალახი) ხელს უწყობს მოწამლული პაერის მდგრადობასა და მოწამვლის ხანგრძლივობის გაზრდას.

ასეთი სახის ავარიების შედეგების ლიკვიდაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოწამვლის კერის დროულ და ხარისხიან დაზვერვას. მას აწარმოებს სამოქალაქო თავდაცვის ორგანოები, რადიაციული და ქიმიური დაზვერვის ფორმირებები. დაზვერვისას განისაზღვრება ავარიის ადგილი და მომწამლავი ნივთიერებების ტიპები, ობიექტის მოწამვლის ხარისხი, მოწამვლის გავრცელების სივრცე, შემოსავლელი გზები და უსაფრთხო გამოსასვლელები. დაზვერვის დროს, საჭიროებისამებრ, იღებენ გრუნტის, წყლისა და სხვადასხვა საგნების ზედაპირებიდან მტვრის სინჯებს და მათ გზავნიან ლაბორატორიაში საანალიზოდ.

ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების ატმოსფეროში ან მიწის ზედაპირზე აღმოჩენისთანავე საშიშროების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ობიექტის მუშა-მოსამსახურეებსა და ობიექტის ახლომდებარე ზონის მოსახლეობას. საშიშროების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე საჭიროა საჩქაროდ სასუნთქი ორგანოების ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ჩამოცმა, კანის დამცავი მარტივი საშუალებების მოხურვა (ლაბადა, მოსასხამი) და რაც შეიძლება მოკლე დროის განმავლობაში ავარიის რაიონის დატოვება.

სახლებში დარჩენილი ადამიანები კეტავენ ფანჯრებს, სარკმელებს, ჰერმეტიზაციას უკეთებენ მთელ ბინას, გამორთავენ გამათბობელ ხელსაწყოებს, გაზეურას, ელექტრონხელსაწყოებს, აქრობენ ცეცხლს ღუმელში.

სასუნთქი ორგანოების დასაცავად გარდა აირწინალებისა შეიძლება გამოვიყენოთ უმარტივესი, თვითნაკეთი — წყალში დასველებული ქსოვილის ნიღაბი.

ავარიული რაიონიდან მოსახლეობის ევაკუაცია წარმოებს ძირითადად მომწამლავი ღრუბლების მოსვლამდე. ხალხის შეკრება ტარდება სახლებსა და სადარბაზოებში.

ავარიულ ობიექტში, პირველ რიგში ტარდება მუშაობა შხამიანი ნივთიერების შემდგომი გამოფრქვევის შესაწყვეტად. ამისათვის გამოირთვება დაზიანებული უბანი, გადაიკეტება ონკანები, მიღსადენებზე და საცავებში გაჩენილ ბზარებს შემოაკრავენ სარტყელებს,

გაუკეთებენ საცობებს, დაზიანებული სათავსებიდან მომწამლავი ნივთიერებები გადაისხმება (გადაიყრება) გამართულ სათავსებში.

რთული სამაშველო სამუშაოების ჩატარება საჭიროა შახტებისა და მაღაროების დაგაზიანების დროს. დაგაზიანება შეიძლება წარმოიქმნას მიწისქვეშა სამუშაოების დამცავ ნაგებობებშიც, რომლებშიც არაა მოწყობილი ჰაერის სრული რეგენერაციის სისტემა, აგრეთვე მიწისქვეშა ხანძრების დროს. ამასთან სამაშველო სამუშაოები ასეთ შემთხვევებში უნდა ჩატარდეს მაიზოლირებელი რესპირატორების გამოყენებით, ხოლო დაგაზიანებული შენობებიდან დაშავებულთა გამოყვანისას უნდა გამოვიყენოთ თვითმაშველები.

მოწამლული რაიონის საზღვრები უნდა აღინიშნოს თვალსაჩინოდ, რათა მის შიგნით არ შევიდნენ ის პირები, რომლებიც არ მონაწილეობენ ავარიის შედეგების საღიკვიდაციო სამუშაოებში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების ანაორთქლის გავრცელების მეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, რათა განისაზღვროს შედარებით უსაფრთხო მიმართულების მარშრუტები ადამიანების გამოსაყვანად. ავარიის ზონიდან ხალხის გამოყვანა ხდება უმოკლესი მარშრუტებით ქარის მიმართულების მართობულად, სასურველია მაღლობებისაკენ, სადაც ჰაერის მოძრაობა უფრო ინტენსიურია.

დაშავებულებს სამედიცინო დახმარება უნდა გაეწიოს უმოკლეს დროში. მათ უნდა ჩამოაცვან აირწინალები ან თვითმაშველები, ხოლო თუ სხეულზე ან ტანსაცმელზე აღმოაჩნდებათ მომწამლავი ნივთიერების ნიშნები, აუცილებელია მათი გაუსწებოვნება. ამ ნივთიერებების კანზე ან თვალში მოხვედრისას აუცილებელია მათი მობანვა სუფთა წყლით.

როგორც წესი, არ შეიძლება მოწამლულისათვის ხელოვნური სუნთქვის ჩატარება, ამან შესაძლებელია უფრო დამძიმოს დაშავებულის მდგომარეობა.

დაზიანების კერის ლოკალიზაციის შემდეგ ტარდება მოწამლული ადგილების, ნაგებობებისა და მოწყობილობების დეგაზაცია. სადეგაზაციოდ გამოიყენება ის ნივთიერებები, რომლებიც ანეიტრალებენ შესაბამის ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებებს.

სამუშაოების დაწყების წინ ტარდება უსაფრთხოების მოთხ-

ოვნებთან დაკავშირებული ინსტრქტაჟი, იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის მომწამლავი ნივთიერებაა გავრცელებული და რა მდგრ-მარეობაა შექმნილი ავარიის ზონაში. მუშაობის დროს ადამიანებისა და ტექნიკის მიმოსვლა ორგანიზებულ იქნეს მომწამლავი ნივთიერე-ბის საშიშროების ხარისხის შესაბამისად.

სამუშაოების დამთავრების შემდეგ სპეციალური შეკრების რაი-ონში ტარდება ადამიანებისა და ტექნიკის სპეციალური გაუსნე-ბოვნების ღონისძიებანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს კანის დაცვის ინდივიდუალურ საშუა-ლებათა გამოყენების ცოდნას. კანის დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა დამცავი კოსტუმი. ჩვეულებრივი ტანსაცმლის დამცავუნარიანობის ამაღლებისათვის საჭიროა დამატებითი ჰერმეტიზაციის ჩატარება.

უკანასკნელ წლებში პარის დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი წყარო გახდა საავტომობილო ტრანსპორტი. ამ პრობლემის აქტუ-ალობა, რომელიც მეორე ადგილზე მსოფლიოში, მშვიდობის პრობ-ლემის შემდეგ, იმდენად დიდია, რომ მის გადასაწყვეტად აუცი-ლებელია მსოფლიოს კველა ქვეყნის ძალისხმეულის გაერთიანება.

სამრეწველო საწარმოების, ქარხნების მილებიდან ატმოსფეროში ხვდება სულ უფრო მეტი რაოდენობის გამონაბოლქვი აირი, რო-მელიც აპინძურებს გარემოს და უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჩვენი პლანეტის განიავებაზე, ცვლის მის რადიაციულ სარტყელს და საბოლოო ჯამში ცვლის ამინდსა და კლიმატს. ეს კი თავის მხრივ გავლენას ახდენს დედამიწის სასიცოცხლო გარემოზე.

უკანასკნელ წლებში, გლობალურ სანიტარულ პრობლემად გადა-იქცა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ლიკვიდაცია, ვინაიდან მათი მნი-შვნელოვანი ნაწილი არ იწვის, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილის წვისას გამოიყოფა შხამიანი კვამლი. ქიმიური პროდუქტები აპინ-ძურებენ გრუნტის წყლებს, ხოლო დამპალი ნაგავი გამოყოფს მეთანს.

ადამიანის ჯანმრთელობას დიდ ზიანს აყენებს ე.ნ. სმოგი. სმოგი — განსაკუთრებული ატმოსფერული მოვლენა მძიმე და სქელი ნის-ლის სახით, რომელიც გაუღენთილია ქალაქის კვამლით. სმოგის დროს აიროვანი ნივთიერებები, რომლებიც ჰაერში ხვდება, იხსნება ნისლის წვეთებში.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე საჭიროა დროულად

იქნეს მიღებული ზომები, რათა მავნე აირებისა და ნივთიერებების კონცენტრაცია შეესაბამებოდეს სანიტარულ ნორმებს და ადამიანების ჯანმრთელობას არ დაემუქროს საშიშროება.

4.8. რადიაქტიური დაბინძურება

კატასტროფული შედეგები მოაქვს დიდ ავარიებს ატომურ ელექტროსადგურებში (აეს) და იმ ობიექტებზე, სადაც წარმოებაში გამოყენებულია რადიაქტიური ნივთიერებები, რომელთა გაუონვას შეუძლია ვრცელი ტერიტორიის მონამვლა.

აეს-ის ავარია იწვევს რადიაქტიური ნივთიერებების გამოფრქვევას და რადიაქტიურ დაბინძურებას (მონამვლას) ვრცელ ტერიტორიაზე. ამ მოვლენის წარმოქმნისას საწარმოს მუშა-მოსამსახურებსა და ახლომდებარე მოსახლეობაზე ზემოქმედებას ახდენს გამაგამოსხივება, ხოლო სუნთქვისას, აგრეთვე საჭმელისა და წყლის მიღების დროს რადიაქტიური ნივთიერებები ხვდება ადამიანის ორგანიზმში და იწვევს შინაგან რადიაციულ დასხივებას.

აეს-ში ავარიის მოხდენის შესახებ სიგნალის მიღებისთანავე მუშაცვლა წყვეტის მუშაობას და იმაღება თავშესაფარში, ხოლო აეს-დან 30 კმ-ის რადიუსით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა თავს აფარებს დამცავ ნაგებობებში ან ევაკუირებულ იქნეს. დამცავი ნაგებობების შევსება ხდება სწრაფად და ორგანიზებულად. მათში ადამიანების შესვლა წყდება სიგნალით: „დააიხუროს დამცავი ნაგებობა“.

თავშესაფარში მოთავსებულებს თან უნდა ჰქონდეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (რესპირატორი ან აირწინალი), სამიღლის წყლის მარაგი, კვების პროდუქტები (პოლიეთილენის ან მუშამბის სახვევში), პირადი ჰიგიენის საგნები, ყველაზე აუცილებელი პირადი ნივთები და საბუთები. კატეგორიულად აკრძალულია თავშესაფარში დიდი გაბარიტების მქონე ნივთების, ადვილადალებადი ნივთიერებების შეტანა და შინაური ცხოველების შეყვანა.

თავშესაფარში ყოფნისას აკრძალულია საჭიროების გარეშე შენობაში სიარული, თამბაქოს მონევა, ასანთისა და ნათურის ან-

თება, წყლისა და სურსათის უნებართვო ხარჯვა.

ევაკუაციის დაწყების შესახებ სიგნალის მიღებისთანავე ყველამ სწრაფად უნდა მოაგროვოს ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები და ჩააწყოს ისინი ჩემოდნებში ან ზურგჩანთებში. მათ უნდა ჩამოეკიდოს საჭდე, რომელზეც აღნიშნული უნდა იყოს ევაკუირებულის გვარი, ინიციალები, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ევაკუაციის ბოლო პუნქტი.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტანსაცმელსა და თეთრეულზე უნდა გაკეთდეს ნაქარგი შემდეგი აღნიშვნებით: გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ევაკუაციის ბოლო პუნქტი.

ბინიდან გამოსვლისას საჭიროა გამოირთოს ყველა გასანათებელი და გამათბობელი ხელსაწყო, დაიკეტოს წყლისა და ბუნებრივი აირის ონკანები, ფანჯრები და სარკმელები. თუ ოჯახში რჩება მოსუცები და ავადმყოფები, რომელთა ევაკუაციაც ვერ ხერხდება, ამის შესახებ საჭიროა მოხსენდეს საევაკუაციო პუნქტის უფროსს სათანადო ზომების მისაღებად.

დანიშნულ დროს ევაკუაციას დაქვემდებარებული ყველა პირი უნდა გამოცხადდეს საევაკუაციო პუნქტში, გაიაროს რეგისტრაცია და გაემგზავროს წინასწარ დადგენილ უსაფრთხო რაიონში. ევაკუაციის ბოლო პუნქტში ჩასვლისას საჭიროა მან ხელახლა გაიაროს რეგისტრაცია და უნდა მიაკითხოს თავისი განთავსების ახალ ადგილს.

ევაკუირებულებს უფლება არა აქვთ, დამოუკიდებლად, ადგილობრივი საევაკუაციო ორგანოების ნებართვის გარეშე, აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდნენ ერთი რაიონიდან მეორეში. თუ ევაკუირებულებს მდგომარეობა აიძულებს, რომ თავი შეაფარონ ბინაში ან საწარმოო შენობაში, საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად ჩაატარონ შენობის სათანადო ჰერმეტიზაცია. საჭიროა გვახსოვდეს, რომ რადიაციული დასხივება ბევრად მცირდება შენობის შიგნით. ასე მაგალითად, აგურის კედლები ამცირებს გამოსხივებას 5 — 10-ჯერ, ხოლო რკინა-ბეტონის კედლების მქონე თავშესაფარში რადიაციული დასხივება პრაქტიკულად გამორიცხულია.

სოფლის ადგილებში შინაური ცხოველები დამწყვდეულ იქნეს

მუდმივად სამყოფ ადგილებში, ხოლო მომსახურე პერსონალმა თავი უნდა შეაფაროს ფერმების სიახლოვეს მოწყობილ რადიაცია-საწინაღო თავშესაფრებში.

მოწამლულ ადგილებში ყოფნისას საჭიროა დავიცვათ მეტად დიდი სიფრთხილე: უნდა ვისარგებლოთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; საჭიროების გარეშე არ უნდა გავიდეთ ქუჩაში; თავშესაფრიდან უნდა გამოვიდეთ იშვიათად და ისიც მცირე ხნით და აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ინდივიდუალური დაცვის ყველა საშუალება.

რადიაციული დასხივებით დაშავებულთა პირველი სამედიცინო დახმარება ტარდება სანიტარული რაზმის მებრძოლების ძალებით, თუმცა შესაძლებელია და აუცილებელიც, რომ მოსახლეობამაც იცოდეს დაშავებულთათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ყველა ასეთ შემთხვევაში როგორც დამხმარემ, ასევე დაშავებულმაც, უნდა გამოიყენოს აირწინაღი.

დასხივების ზონაში ყოფნისას მეტად ეფექტურია ინდივიდუალური აფთიაქის გამოყენება, რომელშიც მოთავსებულია: ანტირადიაციული, გულის რევის საწინააღმდეგო, ანტიბაქტერიული და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები და ანტიდოტები (საწამლავის საწინააღმდეგო ინექციები).

სხივური ან ინფექციური ავადმყოფობით დაავადებულები, თუ შეუძლებელია მათი სწრაფი ევაკუაცია სამკურნალო დაწესებულებაში, უნდა მოთავსდნენ ცალ-ცალკე და დანარჩენი (ჯანმრთელი) მოსახლეობისაგან იზოლირებულად.

რადიაქტიური ნივთიერებებით დაშავებულთა მოვლისას აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების მკაფრი დაცვა:

1. ექიმის ყველა დანიშნულების აუცილებელი შესრულება და ორგანიზმის ტემპერატურისა და პულსის მეთვალყურეობა;
2. ავადმყოფის ლოგინისა და თეთრეულის სისუფთავე;
3. დაშავებულის პირის ღრუს რეგულარული მოვლა და საჭმელის ყოველი მიღების შემდეგ საჭმელის სოდის 2%-იან ხსნარში დასველებული ტამპონით პირის ღრუს გამოსუფთავება;
4. მხოლოდ გადადულებული წყლის სმა;
5. დღე-ღამეში არანაკლებ ორჯერ პალატებში ჰაერის გასუფთავება,

- ოთახების დასუფთავება სადეზინფექციო ხსნარის გამოყენებით;
6. ავადმყოფთან კონტაქტისას საჭიროა გამოვიყენოთ ბამბა-მარლის ნიღაბი და სპეციალური ტანსაცმელი, ხელთათმანები და რეზი-ნის ფეხსაცმელი, რომლებსაც სისტემატურად უნდა უკეთდე-ბოდეს დეზინფექცია.

რადიაქტიური ავარიების სალიკვიდაციო და სამაშველო სა-მუშაოების ჩატარებისას აუცილებელია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება: პირველ რიგში აირნინალების, რესპირა-ტორების, მსუბუქი დამცავი კოსტუმების, ხელთათმანების, რომელთა ჩატანა-გახდა უნდა ხდებოდეს სპეციალურად მოწყობილ ადგილებში.

მუშაობის დამთავრების შემდეგ (ყოველი სამუშაო დღის ბოლოს) საჭიროა დოზიმეტრული კონტროლის გავლა, შემდეგ კი უნდა ჩატარდეს სათანადო სანიტარული დასუფთავება. იმ შემთხვევაში, თუ ტანსაცმელი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები დასხივებუ-ლია დასაშვებ ნორმაზე მეტად, საჭიროა ისინი გამოიცვალოს.

სასტიკად აკრძალულია მოწამლულ ტერიტორიაზე საჭმელისა და სასმელის მიღება, სიგარეტის მოწევა და დასვენება, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების მოხსნა, დაჯდომა და დაწოლა, აგრეთვე მოწამლულ ნივთებთან ხელით შეხება.

დასხივებული ტერიტორიის გაუსწოვნებოვნების დროს არ შეიძლება სასუნთქი ორგანოებისა და კანის ინდივიდუალური დაცვის საშუალე-ბათა მოხსნა.

დასხივების ზონაში დეზაქტივაციის ჩატარებისას უნდა ჩამოიწ-მინდოს სათავსის კედლები, ჭერი, ავეჯი და ყველა სხვა საგანი ჯა-გრისით ან ცოცხით, შემდეგ კი სველი ჩვრით. იატაკი უნდა მოირეცხოს საპნიანი წყლით.

სურსათისა და წყლის შესანახი ჰერმეტული ტარა უნდა გაირე-ცხოს წყლით, ხოლო გაშრობის შემდეგ სურსათი უნდა გადატანილ იქნეს სხვა ტარაში.

არაჰერმეტულ ტარაში შენახული სურსათის (კარაქი, ყველი, ხა-ჭო, ხორცი) დეზაქტივაცია უნდა მოხდეს ამ პროდუქტიდან 2 - 3 მმ სისქის ზედა ფენის მოცილებით; თევზი, ბოსტნეული და ხილი უნდა გაირეცხოს გამდინარე წყლით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათაც მოცილდეს ზედა ფენა; კარტოფილი, სტაფილო და სხვა ბოსტ-

ნეული გულმოდგინეთ უნდა გაირეცხოს, გაიწმინდოს და მოიხარ-შოს, რეე უნდა ადულდეს; სხვა თხევადი პროდუქტებისა და წყლის დეზაქტივაცია უნდა ჩატარდეს 3 — 5-დღიანი დალექვით ან გაფილ-ტვრით.

ჭების გაუსნებოვნებისათვის საჭიროა იქიდან წყლის მთლიანად ამოქაჩვა, ჭის ფსკერიდან გრუნტის მოჭრა, კედლების მორეცხვა და ჭის მიმდებარე ტერიტორიის დეზაქტივაცია ჭის გარშემო 15 — 20 მ-ის რადიუსით მოცილებულ ტერიტორიაზე 5 — 10 სმ სისქის მი-ნის ზედა შრის მოჭრით და მის ადგილზე სუფთა ქვიშის დაყრით.

მოუწამლავ ტერიტორიაზე გამოსვლის შემდეგ საჭიროა: სასუნ-თქი ორგანოებისა და კანის დამცავი ინდივიდუალური საშუალებე-ბის მოხსნა, ზედა ტანსაცმლის გახდა და ქარის ქროლვის სანინაალდეგოდ ზურგით დგომისას ფრთხილად გაფერთხვა მტვრის მოსაცილებლად, შემდეგ კი ჩამოვიდება და ზემოდან ქვევით ჩამოწ-მენდა; ფეხსაცმელების გაწმენდა მტვრისაგან და გახეხვა სველი ჩვრით; გამდინარე წყალში ტანსაცმლისა და თეთრეულის ამოვლება; ხელთათმანების გაფერთხვა და სველი ჩვრით გაწმენდა; აირწინალის დეზაქტივაცია, მტვერსაწინალო მარლის ნილბის გაფერთხვა, ბამბა-მარლის ნიღაბში გამოყენებული დოლბანდის მიწაში ჩამარხვა.

საჭიროა ჩატარდეს ნაწილობრივი სანიტარული დამუშავება: ხელების საპნიანი წყლით გულდასმით დაბანვა, ფრჩხილების გაწ-მენდა, პირის ისეთნაირად დაბანვა, რომ ნაბანი წყალი არ მოხვდეს თვალებში, პირში და ცხვირში. სხეულის შიშველი ნაწილების ჩა-მობანვა, სუფთა წყლის პირში, ცხვირში, ყელში გამოვლება, თვა-ლების ამობანვა.

პირველი შესაძლებლობისთანავე საჭიროა ჩავიტაროთ მთლიანი სანიტარული დამუშავება, რომლის დროსაც აუცილებელია სხეულის, ტანსაცმლისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისათვის დოზიმეტრული კონტროლის ჩატარება. თუ ამ დამუშავებისა და დოზიმეტრული კონტროლის შედეგად აღმოჩნდება, რომ დასხივება დასაშვებ სანიტარულ ნორმაზე მეტია, საჭიროა სრული სანიტარული დამუშავების ხელახალი ჩატარება.

4.9. ჰიდროდინამიკური ავარიები

ჰიდროდინამიკური ავარია საგანგებო მოვლენაა, რომელიც დაკავშირებულია ჰიდროტექნიკური ნაგებობის ან მისი ნაწილის მწყობრიდან გამოსვლასა (ნგრევასა) და წყლის დიდი ნაკადის უმართავ გადაადგილებასთან, რასაც თან სდევს ნგრევა და დიდი ტერიტორიის დატბორვა.

იგი წარმოიქმნება ბუნებრივი ძალების (მიწისძვრა, ქარიშხალი, კაშხალის წალევა) ან ადამიანის ზემოქმედების (ბირთვული ან ჩვეულებრივი იარაღით დარტყმის მიყენება) შედეგად, აგრეთვე კონსტრუქციული დეფექტების ან პროექტირების დროს დაშვებული შეცდომების გამო.

კაშხალის გარღვევის (ნგრევის) ძირითად შედეგს, ჰიდროდინამიკური ავარიის დროს, წარმოადგენს ადგილმდებარეობის კატასტროფული დატბორვა. ამ შემთხვევაში იქმნება დატბორვის ზონები. თუ ამ ზონაში ადგილი აქვს ადამიანის მასობრივ დანაკარგებს, შენობა-ნაგებობების ნგრევას, სხვადასხვა მატერიალური ფასეულობების განადგურებას, ეწოდება კატასტროფული დატბორვის ზონა. ამ ზონის ზომები განისაზღვრება წინასწარ, ჰიდროტექნიკური ობიექტის დაპროექტების დროს.

ავარიების დროს დატბორილი ტერიტორიები წყლის ქვეშ შესაძლოა იმყოფებოდეს რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღე-ღამედე. დატბორვის ზონის პარამეტრები დამოკიდებულია წყალსაცავის ზომაზე, წყლის დაწევასა და კონკრეტული ჰიდროკვანძის მახასიათებლებზე, აგრეთვე ადგილის ჰიდროლოგიურ და ტოპოგრაფიულ თავისებურებებზე.

ძირითად ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, რომელთა ნგრევას მოჰყვება ჰიდროდინამიკური ავარია, წარმოადგენს: კაშხალი, წყალმდობი და წყალშემკრები ნაგებობები (რაბები).

კაშხალი არის ჰიდროტექნიკური ნაგებობა (ხელოვნური კაშხალი) ან ბუნებრივი წარმონაქმნი (ბუნებრივი კაშხალი), რომელიც მდინარის კალაპოტში ქმნის წყლის დონეებს შორის სხვაობას.

ხელოვნური კაშხალი არის ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომელიც აგებულია ადამიანის მიერ თავისი საჭიროებისათვის და

მოიცავს პიდროელექტროსადგურის (ჰეს) კაშხალს, წყალმდობებს, დამბებს, ზღუდეებს, საგუბრებსა და სხვ. ნაგებობებს.

ბუნებრივი კაშხალი იქმნება ბუნებრივი ძალების ზეგავლენით. მაგალითად: მეწყერის, ღვარცოფის, ზვავის, მიწისძვრის შედეგად კაშხალის ნინ გროვდება წყალი და იქმნება ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსაცავი.

წყალსაცავი შეიძლება იყოს მოკლევადიანი ან გრძელვადიანი. გრძელვადიანი ხელოვნური წყალსაცავია პიდროელექტროსადგურის კაშხლის ზევით მოწყობილი, აგრეთვე სარწყავი და სასმელი წყლის სისტემის წყალსაცავები.

მოკლევადიანი ხელოვნური კაშხალი იქმნება მდინარის დინების მიმართულების დროებით შესაცვლელად ჰეს-ის ან სხვა პიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობის დროს.

გრძელვადიანი ბუნებრივი წყალსაცავი შეიძლება წარმოიქმნას კლდის მყარი ქანების ჩამონაზვავით მდინარის გადადაკეტვის შედეგად.

მოკლევადიანი ბუნებრივი კაშხალი წარმოიქმნება მდინარის კალაპოტის ფხვიერი გრუნტით, თოვლით ან ყინულით გადაკეტვის შედეგად.

როგორც წესი, ბუნებრივ და ხელოვნურ კაშხალებს გააჩნიათ წყალგამომშვებები, ხელოვნური კაშხალებისათვის — მიზანმიმართულად მოწყობილი, ხოლო ბუნებრივი კაშხალებისათვის — შემთხვევით წარმოქმნილი.

5. საჭარმოო აკარიებისა და სტიქიური უგეღურებების შედებების ლიკვიდაცია

5.1. დაზიანების კერებისა და დანგრეულ ნაგებობათა კლასიფიკაცია და დახასიათება

დაზიანების კერა ეწოდება ტერიტორიას, რომელზეც განლაგებულია შენობა-ნაგებობები, საინჟინრო ქსელები, კომუნიკაციები, მოწყობილობები, ტექნიკა, პირადი შემადგენლობა და ექვემდებარება დაზიანებას, ნგრევას ან რომელიმე კატასტროფის შემთხვევაში მოწამვლას. დაზიანების კერა შეიძლება იყოს უბრალო (მარტივი) ან რთული.

უბრალო (მარტივი) ეწოდება ერთი დამაზიანებელი ფაქტორის მოქმედების შედეგად წარმოქმნილ დაზიანების კერას. მაგალითად, ნგრევა აფეთქებით, ხანძრით ან მხოლოდ ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური მოწამვლით.

რთული ეწოდება დაზიანების კერას, რომელიც წარმოიქმნება რამდენიმე დამაზიანებელი ფაქტორის ერთდროული მოქმედების შედეგად. მაგალითად, საწარმოო ავარიების დროს აფეთქება თავის მხრივ გამოიწვევს ნგრევას, ჩახერგილობას, ხანძარს, გარემოს მოწამვლას; მიწისძვრები და ქარიშხალი ნაგებობათა ნგრევასთან ერთად იწვევს სანაპირო ზოლის დატბორვას და ა.შ.

დაზიანების კერის ფორმა დამაზიანებელი ფაქტორების მიხედვით შეიძლება იყოს: მრგვალი — აფეთქების ან მიწისძვრის შემთხვევაში; ზოლისებრი — ქარიშხლის, ქარბორბალას, დატბორვის, ნიაღვრის ან მეწყერის დროს; არასწორი ფორმის — ხანძრის, ცუნამის, ზვავის ან სხვა მოვლენისას.

ნგრევას ახასიათებს ნგრევათა შედეგების ერთობლიობა. ობიექტის ნაგებობათა ნგრევები პირობითად შეიძლება დავყოთ ოთხ სახეობად: სრული, ძლიერი, საშუალო და სუსტი ნგრევა.

საცხოვრებელი და სამრეწველო შენობების შემთხვევაში ზოგჯერ დამატებით გამოიყოფა ნგრევის მეხუთე სახე — მსუბუქი ნგრევა.

ნგრევის ხასიათი დამოკიდებულია ნაგებობათა კონსტრუქციაზე, მათ განლაგებაზე, აფეთქების სიმძლავრეზე და აფეთქების ცენტრი-

დან მანძილზე.

სრული ნგრევისას მთლიანად ჩამოიშლება, ჩამოწვება შენობა-ნაგებობები.

ძლიერი ნგრევის დროს შეიძლება ნაწილობრივ შენარჩუნებულ იქნას საძირკველი და გამძლე მიწისქვეშა სათავსები; საინჟინრო ქსელები იჭყლიტება ან სკდება. ასეთი ობიექტების აღდგენა, როგორც წესი, შეუძლებელი და მიზანშეუწონელია.

საშუალო ნგრევისას შენობის კოლოფი (ჩონჩხი) ან ნაგებობის სხვა გამძლე კონსტრუქციები ძირითადად შენარჩუნდება; საინჟინრო ქსელების შეერთებანი ზიანდება ცალკეულ ადგილებში. ამ შემთხვევაში საჭიროა მნიშვნელოვანი აღდგენითი სამუშაოები.

სუსტი და მსუბუქი ნგრევებისას ხდება შენობა-ნაგებობების მეორეხარისხოვანი ელემენტების, ფანჯრების და კარებების ჩარჩოების დეფორმაცია. შენობის შიგნით ზიანდება ბათქაში, კარის ჩარჩოები და ტიხერები. აღდგენითი სამუშაოები უმნიშვნელოა და შეიძლება მათი შესრულება ნაგებობათა ექსპლუატაციის პარალელურად.

5.2. ნაგებობების შესაძლო დაზიანებათა ძირითადი სახეები

არსებობს დაზიანების ორი ჯგუფი: 1. ნაგებობათა მთლიანი დაზიანება — გადაწევა, გადარა, გადაყირავება, სრულად დანგრევა (აღვა); 2. ნაგებობის ცალკეული კონსტრუქციების დაზიანება — დეფორმაცია, ჩამოწვევა, დაზიანება.

პირველი ჯგუფის დაზიანებების გამომწვევი მიზეზებია: ფუნდამენტის მზიდუნარიანობის არასაკმარისობა; გაუწონასწორებელი ან გაანგარიშებულზე მეტი დატვირთვები.

მეორე ჯგუფის დაზიანებათა გამომწვევი მიზეზებია: ძალოვანი ზემოქმედება — გაგლეჯა, გაჭყლეტა, ბზარები, შეერთებათა დარღვევა; მექანიკური ზემოქმედება — ჩაჭყლეტა, ჩაზნექა, გამრუდება და სხვ.; ფიზიკური ზემოქმედება — მოკრუნჩხვა და ნგრევები მაღალი ტემპერატურებისას, ხისტი ბზარები უარყოფითი ტემპერატურების დროს; ქიმიური ზემოქმედება — კოროზია.

ობიექტების ნგრევათა ხარისხი და ხასიათი დამოკიდებულია:

1. მიწისძვრის, ქარიშხლისა და აფეთქების ძალაზე;
2. მიწისძვრის ან აფეთქების სახეობაზე (მიწისქვეშა, წყალქვეშა);
3. აფეთქების ეპიცენტრიდან ობიექტის დაშორებაზე, მის ნაგებობათა ტექნიკურ მახასიათებლებზე — კონსტრუქციაზე, გამძლეობაზე, ზომებზე, ფორმაზე, ქარისადმი მედეგობაზე;
4. ობიექტის დაგეგმარებაზე, განაშენიანების ხასიათზე;
5. ადგილმდებარეობის ლანდშაფტზე (რელიეფი, გრუნტი);
6. მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე (ქარის მიმართულება და სიმძლავრე, ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექების არსებობა).

5.3. ავარიებისა და სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციოდ გამოყენებული ძალები, საშუალებები და მექანიზმები

ავარიების შედეგების ლიკვიდაცია არის სპეციალური სამსახურების, მრეწველობის შესაბამისი დარგების ობიექტების ცალკეული სპეციალისტების ან ტერიტორიული ორგანიზაციების სახანძრო რაზმების, ელექტროქსელების საავარიო სამსახურების, კავშირგაბმულობის, გაზმომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, თბომომარაგების, სარკინიგზო მატარებლების შემადგენლობისა და გემების საავარიო-სამაშველო, სასწრაფო-სამედიცინო დაბმარების მუშაკებისა და სხვათა მოვალეობა.

სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მიწისძვნებზე უმნიშვნელო, პატარა ავარიებისა და ლოკალური ხანძრების ლიკვიდაცია ხორციელდება ამ საწარმოების დირექციის მიერ, საკუთარი ძალებით, აგრეთვე ტერიტორიალური ორგანიზაციების სპეციალური სამსახურების ძალებით.

მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგებში, წარმოების სპეციფიკით გამოწვეული მაღალი საშიშროების გათვალისწინებით, სამთო მრეწველობაში, ნავთობსარეწებსა და აირმომპოვებელ საწარმოებში, ნავთობის გადამამუშავებელ და ქიმიურ მრეწველობაში, მეტროპოლიტენების, კოლექტორებისა და გვირა-

ბების სამშენებლო საწარმოებში შექმნილია სპეციალური აირმაშველი და სამთომაშველი ფორმირებები.

სამთომაშველ ფორმირებებს ევალებათ: ხალხის გადარჩენა შახტებში, მაღაროებში, მეტროპოლიტენებში, ნავთობისა და აირის მომპოვებელ და ქიმიური წარმოების საწარმოებში მომხდარი ავარიების დროს; მიწისქვეშა ავარიების სალიკვიდაციო სამუშაოების წარმოება, მიწისქვეშა და ზედაპირული მძლავრი ხანძრების, ცეცხლმოდებული ნავთობისა და აირის შადრევნების ხანძრების ჩაქრობა, რომლებიც სამაშველო სამუშაოების წარმოებისას რესპირატორების გამოყენებას მოითხოვენ.

გარდა ამისა, ზოგიერთ დარგებში, კერძოდ სატყეო მეურნეობებში, აუცილებელია სპეციალური საავარიო და ტყის ხანძრებთან მებრძოლი სახანძრო ფორმირებების შექმნა. ამავე დროს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში მძლავრი ავარიებისა და სტიქიური უბედურებების დროს, როდესაც საწარმოთა საკუთარი ძალები თავს ვერ ართმევენ კატასტროფებთან ბრძოლას, მათი შედეგების სალიკვიდაციოდ მოწვეული უნდა იქნენ იმ საწარმოების მუშა-მოსამსახურეები, სადაც შექმნილია მაშველი საავარიო-აღდგენითი და სხვა ჯგუფები და რგოლები.

ზოგიერთ, განსაკუთრებულად საშიშ შემთხვევებში, მსხვილი ავარიების სალიკვიდაციოდ და სტიქიური უბედურებების შედეგებთან საბრძოლველად აუცილებელია გამოვიყენოთ სამხედრო ნაწილების მებრძოლები.

სტიქიური უბედურებებისა და საწარმოო ავარიების სალიკვიდაციო სამუშაოების ამოცანები შედგება 6 ჯგუფის საორგანიზაციო და საინჟინრო ღონისძიებებისაგან, რომლებიც საგანგებო მდგრამარეობის პირობებში, მათი შესრულების შემჭიდროებულ ვადებში და დაზიანებული ობიექტის შეზღუდული ადგილობრივი რესურსების გამო მრავალი ორგანიზაციის გაერთიანებას საჭიროებს.

1-ლ ჯგუფში შედის სტიქიური უბედურებების პროგნოზირება.

მე-2 ჯგუფში გაერთიანებულია სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლა.

მე-3 ჯგუფშია საინჟინრო-მაშველი და გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოები.

მე-4 ჯგუფშია დაზარალებული რაიონების მოსახლეობისათვის დახმარების გაწევა.

მე-5 ჯგუფი მოიცავს დაზიანებული ქალაქებისა და სხვა ობიექტების აღდგენას.

მე-6 ჯგუფში გაერთიანებულია საწარმოების მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა, ნაგებობების გამძლეობის ამაღლებისა და შემდგომი ავარიების აღკვეთის საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა.

აღნიშნული ჯგუფებიდან შედარებით დიდი რაოდენობის ძალები და საშუალებებია საჭირო მე-3 და მე-5 ჯგუფის ღონისძიებათა შესასრულებლად.

მაშველი და აღდგენითი სამუშაოების წარმოებისას გამოიყენება: ბულდოზერები, კუნძების ამომძირკვავები, შეკრებები, ბეტონ-მტკვრევები, ექსკავატორები ცვლადი შემსრულებელი ორგანოებით, ავტო-თვითმცლელები, მისაბმელი, ქვის სალერლი და დამხარისხებელი აგრეგატები, ცემენტსასროლი აპარატები, სარწყავ-მრეცხავი მანქანები, ტუბმბოები, ავტო- და ტრაქტორის ამწეები, დომკრატები, ელექტროსადგურები, კომპრესორები, ვიბრომტვირთავები, სპეციალური ხანძარმქრობი მანქანები და მექანიზმები.

აღდგენითი სამუშაოების წარმოებისას განსაკუთრებით შრომატევადი ან საშიში სამუშაოების შესრულებისას, რომლებიც მოითხოვენ დამცავ მოწყობილობებსა და მძლავრ მანქანებს, ხშირად გამოიყენება სპეციალური მანქანა-მექანიზმები, სათხრელი სატანკო ტექნიკა, სარწყავ-გამრეცხი მანქანები, თვითმავალი ჰიდრომონიტორები, დისტანციური მართვის მანქანები, შეიარაღებიდან მოხსნილი საავიაციო და ტურბორეაქტიული ძრავების ბაზაზე შექმნილი დანადგარები. გარდა ამისა, ამჟამად, როგორც ჩვენთან, ისე საზღვარგარეთ, აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად გამოიყენება შვეულმფრენები.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ავარიების ლიკვიდაციისას ძლიერი და მაღალ-მწარმოებლური საინჟინრო მანქანების გამოყენება ზოგიერთ შემთხვევაში ართულებს სამუშაოთა წარმოებას სივიწროვისა და დასამუშავებელი უბნის რთული მოხაზულობის გამო, რაც იწვევს მანქანათა მწარმოებლობის შემცირებას. გამოყენებ-

ული მანქანა-მექანიზმები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს უნივერ-
სალური, აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებისათვის
გამოსაყენებელი.

5.4. მაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების ტაქტიკური ხერხები და თანამიმდევრობა

სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოები საინჟინრო და-
ზერვასთან ერთად უნდა გაიშალოს დაუყოვნებლივ, ავარიის ან
სტიქიური უბედურების რაიონში მისვლისთანავე. სამუშაოები უნდა
მიმდინარეობდეს განუწყვეტლივ, 24 საათის განმავლობაში, ნებისმი-
ერ ამინდში, ნგრევის, ხანძრების, ატმოსფეროსა და ადგილმდებარე-
ობის მოწამვლისას, ტერიტორიის დატბორვისას და სხვა არა-
ხელსაყრელ პირობებში.

ადამიანებისა და მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენაში წარ-
მატებების მისაღწევად სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოე-
ბის ორგანიზაცია და ჩატარება უნდა მოხდეს შეზღუდულ ვადებში.
ეს მაშველებისაგან მოითხოვს მაღალ მორალურ და ფსიქოლოგიურ
მდგრადობას, დიდ ნებისყოფას, ვაჟკაცობას, გამძლეობას, თავდაჭ-
ერილობას, ფიზიკურ ამტანობასა და ამოცანის შესასრულებლად
ყველა ძალების მობილიზებას.

მაშველების შეყვანა საწარმოო ავარიის ან სტიქიური უბედურე-
ბის ზონაში, მათი მიყვანა უშუალოდ სამუშაო ადგილებსა და უბ-
ნებზე ხდება საკუთარი ძალებითა და საშუალებებით.

მზვერავი რგოლი, მიდის რა მაშველის წინ, ახდენს მარშრუტის
რეკოგნოსცირებას (დაზუსტებას), ადგენს ნგრევის ხასიათსა და
მასშტაბებს, შემოვლის გზებს.

სტიქიური უბედურების რაიონში დასახული ამოცანების წარმა-
ტებით შესრულებისათვის მაშველები ვალდებულები არიან შეისწავ-
ლონ შესაძლო სამუშაო უბნების (ობიექტების) თავისებურებანი და
დახასიათება. მათ უნდა დეტალურად შესწავლილი ჰქონდეთ სამუშა-
ოთა წარმოების უბნებისაკენ მიმავალი გზები, შეფასებული უნდა

პქონდეთ სტიქიური უბედურებების შესაძლო შედეგების დახასიათება.

ავარიების კერაში და სტიქიური უბედურებების რაიონში შესვლისას სამაშველო სამუშაოების ხელმძღვანელი ორგანიზებას უკეთებს მაშველთა სწრაფ შეყვანას სამუშაოთა წარმოების ობიექტებზე, რისთვისაც ზუსტდება გზები და ტექნიკის შესვლისა და გამოსვლის წესი და ლონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ დროულად მათ გადაადგილებას. ავარიის კერაში გზებზე ნგრევების, ჩახერგილობების, დატბორვისა და სხვა წინააღმდეგობათა არსებობისას, რაც ხელს უშლის ტექნიკის გადაადგილებას, განისაზღვრება აუცილებლად შესასრულებელი სამუშაოები — გასასვლელების მოწყობა, რისთვისაც გამოიყოფა საჭირო ძალები და საშუალებები.

მდგომარეობის გამოაშვარავებისა და სამაშველო სამუშაოების ობიექტებზე გაშლისათვის სტიქიური უბედურების ზონაში ერთ-დროულად ფეხით გადაადგილდებიან მზვერავი რგოლები და რგოლები, რომლებიც დანიშნულია ავარიის ლოკალიზაციისათვის, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — სამაშველო ჯგუფის დაშავებულთა საკაცით გადამყვანი რგოლი.

სამაშველო და მექანიზაციის საშუალებათა მისვლამდე, სამუშაო უბნებზე, დაზვერვის ჯგუფი განსაზღვრავს ძლიერმომქმედი შხამიანი ნივთიერებებით მოწამვლის ხასიათს. საწარმოო ავარიების შემთხვევაში ათვალიერებს ნანგრევებს და ეცნობა მათში მოხვედრილი დაშავებულების მდგომარეობას. ავარიულ-ტექნიკური რგოლი გამოავლენს კომუნალურ ენერგეტიკულ ქსელებზე და ტექნოლოგიურ ხაზებზე ავარიის ადგილსა და ხასიათს, აწარმოებს საავარიო აღდგენით სამუშაოებს.

დაშავებულთა საკაცით გადამყვანი მაშველი რგოლი ეძებს დაშავებულებს დაზიანებულ და დანგრეულ შენობებში და სანიტარულ რაზმეულებთან ერთად დაშავებულებს უწევს პირველად სამედიცინო დახმარებას.

მაშველი რგოლი საინჟინრო ტექნიკის მოსვლამდე ამზადებენ ადგილს ავტომატიზების, საკომპრესორო სადგურებისა და სხვა მანქანების გასაჩერებლად, ხელითა და მექანიზაციის პორტატული საშუალებების გამოყენებით აწარმოებს ჩახერგილობების გამწმენდ სამუშაოებს.

ობიექტებთან მისასვლელი გზების მოწყობისა და უკვე არსებულ გზებზე შესაძლებლობის ფარგლებში წინაღობათა აღმოფხვრის შემდეგ, სამუშაო უპნებზე მიემართება ძირითადი სავარიო აღდგენითი საშუალებები და სრული მოცულობით იშლება სამაშველო სამუშაოები. პირველ რიგში მიემართება ხანძრის ჩამქრობი ქვედანაყოფი, შემდეგ მექანიზაციის საშუალებებით აღჭურვილი მაშველი რგოლი.

დაზვერვის მონაცემებისა და პირადი დაკვირვების საფუძველზე სამაშველო სამუშაოების ხელმძღვანელი აზუსტებს მდგომარეობას, დანგრეული ობიექტების სქემაზე ასახავს ძალების განლაგებას და ორგანიზებას უკეთებს სამაშველო სამუშაოებს.

სამაშველო აღდგენითი სამუშაოების დაწყებამდე, სამუშაოების ჩატარების ადგილზე დგინდება უფრო მეტად მიზანშეწონილი ტაქტიკური ილეთები და ხერხები, განისაზღვრება მანქანებისა და მექანიზაციის სხვა საშუალებების გამოყენების წესი, აგრეთვე უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიებები სამაშველო სამუშაოების შესრულებისას.

სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების თანამიმდევრობა და მათი შესრულების ტაქტიკური ილეთები დამოკიდებულია შენობა-ნაგებობების ნგრევის ხასიათსა და ხარისხზე, ჩახერგილობების, კომუნალური ენერგეტიკული ქსელებისა და ტექნოლოგიური ხაზების სტრუქტურაზე, ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებებით გარემოს მოწამვლის ხარისხზე, ხანძრის მასშტაბზე.

საშუალო, ძლიერი და სრული ნგრევის ზონებში მექანიზაციის რგოლი პირველ რიგში ორგანიზებას უკეთებს ავარიის ადგილებისაკენ, დაზიანებული და დანგრეული შენობებისაკენ სამანქანო და ფეხით სასიარულო გასასვლელების მოსაწყობი, აგრეთვე დაშავებულთა ევაკუაციისათვის სატვირთო და სანიტარული მანქანების მოძრაობის უზრუნველმყოფი სამუშაოების წარმართვას.

ხანძრის ჩამქრობი რგოლები, მიემართებიან რა კოლონის შემადგენლობაში მზვერავების შემდეგ, აქრობენ და ლოკალიზაციის უკეთებენ ხანძარს იმ ადგილებში, სადაც იმყოფებიან ადამიანები, აგრეთვე ჩახერგილობათა სიახლოვეს წარმოქმნილ ხანძრებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მაშველებს დაშავებულების გამოსაყვანი სამუშაოებისას.

ბის წარმართვაში, აგრეთვე — ხალხს ტრანსპორტში ჩასხდომაში.

სახანძრო მანქანები და ხანძარმქრობი სხვა საშუალებები საჭიროა განლაგდეს იმ პოზიციებზე, რომ უზრუნველყოს მათ წინაშე დასმული ამოცანების შესრულება და შეძლებისდაგვარად გამორიცხონ მათი ხშირი გადაადგილება.

სახანძრო სახელო ისეთნაირად უნდა გაიშალოს ხანძრის კერისაკენ, რომ გათვალისწინებულ იქნეს წყლის ნაკადის მიმართულებები და უზრუნველყოფილ იქნეს მათი იქ შენარჩუნება სახანძრო ლულების მანევრირების გათვალისწინებით. სახანძრო სახელოები, სატრანსპორტო კომუნიკაციებთან გადაკვეთის ადგილებში, ეწყობა ლითონის მილებში, შპალებს ან რელსებს შორის.

ცეცხლმოდებული შენობებიდან ხალხის ევაკუაცია ხდება ხანძარმქრობი რგოლის მებრძოლებისა და მაშველების ერთობლივი მოქმედებით. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობს ხანძრის ჩამქრობი რგოლის მეთაური. ხანძრის ჩაქრობა და ლოკალიზაცია იწყება დაზიანების კერისაკენ მაშველების მოძრაობის მარშრუტებზე, სამაშველო სამუშაოების წარმოების ობიექტებზე და დაშავებულთა ევაკუაციის გზებზე. მაშველების გადასაადგილებლად ცეცხლის კერებს შორის ეწყობა გასასვლელები, რისთვისაც თავმოყრილია ხანძარქრობი ძირითადი ძალები.

მაშველი რგოლების ნაწილი, რომელიც გაძლიერებულია მექანიზაციის საშუალებებითა და სანიტარული რგოლებით, ექებს დაშავებულებს ნანგრევებში და გამოჰყავს ისინი ნანგრევებიდან, დაზიანებული და ცეცხლმოდებული შენობებიდან, აირითა და კვამლით მოცული სათავსებიდან და უწევს მათ პირველად სამედიცინო დახმარებას.

ამავე დროს, მაშველი რგოლის მეორე ნაწილი, რომელიც გაძლიერებულია ბულდოზერებით, ექსკავატორებით, ტუმბოებითა და მექანიზაციის სხვა საშუალებებით, მიინვეს წინ ავარიის ადგილისაკენ და აწესრიგებს დაზიანებებს უშუალოდ ავარიის ადგილზე.

გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი სამუშაოები სრულდება გასასვლელების მოწყობასა და ხანძარმქრობ სამუშაოებთან ერთად, ხოლო დატბორვისა და დაგაზიანების შემთხვევაში, პირველ რიგში იქ, სადაც საშიშროება ემუქრება ადამიანთა სიცოცხლეს.

სპეციალური მაშველი რგოლები ახდენენ ავარიების სალიკვიდაციო სამუშაოებს ქიმიური მოწამვლის კერებში, აგრეთვე აწარმოებენ გაზგაყვანილობის ქსელების ავარიების ლოკალიზაციას. მექანიზაციის რგოლები ახდენენ ავარიულ უბანზე არსებული შენობა-ნაგებობების, ტექნიკისა და ტერიტორიის დეგაზაციას. პირველ რიგში ხდება გზებისა და შიდასაქარხნო მისასვლელების გაყვანა, შემდეგ კი იმ უბნების დეგაზაცია, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდეს მოწამვლის მომავალ შესაძლო წყაროს.

იმისათვის, რომ შევამციროთ დამტკერიანება და მტკერის მავნე ნაწილაკების მოხვედრა სასუნთქ ორგანოებში, მაშველები გასასვლელების განმენდის დროს რწყავენ ჩახერგილობათა ცალკეულ უბნებს. ამავე დროს აწარმოებენ დაშავებულთა ტრანსპორტში ჩასხდომის ადგილების გაუვნებლობას.

სანიტარული რგოლები დაშავებულებს აღმოუჩენენ პირველ დახმარებას ადგილზე და აწარმოებენ მათ ევაკუაციას სამედიცინო პუნქტებში სატვირთო ან სანიტარული ტრანსპორტით. ექიმი ან ექთანიუშუალოდ ხელმძღვანელობს დაშავებულების დახარისხებას დაზიანების ხარისხისა და ხასიათის შესაბამისად, თვალყურს ადევნებს ტრანსპორტში მათ სწორ განლაგებას და დროულ გამგზავრებას სამკურნალო დაწესებულებებში.

მოწამლული უბნებიდან დაშავებულთა ევაკუაციასთან ერთად ხდება დანარჩენი მოსახლეობის ფეხით ან ტრანსპორტით გამგზავრება ავარიული უბნიდან. ყოველივე ეს კეთდება უმოკლესი მარშრუტით და ქარის ქროლვის მიმართულების გათვალისწინებით.

6. ექსტრემალური ხასიათის საბანგებო სიტუაციები

6.1. ზოგადი ცნობები

ექსტრემალური ხასიათის საგანგებო სიტუაციები შეიძლება გამოწვეული იყოს თანამედროვე საბრძოლი საშუალებებით — მასობრივი განადგურების იარაღით, რომელიც შეიძლება იყოს ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და თავდასხმის ჩვეულებრივი საშუალებები. მათი გამოყენების შედეგად ნადგურდება და ზიანდება ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, პროდუქტები, წყალი, აგრეთვე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები.

გარდა მასობრივი განადგურების იარაღისა ამჟამად ძიების, ექსპერიმენტებისა და დამუშავების სტადიაში იმყოფება: 1. გეოფიზიკური იარაღი (ხელოვნური მიწისძვრა, ცუნამი, გრიგალი, ჩამოქცევა მთაში, თოვლის ზვავი, ხელოვნური სელური ნაკადი და სხვ.); 2. სხივური იარაღი (ლაზერები და ელემენტარული ნაწილაკების ამაჩქარებლები); 3. რადიოლოგიური იარაღი (რადიაქტიური ნარჩენები და იზოტოპები); 4. რადიოსიხშირული იარაღი (ზემაღლაღი და ზედაბალი სიხშირის რადიოტალღები); 5. ინფრაბგერული იარაღი.

აღნიშნული საბრძოლო საშუალებებიდან დიდი საშიშროებაა ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და ბიოლოგიური იარაღები, აგრეთვე ფუგასური და მსხვრევადი ქვეითსა- წინააღმდეგო ნაღმები.

6.2. ბირთვული იარაღი

ბირთვული იარაღი ეწოდება ისეთ საბრძოლო მასალას, რომლის მოქმედება დამყარებულია შიდაბირთვული ენერგიის გამოყენებაზე, რომელიც გამოიყოფა აფეთქების შედეგად დაყოფის, სინთეზის ან ორივე რეაქციის ერთდროულად მიმდინარეობის დროს.

ბირთვული დაზიანების კერა არის ის ტერიტორია, რომელზედაც უშუალოდ მოქმედებს ბირთვული აფეთქების დამაზიანებელი ფაქ-

ტორები და სადაც განლაგებულია შენობა-ნაგებობები, იმყოფებიან ადამიანები, მოშენებულია ცხოველები და მცენარეები.

არსებობს ბირთვული აფეთქების სხვადასხვა სახე: 1. მიწისზედა აფეთქება, რომელიც ხდება უშუალოდ მიწის ზედაპირზე ან ისეთ სიმაღლეზე, როდესაც აფეთქების ცეცხლოვანი ბურთი ეხება დედამინას. ასეთი აფეთქებისათვის დამახასიათებელია რადიაქტიური ნივთიერებებით ადგილმდებარეობის ძლიერი დაბინძურება რადიაქტიური ღრუბლის კვალის მიმართულებით; 2. მიწისქვეშა აფეთქება, რომლის დროსაც ახლომდებარე ტერიტორია ძალზედ ბინძურდება; 3. საჰაერო აფეთქება, რომლის დროსაც ცეცხლოვანი ბურთი არ ეხება მიწას, ხოლო დაუშლელი რადიაქტიური ნივთიერებები გაიფანტება ატმოსფეროს ზედა ფენებში, უერთდება ჰაერს და ვრცელდება დიდ ტერიტორიაზე — იწვევს გლობალურ დაბინძურებას; 4. აფეთქებები წყალქვეშ და კოსმოსში.

ბირთვული აფეთქების სიმძლავრე იზომება ჩვეულებრივი ფეთქებადი ნივთიერების — ტროტილის ეკვივალენტით ტონებში. ტროტილის ეკვივალენტი ეწოდება ტროტილის მასის იმ რაოდენობას, რომლის აფეთქების სიმძლავრე ეკვივალენტურია ბირთვული აფეთქების სიმძლავრისა.

ბირთვული აფეთქების შედეგად ადამიანებზე, ცხოველებსა და სამეურნეო ობიექტებზე მოქმედებს 5 დამაზიანებელი ფაქტორი: დარტყმითი ტალღა, სინათლის გამოსხივება, შემძლევი რადიაცია, ადგილმდებარეობის რადიაქტიური დაბინძურება და ელექტრომაგნიტური იმპულსი.

1. დარტყმითი ტალღა არის შეკუმშული ჰაერის ფენა, რომელიც მაღალი სიჩქარით მოძრაობს აფეთქების ცენტრიდან. მისი წყაროა მაღალი წნევა, რომელიც წარმოიქმნება აფეთქების ცენტრში. აფეთქების ცენტრიდან დაშორების შესაბამისად დარტყმითი ტალღის გადაადგილების სიჩქარე მცირდება ბევრის გავრცელების სიჩქარემდე და მის ქვემოთ. დარტყმითი ტალღის ენერგიაზე მოდის ბირთვული აფეთქების შედეგად გამოყოფილი მთელი ენერგიის 50%.

აფეთქების ცენტრიდან დარტყმითი ტალღა ვრცელდება ყველა მიმართულებით და იწვევს ჰაერის შემჭიდროებას (სიმკვრივის მომატებას), რაც წნევის გაზრდის მაჩვენებელია.

დარტყმითი ტალღა, თავისი გადაადგილების დროს, ზემოქმედებს ადამიანებზე, ცხოველებსა და შენობა-ნაგებობებზე, იწვევს ცოცხალი ორგანიზმების ყურის აფსკის გასკდომას; შესაძლებელია ფილტვების, ლვიძლის, ელენთის, თირკმელების გაგლეჯვა; მოტებილობები; ინგრევა შენობები, ბლინდაჟები, სანგრები, მიწურები, სარდაფები და სხვა.

დარტყმითი ტალღის მოქმედების ტერიტორიას წარმოქმნილი ნგრევის ხარისხის მიხედვით იყოფა 4 ზონად: მთლიანი, ძლიერი, საშუალო და სუსტი ნგრევის ზონები.

მთლიანი ნგრევის ზონაში ინგრევა ყველა შენობა-ნაგებობა. აფეთქების ცენტრის ირგვლივ ინგრევა თავშესაფრები, ზიანდება მინისქვეშა კომუნიკაციები. ნგრევის ასეთი ზონა მთელი ბირთვული დაზიანების კერის ფართობის 12%-ს შეადგენს.

ძლიერი ნგრევის ზონაა მთელი დაზიანებული ფართობის 10%. ამ ზონაში ყველა სახის შენობა-ნაგებობა მიიღებს სხვადასხვა სიდიდის ნგრევას; თავშესაფრები და კომუნალურ-ენერგეტიკული ხაზები უვნებელი რჩება. ამ ზონაში შეიძლება წარმოიქმნას მასიური ხანძარი და ცეცხლოვანი შტორმი.

საშუალო ნგრევის ზონა მთელი დაზიანებული ტერიტორიის 18%-ს შეადგენს. ამ ზონაში მთლიანად ნადგურდება ხის შენობები, ხოლო ქვის შენობები იღებენ საშუალო და სუსტი ხარისხის დაზიანებებს. წარმოიქმნება ხანძარი. ცხოველები მიიღებენ მსუბუქ კონტუზიასა და ტრავმულ დაზიანებებს.

სუსტი ნგრევის ზონა წარმოიქმნება დაზიანების კერის მთლიანი ფართობის 60%-ზე. შენობები იღებენ სუსტი ხარისხის დაზიანებას. სინათლის იმპულსისაგან შესაძლებელია გაჩნდეს ხანძარი. ადამიანებმა და ცხოველებმა შეიძლება მიიღონ დამწვრობა და სხვა სახის ტრავმული დაზიანებები.

საპარავო დარტყმითი ტალღა დაუცველ ადამიანებსა და ცხოველებში იწვევს ტრავმულ დაზიანებას, კონტუზიას ან სასიკვდილო დაზიანებას.

ცხრილში 6.1. მოცემულია დარტყმითი ტალღის მიერ გამოწვეული ნგრევის ზონების საზღვრები ბირთვული იარაღის სიმძლავრის მიხედვით.

ნერგევის ზონა	მანძილი (კმ), ბირთვული ჭურვის სიმძლავრისას (მგტ)				
	0.5	1.0	5.0	10.0	20.0
მთლიანი	3.2	4.0	6.8	8.6	10.7
ძლიერი	4.4	5.4	9.3	11.7	14.7
საშუალო	5.5	7.0	12.0	15.0	19.0
სუსტი	9.0	11.1	19.5	20.4	30.8

2. სინათლის გამოსხივება. აფეთქების ზონაში სწრაფად გამოიყოფა დიდი ენერგია, რის გამოც წარმოიქმნება რამდენიმე მილიონი გრადუსი ტემპერატურა და ქმნის ცეცხლოვან სფეროს. იმის მიხედვით, თუ რა სიმძლავრის ბირთვული იარაღი იყო გამოყენებული, სინათლის გამოსხივება გრძელდება წამის მეთედი ნაწილიდან 30 წამამდე.

სინათლის გამოსხივება იწვევს დროებით დაბრმავებას, თვალის ფუნქციონირების დროებით მოშლას; მზიან დღეს დაბრმავება გრძელდება 2 — 5 წმ-ს, ხოლო ღამით, როდესაც თვალის გუგა გაფართოებულია, დაბრმავება გრძელდება 30 წუთამდე; სინათლის გამოსხივება იწვევს აგრეთვე თვალის ძირის სიდამწვრეს. თვალის უფრო ძლიერი დაზიანება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანები და ცხოველები შეხედავენ აფეთქების მომენტს მოწმენდილ ამინდში.

სინათლის გამოსხივება იწვევს ხის შენობების, სხვადასხვა საგნებისა და მასალის, უხეში საკვების მარაგის, პურისა და სხვა ნათესების აალებას, რის შედეგადაც წარმოიშობა ხანძარი და ცეცხლის შტორმი.

3. შემლწევი რადიაცია. აფეთქების კერაში შემლწევი რადიაცია იქმნება ნეიტრონული და გამა-გამოსხივების (ელექტრომაგნიტური) ნაკადისაგან. ორივე სახის გამოსხივება წარმოიქმნება ბირთვული აფეთქების მომენტში. შემლწევი რადიაციის მოქმედების სიშორე დამოკიდებულია აფეთქების სიმძლავრეზე. მაგალითად, 20 კილოტონის აფეთქებისას შემლწევი რადიაცია ვრცელდება 1.5 — 2 კმ-ზე, ხოლო 10 მეტატონის აფეთქებისას — 7.0 კმ-ზე.

გამა-გამოსხივება ანუ ელექტრომაგნიტური გამოსხივება უშუალოდ მოქმედებს ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებზე, რასაც თან სდევს მთელი უჯრედებისა და ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების მოშლა. ნივთიერების ატომებზე გამა-სხივების ზემოქმედებით წარმოიქმნება რადიაქტიური იზოტოპები, რომლებიც იონიზაციას იწვევს.

რადიაქტიურობა წარმოიქმნება არამარტო კანის ქსოვილებში, არამედ მიწაში, ჰაერში, კვების პროდუქტებსა და ლითონის საგნებში, რის შედეგადაც დასხივების ობიექტი იქცევა რადიაქტიურად, ხოლო პროდუქტები განსაზღვრული დროის განმავლობაში არ მოიხმარება.

შემღწევი რადიაციის ზემოქმედებას მუშა მდგომარეობიდან გამოჰყავს ელექტრომოწყობილობები, ხოლო, ადამიანებსა და ცხოველებში იგი იწვევს სხივურ დაავადებას.

4. ადგილმდებარეობის რადიაქტიური დაბინძურება. XIX საუკუნეში ფრანგი მეცნიერის ანრი ბეკერელის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ ურანის ნაერთები ასხივებენ თვალით უჩინარ სხივებს, რომლებსაც გააჩნიათ სხეულში შეღწევადობის უნარი და რომლებიც იწვევენ ჰაერის იონიზაციას. ამ მოვლენის გამოვლევა შემდგომში განაგრძეს მარი და ჰაერ კიურებმა, რომლებმაც 1898 წელს შეძლეს ურანის მაღალი მანამდე უცნობი ორი ქიმიური ელემენტის — პოლონიუმისა და რადიუმის გამოყოფა; გარდა ამისა მათ აგრეთვე დაადგინეს, რომ ბუნებრივ პირობებში განუწყვეტილი გამოსხივების თვისებებს ამჟღავნებს თორიუმიც.

მეცნიერთა ურთიერთშეთანხმებით, იმ ქიმიურ ელემენტებს, რომლებიც იჩენენ ასეთი გამოსხივების უნარს, უწოდეს რადიაქტიური ელემენტები, ხოლო თვით გამოსხივების მოვლენას — რადიაქტივობა.

გამოსხივებისას რადიაქტიური ნივთიერების ატომბირთვი გარდაიქმნება სხვა ნივთიერების ატომბირთვად. ამ თავისთვის მიმდინარე გარდაქმნის პროცესს რადიაქტიური დაშლა ეწოდება.

როგორც ცნობილია, რადიაქტიური დაშლის შედეგია ალფა და ბეტა ნაწილაკების, აგრეთვე გამა- გამოსხივება.

ალფა ნაწილაკი წარმოადგენს ჰელიუმის ატომის პირთვს ორი პროტონითა და ორი ნეიტრონით. მისი თავისუფალი განარბენის

სიგრძეა 10 სმ, ხოლო სიჩქარე — 20000 კმ/წმ. მას ნივთიერებაში შეღწევის მცირე შესაძლებლობა გააჩნია, მაგრამ აქვს იონიზაციის დიდი უნარი, ამიტომ მისი მოხვედრა ორგანიზმში მეტად საშიშია.

ბეტა ნაწილაკი არის სწრაფად მოძრავი ელექტრონი. მისი გადაადგილების სიჩქარეა 200000 — 230000 კმ/წმ, ხოლო თავისუფალი განარბენის სიგრძე არის რამდენიმე ათეული მეტრი. მისი იონიზაციის უნარი უფრო ნაკლებია, ვიდრე ალფა ნაწილაკისა, მაგრამ გააჩნია, მასთან შედარებით უფრო მეტი შეღწევადობის უნარი.

გამა-სხივების გამოსხივება თან სდევს ალფა და განსაკუთრებით ბეტა გარდაქმნას. გამა-გამოსხივება მიმდინარეობს ცალკეული ულუფების ანუ ქვანტების სახით. გამა-სხივებს არ გააჩნიათ მუხტი. ისინი ქვანტების სახით გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღის ნაკადია. მისი გავრცელების სიჩქარეა 300000 კმ/წმ; მას გააჩნია უფრო ნაკლები იონიზაციის უნარი, მაგრამ შეღწევადობა — უდიდესი.

ცოცხალ ორგანიზმში მოხვედრილი რადიაქტიური ნივთიერებები სხვადასხვავარად შეითვისება ორგანიზმის მიერ და სხვადასხვა ორგანოში გროვდება: ზოგიერთი (ნატრიუმი, კალციუმი, ცეზიუმი) საკმაოდ თანაბრად ნაწილდება ორგანიზმსა და ქსოვილებში; ზოგიერთი (რუთენიუმი, პოლონიუმი) — ღვიძლში, თირკმელებსა და ელენთაში; ზოგიერთი კი (რადიუმი, სტრონციუმი, ფოსფორი) ძირითადად გროვდება ძვლებში.

ბირთვული აფეთქების შედეგად წარმოქმნილი ყოველი რადიაქტიური პროცესი ადის ატმოსფეროში, გადაადგილდება ქარის ქროლვის მიმართულებით, თანდათან ილექტება ადგილმდებარეობაზე და ქმნის სიგარის ფორმის რადიაქტიურ კვალს. ეს რადიაქტიური ნივთიერებების ლოკალური გავრცელებაა.

გამოყოფილი რადიაქტიური ნივთიერებების 70 — 80% ლოკალურად ვრცელდება, ხოლო დანარჩენი 20 — 30% გაიბნევა ატმოსფეროში და 1 — 2 თვის შემდეგ იწყებს ცვენას დედამიწაზე, და ეს პროცესი გრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაში. ამას ეწოდება რადიაქტიური ნივთიერებების გლობალური გავრცელება.

ადგილმდებარეობა ითვლება რადიაქტიურად მონამლულად, თუ რადიაციის დონე არის 0.5 რენტგენი/საათში და უფრო მაღალი.

დაბინძურების ხარისხის მიხედვით მთელი რადიაქტიურად დაბინძურებული ტერიტორია იყოფა 4 ზონად.

ა) სუსტი დაბინძურების ზონა, რომელიც შეადგენს მთელი დაბინძურებული ფართის 70 — 80 %-ს; აქ რადიაციის დონე შეადგენს 8 — 80 რ/სთ; ამ ზონაში მარცვლეული კულტურების მოსავლის დანაკარგი საშუალოდ შეადგენს 50%-ს, კარტოფილისა — 10 — 15%-ს, ხოლო მარცვლეული კულტურების თესლის გაღვივების უნარი 50%-მდეა.

ბ) ძლიერი დაბინძურების ზონა შეადგენს მთელი დაბინძურებული ფართის 10 — 12%-ს; აქ რადიაციის დონე შეადგენს 80 — 240 რ/სთ; ამ ზონაში მარცვლეული კულტურების მოსავლის დანაკარგი ადრეული განვითარების ფაზაში მერყეობს 50 — 100%-ის ფარგლებში, ხოლო სიმწიფის ფაზაში შედარებით ნაკლებია; კარტოფილის მოსავლის დანაკარგია 20 — 50%; მარცვლეული კულტურების თესლის გაღვივების უნარი 30 — 40%-ია; რადიაქტიური დაბინძურების შემდგომ წლებში ამ ზონის ნიადაგებზე რეკომენდებულია ცხოველების საკვები კულტურების სათესლე და საფურავე მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების მოყვანა.

გ) სახიფათო დაბინძურების ზონა. იგი შეადგენს მთელი დაბინძურებული ფართის 6 — 8%-ს; აქ რადიაციის დონე არის 240 — 800 რ/სთ; ამ ზონაში მარცვლეული კულტურების მოსავლის დანაკარგი 100%-ია, ხოლო რძისებრი სიმწიფის პერიოდში მოსავლის დანაკარგები უმნიშვნელოა; აქ მონეული მოსავლის მარცვლეული სათესლედ არ გამოდგება, ხოლო კარტოფილის ტუბერი სათესლე მასალად იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ რადიაქტიური ნივთიერება დაიღვეება მცენარის აკოკრებამდე; შემდგომ წლებში ამ ზონის ნიადაგებზე შეიძლება მხოლოდ ცხოველებისათვის საკვების, სათესლე მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურების მოყვანა. დაუშვებელია სასურსათო და მერძევე ცხოველებისათვის საკვები კულტურების წარმოება.

დ) ძლიერ სახიფათო დაბინძურების ზონა. მისი ფართი შეადგენს მთელი დაბინძურებული ფართის 3 — 6%-ს; ამ ზონის გარე საზღვრებზე რადიაციის დონე არის 800 რ/სთ, ხოლო ზონის შუაგულში — 2000 რ/სთ. ამ ზონიდან სასწრაფოდ უნდა გაიყვანონ

ადამიანები და ცხოველები.

5. ელექტრომაგნიტური იმპულსი. ბირთვული აფეთქების დროს წარმოიქმნება ელექტრომაგნიტური ველი, რომელიც საჰაერო და მიწისქვეშა გაყვანილობასა და საკაბელო ხაზებზე, აგრეთვე რადიოსადგურების ანტენებში ქმნის იმპულსურ ელექტრულ დენსა და ძაბვას.

მიწისზედა და საჰაერო აფეთქებების დროს, აფეთქების ეპიცენტრიდან რამდენიმე კილომეტრის რადიუსში, კავშირგაბმულობის საჰაერო მავთულებს შორის, აგრეთვე ელმომარაგების ხაზებსა და ნიადაგს შორის პოტენციალთა სხვაობა აღწევს რამდენიმე ასეულ და ათასეულ ვოლტს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ელექტრო- და რადიოტექნიკური მოწყობილობების იზოლაციის დარღვევა, აგრეთვე ელექტრო- და რადიოაპარატურის ელემენტების გადაწვა, მომსახურე პერსონალის ელექტრული დენით დაზიანება.

6.3. სხივური დაავადება

ბირთვული აფეთქების ზონაში რადიაციისა და გამა-გამოსხივების განსაზღვრული დოზის მიღება იწვევს სხივურ დაავადებას ადამიანებსა და ცხოველებში.

სხივური დაავადების მწვავე მიმდინარეობა იყოფა 4 პერიოდად:

1. პირველადი რეაქციის პერიოდი იწყება დასხივების მიღებისთანავე და გრძელდება რამდენიმე საათს ან 2 — 3 დღე-ლამე. მისთვის დამახასიათებელია საერთო უხასიათობა, ხანდახან აღგზნება, პირლებინება, უმაღობა;
2. ფარული პერიოდი გრძელდება 3 — 14 დღე-ლამის განმავლობაში. ამ პერიოდში ავადმყოფობის გარეგანი ნიშნები არჩანს და ავადმყოფები არ განსხვავდებიან ჯანმრთელი ადამიანებისაგან, მაგრამ კაპილარებსა და უჯრედებში გრძელდება პათოლოგიური ცვლილებები;
3. ავადმყოფობის გაძლიერების პერიოდი — დრო, როდესაც ვითარდება ავადმყოფობის ყველა დამახასიათებელი თვისება;
4. ავადმყოფობის გადამწყვეტი პერიოდი — სრულდება გამოჯან-

მრთელებით ან ლეტალური შედეგით.

დასხივების დოზის მიხედვით განიხილავენ სხივური დაავადების ოთხ სახეობას:

1. მსუბუქი, რომელიც წარმოიქმნება 100 — 200 რენტგენის დოზით დასხივებისას. ამ შემთხვევაში 2 — 3 კვირის შემდეგ დაავადებული ამჩნევს სწრაფ გადაღლას, თავბრუხვევას, გულის-რევასა და პირის სიმშრალეს, ამასთან სისხლში უმნიშვნელოდ მცირდება ლეიკოციტების რაოდენობა.

2. საშუალო სიმძიმის — წარმოიქმნება ორგანიზმის 200 — 400 რენტგენის დოზით დასხივებისას. იგი ვლინდება უფრო მძიმე ინერტულობით, ნერვული სისტემის მოშლითა და თავის ტკივილებით. დასაწყისში სშირად ადგილი აქვს პირლებინებასა და ფალარათს, აგრეთვე სხეულის ტემპერატურის მომატებას. ამ დროს სისხლში ლეიკოციტებისა და განსაკუთრებით ლიმფოციტების რაოდენობა ნახევრდება და უფრო მეტადაც მცირდება. თუ დაავადება არ გართულდა, ადამიანი რამდენიმე კვირაში იწყებს გამოჯანმრთელებას. რაც შეეხება სისხლის მორფოლოგიური შემადგენლობის აღდგენას, ის მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ ხდება.

3. მძიმე სხივური დაავადება წარმოიქმნება 400 — 600 რენტგენის დოზით დასხივებისას. ამ შემთხვევაში ორგანიზმში აღინიშნება საერთო მძიმე მდგომარეობა, ძლიერი თავის ტკივილები, პირლებინება, ფალარათი, ზოგჯერ ცნობიერების დაკარგვა, მკვეთრი ალგზნება, სისხლჩაქცევები კანსა და ლორწოვან გარსზე, ლორწოვანი გარსის წეკროზი ღრძილების არეში; მკვეთრად მცირდება ჯერ ლეიკოციტების, ხოლო მოგვიანებით ერითროციტებისა და თრომბოციტების რაოდენობა. ორგანიზმის იმუნიტეტის შესუსტების გამოვლინდება აგრეთვე სხვადასხვა გართულება.

4. უკიდურესად მძიმე (მეოთხე ხარისხის) სხივური დაავადება ვითარდება 600 რენტგენზე მეტი დოზით დასხივების დროს და მკურნალობის გარეშე ორი კვირის შემდეგ მთავრდება ლეტალური შედეგით, ან იშვიათად უფრო ხანგრძლივი პერიოდის გავლის შემდეგ. ლეტალური შედეგის დადგომის დრო დამოკიდებულია დასხივების დოზის სიდიდეზე და დასხივების ხანგრძლივობაზე.

6.4. რადიაქტიური ნივთიერების მოქმედება მცენარეებზე, სურსათსა და წყალზე

რადიოზოტოპებისა და მაიონებელი გამოსხივების მოქმედება მცენარეებზე განიხილება ორი მიმართულებით: პირველი მოიცავს მცირე დოზით დადებით მოქმედებას მცენარეების ზრდა-განვითარებაზე; მეორე დაკავშირებულია მცენარეთა ორგანიზმის დაზიანება-განადგურებასთან.

ატმოსფეროდან მცენარეთა დაბინძურება რადიაქტიური ნივთიერებებით დამოკიდებულია რადიონუკლეიდების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე, მცენარეთა ზრდის უნარზე და ფორმაზე.

რადიაქტიური ნივთიერება მცენარეში შეაღწევს ოთხი ძირითადი გზით:

1. ფოთლოვანი შთანთქმა ანუ ფოთლებიდან რადიაქტიური ნივთიერებების შეღწევა;
2. ფლორალური შთანთქმა, ანუ რადიაქტიური ნივთიერებების შეღწევა ყვავილებიდან;
3. ბაზალური შთანთქმა, ანუ რადიაქტიური ნივთიერებების შეღწევა იმ დარჩენილი ნაწილებიდან, რომლებიც არ არიან კონტაქტში ნიადაგთან;
4. ფესვებიდან შთანთქმა.

მცენარეზე დამაზიანებელ გავლენას ახდენს გამა-სხივები და ბეტა ნაწილაკები. ადამიანებისა და ცხოველების დაზიანებისაგან განსხვავებით, მცენარეთა დაზიანებაში მთავარ როლს ასრულებს ბეტა ნაწილაკი. მისი წილი დაზიანებაში 10 — 12-ჯერ მეტია გამა-სხივებით დაზიანების წილზე.

რადიაქტიური ნივთიერებების დალექვიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ნიადაგიდან მცენარეთა დაზიანება თანდათან მცირდება. იგი დამოკიდებულია, როგორც თვით მცენარის მიერ ნიადაგიდან რადიაქტიური ნივთიერებების შეთვისების უნარზე, ისე ნიადაგის სახეზე.

რადიაქტიური ნალექი აპინძურებს დაუფარავ და დაუცველ პრო-დუქტს, ფურაჟსა და წყალს, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათი საკვებად გამოყენება. პროდუქტებში უმეტეს შემთხვევებში რადი-

აქტიური ნივთიერებები გროვდება ზედაპირზე, ზოგჯერ ისინი აღნევენ ფორმებში.

ხილი, ბოსტნეული და კენკროვანი პროდუქტები ბინძურდება რადიაქტიური ნივთიერებების კანზე მიკვრით. პროდუქტი და მარცვლეული შეიძლება დაბინძურდეს აგრეთვე დაბინძურებულ პროდუქტათ კონტაქტით ან დაბინძურებულ კონტეინერებში ტრანსპორტირების დროს.

რადიაქტიური ნივთიერებებით ბინძურდება აგრეთვე ტბები და წყალსაცავები, რომლებიც საკვები ჯაჭვის მეშვეობით გადადიან წყალსაცავის მობინადრეებში.

დადგენილია, რომ რადიაქტიური ნივთიერებების დალექვისას კარტოფილი, ძირხვანები, სიმინდის მარცვალი და ბარდა ნაკლებად ბინძურდება, ვიდრე ხორბალი, ჭვავი, შვრია, ქერი და წიწიბურა. ამიტომ სასურსათოდ მიზანშეწონილია პარკოსანი კულტურებისა და სიმინდის გამოყენება. წამყვან ადგილს ადამიანებისა და ცხოველების კვების რაციონში იკავებს კარტოფილი და ძირხვანები.

დადგენილია მოსახლეობისათვის რადიაციული დასხივების დასაშვები დოზა: 4 დღე-ლამის განმავლობაში ადამიანმა შეიძლება მიიღოს დასხივება 50 რენტგენი; 1 თვის განმავლობაში — 100 რენტგენი; 3 თვის განმავლობაში — 200 რენტგენი; ხოლო 1 წლის განმავლობაში — 300 რენტგენი.

6.5. ქიმიური იარაღი

ქიმიურ იარაღში იგულისხმება მომწამლავი ნივთიერებები და ფიტოტოქსიკანტები, რომლებიც საბრძოლო გამოყენების პირობებში იწვევენ ადამიანების, ცხოველების, მცენარეების, საკვების, წყლისა და სხვა მოწამვლას.

საბრძოლო ქიმიური მომწამლავი ნივთიერება მოთავსებულია სპეციალურ ჭურჭელში ან ქიმიურ ყუმბარაში, გადმოსაღვრელ საავიაციო ჭურჭელში ან სხვა გარსებში. მათი აფეთქების დროს მოისმის სუსტი, ყრუ ხმა. აფეთქების ადგილზე წარმოიქმნება თეთრი ან ოდნავ შეფერილი კვამლის ღრუბელი, ნისლი ან ორთქლი. თუ

გამოყენებულია თხევადი მომწამლავი ნივთიერება, მაშინ თვითმფრინავის უკან გამოჩნდება შავი ზოლი, რომელიც ჩარი იფანტება და ეშვება დედამიწაზე. ფოთლებზე ჩნდება ზეთოვანი წვეთები.

სხვადასხვა ქიმიური ნივთიერების გამოყენებისას წყლის ზედაპირზე წარმოიქმნება ზეთოვანი კვალი, თოვლზე — სხვადასხვა ზომის ჩაღრმავებები, მწვანე ბალახი იცვლის ფერს, ფოთლები ყვითლდება, რუხი ფერის ხდება და შემდეგ იღუპება.

ტერიტორიას, რომელიც განიცდის ქიმიური მომწამლავი ნივთიერების ზემოქმედებას, რის შედეგადაც ზიანდებიან ადამიანები, ცხოველები, მცენარეები, პროდუქტები და წყალი, ეწოდება ქიმიური მოწამლის კერა. იგი პირობითად იყოფა ორ ზონად:

1. უშუალო დაზიანების ზონა. იგი წარმოიქმნება ქიმიური იარაღის გამოყენების ადგილზე. ჭურვის აფეთქების საწყის პერიოდში წარმოიქმნება მომწამლავი ნივთიერებების ორთქლი და აეროზოლი, რომელიც ქმნის პირველად ღრუბელს, მისი ნაწილი მომწამლავი ნივთიერების წვეთების სახით რჩება ადგილზე და წამლავს გარემოს.

2. ქარის ქროლვის მიმართულებით მომწამლავი ნივთიერების გავრცელების ზონა. მოწამლული ჰაერის პირველადი ღრუბელი და მომწამლავ ნივთიერებათა წვეთებიდან აორთქლებული მეორადი ღრუბელი ჰაერის ნაკადთან ერთად ვრცელდება სხვა ტერიტორიაზე და წარმოქმნის ახალ მოწამლულ ზონას.

მომწამლავ ნივთიერებათა გავრცელების ეს ზონა სიდიდით რამდენჯერმე მეტია უშუალო დაზიანების ზონაზე. ამავე დროს სოფლის პირობებში მომწამლავი ორთქლი ვრცელდება უფრო დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე ქალაქში.

ქიმიური მოწამვლის კერის სიდიდე და მდგრადობა დამოკიდებულია გამოყენებული მომწამლავი ნივთიერების რაოდნობაზე, გამოყენებისა და მეტეოროლოგიურ პირობებზე, ჰაერის ტემპერატურაზე, რელიეფზე, წლისა და დღე-დამის დროზე.

გარემოს მაღალი ტემპერატურის პირობებში მომწამლავი ნივთიერების აორთქლება ჩარდება, ხოლო მათი მოქმედების ხანგრძლივობა მცირდება. ძლიერი ქარის დროს მოწამლული ჰაერის ღრუბელი ჩარი იფანტება, ხოლო მომწამლავი ნივთიერების წვეთები

სწრაფად ორთქლდება, რაც ასევე აჩქარებს ტერიტორიის გაუს-ნებოვნებას. ძლიერი წვიმის შემთხვევაში წვიმის წყალი მექანიკურად რეცხავს მომწამლავ ნივთიერებებს ატმოსფეროდან და მიწის ზედა ფენიდან.

ორთქლი და აეროზოლი თავს იყრის დაბლობ ადგილებში, ხევებში, ტყეებში, ბუჩქებთან. მოწამლული ჰაერი დიდი ხნის გან-მავლობაში დგას მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში.

6.6. ქიმიური მომწამლავი ნივთიერებების კლასიფიკაცია

ქიმიურ მომწამლავ ნივთიერებები ტაქტიკური დანიშნულების მიხედვით იყოფა ოთხ ჯგუფად:

1. სასიკვდილო;
2. დროებით მწყობრიდან გამომყვანი;
3. გამაღიზიანებელი;
4. სასწავლო.

1. **სასიკვდილო** ქიმიური მომწამლავი ნივთიერებები ცოცხალ ორგანიზმე ფიზიოლოგიური მოქმედების მიხედვით იყოფა ოთხ ჯგ-უფად:

1.1 ნერვულ-დამბლური მოქმედების მომწამლავი ნივთიერები აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ზარინი, ზომანი და V-აირები.

ზარინი — უფერო ან სუსტი მოყვითალო ფერის, უსუნო სითხე. ერევა წყალში, იხსნება ბეზზინში და სპირტში, კარგად ალწევს ფორმვან მასალებში. მოწამვლა ვითარდება სწრაფად და გამოკვეთილად (მოქმედების ფარული პერიოდის გარეშე). ჰაერში 0.02 — 0.05 მგ/ლ კონცენტრაციის დროს შესუნთქვა 2 — 5 წუთში იწვევს სიკვდილს.

ზომანი — უფერო სითხე. ქაფურის სუნი აქვს. ცუდად იხსნება წყალში. იგი 4 — 10-ჯერ უფრო ტოქსიკურია ვიდრე ზარინი.

V-აირები — უსუნო, თხევადი ან კრისტალური ნივთიერება. წყალში მცირედ იხსნება (5%). მას აქვს ძრავის ზეთის ნებოვნება.

სუსტად აქროლადია. კარგად იხსნება ცხიმებში. იოლად აღწევს დაუზიანებელ კანში. V-აირები არ იშლებიან გარემოში ზაფხულში 10-12 დღეს, ხოლო ზამთარში — 3.5 თვეს. იგი 50-ჯერ უფრო ტოქსიკურია, ვიდრე ზარინი.

ნერვულ-დამბლური მოქმედების ქიმიური მომნამლავი ნივთიერებების მოქმედებისას მკვეთრად ვიწროვდება თვალის გუგა. ცხვირსახის ლრუსა და ბრონქებში მატულობს სეკრეცია. იგრძნობა შეხუთვა გულ-მკერდის არეში და ხდება სუნთქვის გაძნელება. ბრონქების შევიწროებისა და მასში ლორნოს დაგროვების შედეგად ვითარდება უანგბადის უკმარისობა, ლურჯდება ლორნოვანი გარსი.

1.2 კანდამაჩირქებული მოქმედების ქიმიური მომნამლავი ნივთიერებები კანზე წარმოქმნის დიდხანს მოურჩენელ წყლულებს. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ლუიზიტი და იპრიტი.

ლუიზიტი — ქიმიურად სუფთა ლუიზიტი უფერო სითხეა. ტექნიკური ლუიზიტი მძიმე, ზეთისებრი, ლია ფერის, არასასიამოვნო სუნის მქონე სითხეა. წყალში ცუდად იხსნება, ორგანულ გამხსნელებში — კარგად. იგი იპრიტის მსგავსად მრავალმხრივი მოქმედებისაა. მას არ გააჩნია ფარული მოქმედების პერიოდი. ჰაერში 0.4 მგ/ლ კონცენტრაციის შესუნთქვისას 5 წუთში იწვევს სიკვდილს.

იპრიტი — ქიმიურად სუფთა იპრიტი უფერო სითხეა, ხოლო ტექნიკური იპრიტი მოყვითალო ფერის ზეთისებრი სითხეა, მდოგვის ან ნივრის სუნით. ცუდად იხსნება წყალში, კარგად — ორგანულ გამხსნლებსა და ზეთში. მრავალმხრივმოქმედია, გააჩნია ფარული მოქმედების პერიოდი.

იპრიტის ორთქლი იწვევს ცოცხალი ორგანიზმების თვალებისა და სასუნთქი ორგანოების დაზიანებას. იწყება ხელა, იმატებს ორგანიზმის ტემპერატურა, ალინიშნება ხუთვის ნიშნები.

1.3 ზოგადშხამიანი მოქმედების ქიმიური მომნამლავი ნივთიერებები იწვევს ორგანიზმის საერთო მონამვლას. ამ ჯგუფში გაერთიანებულია ციანმჟავა და ქლორციანი.

ციანმჟავა — აქროლადი, მოძრავი სითხეა, უფერო, მნარე ნუშის სუნით. წყალში კარგად იხსნება. კარგად შთაინთქმება ტანსაცმელში. ჰაერში 0.4 — 0.7 მგ/ლ კონცენტრაციის შესუნთქვისას ადამიანი იღუპება 2 — 5 წუთში.

ქლორციანი — უფერო, ადვილად აქროლადი სითხეა. მკვეთრი სუნი ახასიათებს. ცრემლდენას იწვევს. კარგად იხსნება წყალსა და ორგანულ გამხსნელებში. ადამიანი, ჰაერში 0.12 მგ/ლ კონცენტრაციის შესუნთქვისას, 4 საათის შემდეგ იღუპება.

ზოგადშეამიანი მომნამლავი ნივთიერების შესუნთქვისას ადამიანი ჰირში გრძნობს ლითონის გემოსა და ტკივილს გულის არეში. ეუფლება შიში, მძიმე ქოშინი, უდიდდება თვალის გუგა, ეწყება კრუნჩვები, ემართება სასუნთქი ცენტრის დამბლა, რის შედეგადაც ადამიანი იღუპება.

1.4 მხუთავი მოქმედების ქიმიური მომნამლავი ნივთიერებები აზიანებს სასუნთქ ორგანოებს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ფოსგენი და დიფოსგენი.

ფოსგენი — უფერო სითხეა. აქვს აშმორებული თივის სუნი. ჰაერზე 3.5 -ჯერ მძიმეა. აზიანებს სასუნთქ ორგანოებს. ჰაერში 0.006 მგ/ლ-ზე მეტი კონცენტრაციის შესუნთქვისას შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. გააჩნია ფარული მოქმედების პერიოდი $2 - 12$ სთ.

დიფოსგენი — უფერო, ზეთისმაგვარი სითხეა, აშმორებული თივის სუნით. ფოსგენი და დიფოსგენი ჰაერთან ერთად ხვდება ფილტვებსა და ბრონქებში. აქ ისინი იშლებიან და წარმოქმნიან მარილმუავას, რომელიც არღვევს უჯრედების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს. იწყება ფილტვების შეშუპება.

ამ ჯგუფის ნივთიერებების შესუნთქვისას შეიგრძნობა წვაყელში, ხველა ქაფისებური სითხის უხვი გამონაყოფით. მძიმდება სუნთქვა, გამოხედვა შეშინებულისაა. ადამიანს ულურჯდება სახის კანი, ყურები, ხელები და ტერფები.

2. მწყობრიდან დროებით გამომყვანი ქიმიური მომნამლავი ნივთიერებები იწვევს მხედველობით და სმენით ჰალუცინაციებს, რის შედეგადაც ისინი ტირიან ან იცინიან, ცდილობენ გაიქცნენ ან გაგორდნენ მიწაზე, ზოგიერთ შემთხვევებში შეინიშნება ძილისადმი მიდრეკილება, შიზოფრენიის სიმპტომი და მძიმე დეპრესია. ზოგიერთი მათგანი იწვევს კიდურების დროებით დამბლას ან დაბრმავებას. მონამვლიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ ფსიქიკური მოქმედება თანდათან ქრება, მაგრამ შესაძლებელია გამოიწვიოს სერიოზული გართულება.

3. გამალიზიანებელი მოქმედების ქიმიური მომწამლავი ნივთი-ერებები, როგორიცაა ადამსიტი და ქლორაცეტოფენონი ინვეს ხელას, პირლებინებას, ცრემლდენას, ზედა სასუნთქი გზების გაღიზიანებას, მოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე.

მედეგი მომწამლავი ნივთიერებები წამლავენ ნიადაგს, ნაგებობებს, მცენარეულ საფარს, წყალს, დაუცველ საგნებსა და სურსათს.

ტყეში მოხვედრისას მათი დიდი ნაწილი რჩება ხის ვარჯზე, ხოლო მცირე ნაწილი ვრცელდება ნიადაგზე და იქ დიდხანს ჩერდება. მომწამლავი ნივთიერებები ფოთლოვან ხეებზე უფრო დიდხანს რჩება, ვიდრე წიწვოვან ხეებზე.

ნიადაგში მომწამლავი ნივთიერებები აღწევს სხვადასხვა სიღმეში. ეს დამოკიდებულია მომწამლავი ნივთიერების წვეთების სიდიდესა და მათი მიწასთან კონტაქტის ხანგრძლივობაზე.

4. მცენარეთა გასანადგურებელი მომწამლავი ქიმიური ნივთიერებები — ჰერბიციდები, არბოციდები და დესიკანტები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ტყეებისა და ბუჩქების დასაზიანებლად და მოსასპობად.

ჰერბიციდი (ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ბალახის მოსპობას) არის ორგანული ან არაორგანული ნაერთი, რომელიც გამოიყენება მცენარეთა მოსასპობად ან ნაწილობრივ დასაკინებლად, ზოგიერთი მათგანი — **არბოციდი** გამოიყენება ბუჩქნარის მოსასპობად.

მცენარეებზე მოქმედების სარისხის მიხედვით ჰერბიციდი შეიძლება იყოს: მთლიანი მოქმედების (საერთო გამანადგურებელი); დამაკინებელი და შემდეგ გამანადგურებელი; შერჩევითი მოქმედების (მცენარეთა ცალკეული სახეობების დამაზიანებელი).

ჰერბიციდების მოქმედების ეფექტურობა დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე: გარემოს ტემპერატურის შემცირებისას პრეპარატის მოქმედება სუსტდება, ხოლო გარემოს ტემპერატურის 25 — 30⁰ C-ზე ზევით აწევისას — ძლიერდება; ნიადაგის მაღალი ტენიანობის დროს ჰერბიციდი სწრაფად იხსნება ნიადაგში.

ქიმიური საშუალებებით დაბინძურებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დანაკარგების სიდიდე დამოკიდებულია მომწამლავი ნივთიერების დოზაზე, მცენარისა და ნივთიერების სა-

ხეზე და ნივთიერების გავრცელების დროზე.

დესიკანტი (ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაშრობას) არის პრეპარატი, რომელიც გამოიყენება კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, იონჯას, სამყურასა და სხვა მცენარეთა ფოთლებისა და ღეროების გასახმობად. მცენარის მთლიანი გახმობისათვის პრეპარატით უნდა დაიფაროს ყველა ფოთოლი და ღერო მთლიანად. მცენარის სრული გახმობა ხდება 4 — 10 დღის შემდეგ.

6.7. ბაქტერიოლოგიური იარაღი

ბაქტერიოლოგიური ეწოდება ისეთ იარაღს, რომელიც საბრძოლო გამოყენებისას იწვევს ადამიანების, ცხოველების, მცენარეების, საკვების, წყლისა და გარემოს მასიურ დაზიანებასა და დასწრებოვნებას.

ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებისას ცოცხალი ორგანიზმის დასწრებოვნება ხდება სხვადასხვა გზით: დასწრებოვნებული ჰაერის შესუნთქვით, დაზიანებულ კანზე, თვალებსა და ცხვირის ლორწოვან გარსზე დაავადების გამომწვევი მიკრობებისა და ტოქსინების მოხვედრით, დასწრებოვნებულ საგნებსა და ნივთებთან კონტაქტით, დასწრებოვნებული სურსათის, ფურაჟისა და წყლის გამოყენებით, აგრეთვე დასწრებოვნებული მწერების, ტკიპებისა და მღრღნელების კბენის შედეგად.

ბაქტერიოლოგიური დასწრებოვნების კერა ეწოდება ბაქტერიოლოგიური იარაღის უშუალო ზემოქმედების ადგილს, რომელზეც იმყოფებიან ადამიანები, ცხოველები და განლაგებულია შენობა-ნაგებობები და რის შედეგადაც ეს ტერიტორია გადაიქცა ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების ინფექციურ დაავადებათა კერად.

რაიმე გადამდები დაავადების ფართოდ გავრცელებას რაიონში, ქალაქში, რეგიონსა და მთლიანად სახელმწიფოში ეპიდემია ეწოდება.

ბაქტერიოლოგიური თავდასხმის დროს ადამიანებისა და ცხოველების დაზიანების სასიათი დამოკიდებულია ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა სახეობასა და მათი გამოყენების ხერხზე.

დასწრებოვნებული კერის არსებობის ხანგრძლივობა დამოკიდე-

ბულია: 1. მოცემულ გარემოში დასწებოვნების გამომწვევის მდგო-
მარეობაზე; 2. მეტეოროლოგიურ პირობებზე; 3. გარემოში დაავადე-
ბის გადამტანების (მწერები, მღრღნელები) არსებობაზე.

6.7.1. ადამიანებისა და ცხოველების დაავადების ბაქტერიოლოგიური საშუალებები

ბაქტერიოლოგიური იარაღის დამაზიანებელი მოქმედების სა-
ფუძველია ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები (ბაქტერიები,
რიკეტსიები, ვირუსები, სოკოები) და ბაქტერიების მიერ გამო-
მუშავებული ტოქსინები.

ბაქტერიები ერთუჯრედიანი ორგანიზმებია, რომლებიც მრავლ-
დებიან მარტივი დაყოფით. იწვევენ ისეთ ინფექციურ დაავადებებს,
როგორიცაა: შავი ჭირი, ციმბირის წყლული, ქოთაო, ტულარემია,
ქოლერა, ბოტულიზმი (ტოქსინი) და სხვ.

რიკეტსიებს მიეკუთვნება: პარტახტიანი ტიფის, კლდოვანი მთე-
ბის ლაქებიანი ცხელების გამომწვევი მიკრობები.

ვირუსები უმცირესი მიკროორგანიზმებია, რომლებიც მრავლდე-
ბიან უჯრედთა პროტოპლაზმაში, ზოგჯერ კი ბირთვში, მარტივი
გაყოფის გზით. ვირუსებს მიეკუთვნება: ნატურალური ყვავილის,
ციებ-ცხელების, ცხენების ამერიკული ენცეფალიტების, ფსიტოკოზის
გამომწვევი ვირუსები.

სოკოები უმთავრესად მრავალუჯრედიანია, რომლებიც მრავლდე-
ბიან დაყოფის, დაკვირტვისა და სპორების წარმოქმნის გზით. სხ-
ვადასხვა სოკოვანი დაავადება უჩნდებათ ცხოველებსა და მცენარეებს.

შავი ჭირის გამომწვევია მოკლე ჩხირი. იგი კარგად იტანს
დაბალ ტემპერატურას. შავი ჭირი ადამიანს ემართება მღრღნელებისა
და რწყილების საშუალებით. ინკუბაციის პერიოდია 1 — 3 დღე.
ავადმყოფობა იწყება უეცრად, ძლიერი შეტევებით, თავის ტკივილით,
ტემპერატურა ადის 40° -მდე. თუ მძიმეა ავადმყოფობის მიმდინარე-
ობა, ადამიანი იღუპება ერთი ან ორი კვირის შემდეგ.

ციმბირის წყლული ცხოველთა დაავადებაა, მისი გამომწვევია
ჩხირი, რომელიც წარმოქმნის სპორებს. ინკუბაციის პერიოდია 1 —

3 დღე. ამ დაავადებით შეიძლება დასწროვნდეს სურსათი, საკვები და წყალი, ხოლო მათგან კი — ადამიანები და სხვა ცხოველები.

ქოლერით დაავადების დროს ადამიანი დიდი რაოდენობით კარგავს სითხეს, იყლებს წონაში, უჩნდება სილურჯე, სხეულის ტემპერატურა დაბლა ეცემა, ეწყება კრუნჩევები და კარგავს გონებას. ქოლერა ძლიერ გადამდები დაავადება.

ბოტულიზმი მძიმე დაავადებაა. ადამიანი ავადდება საკვებში ტოქსინის მოხვედრის შემდეგ. ავადმყოფობა იწყება ნაწლავების ტკივილით, პირდებინებით. მოგვიანებით ავადმყოფს უფართოვდება თვალის გუგები, აღენიშნება გაორებული მხედველობა, ეკარგება ხმა. ავადმყოფობა გრძელდება 4 — 5 დღეს. ძალზე ხშირია ლეტალური შედეგი.

პარტაზტიანი ტიფი ადამიანის დაავადებაა. ინკუბაციის პერიოდია 10 — 14 დღე. საშიში, ძლიერ გადამდები დაავადებაა. გადადის მკბენარით. კარანტინი გრძელდება 23 დღის განმავლობაში.

ნატურალური ყვავილის გამომწვევი ვირუსი კარგად უძლებს სიცივეს, მაგრამ სწრაფად იღუპება მაღალ ტემპერატურაზე. მისი ინკუბაციის პერიოდია 14 დღე. დაავადება იწყება ტემპერატურის უცარი მომატებით, წელის ტკივილებით, ტანზე ჩირქოვანი გამონა-ყარით.

ყვითელი ციებ-ცხელება ტროპიკული ქვეყნებში გავრცელებული დაავადებაა. ბჟუნებრივ პირობებში ყვითელი ცხელების ვირუსის წყაროდ ითვლება მაიმუნის ზოგიერთი სახეობა, აგრეთვე სხვა გარეული ცხოველები, გარდა ამისა ვირუსი გადააქვთ განსაკუთრებული სახეობის კოლოებს. დაავადების ინკუბაციური პერიოდია 3 — 6 დღე. დაავადება იწყება უეცრად, თავის ტკივილებით, შემცირებით, შემდგომი ტემპერატურის მომატებით. ვითარდება კანის სიყვითლე, გულისრევა და პირდებინება.

ცხენების ამერიკული ენცეფალიტები ცხენის დაავადებებია. ისინი შეიძლება გავრცელდნენ როგორც ცხოვლებზე, ასევე ადამიანებზე. ინკუბაციის პერიოდია 2 — 10 დღე.

6.7.2. მცენარეთა გასანადგურებელი ბაქტერიოლოგიური საშუალებები

მცენარეები შეიძლება დაზიანდეს ბაქტერიოლოგიური საშუალებებით, რაც გამოიწვევს მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის დანაკარგებს. ავადმყოფობის ან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების გამოჩენა და განვითარება დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურასა და ფარდობით ტენიანობაზე.

ჟანგა არის მარცვლოვანი კულტურების გავრცელებული დაავადება, რომლის გამომწვევია პარაზიტული სოკო. მისი მრავალი სახეობიდან ყველაზე საშიშია ხაზოვანა ღეროსუანგა. არსებობს მისი სამი სპეციალიზებული ფორმა: ხორბლის, ჭვავისა და შვრის. მათი შუალედი „პატრონია“ კონახური. გამომწვევი აზიანებს ღეროს, იშვიათად ფოთლებს, ქერცლსა და ფხას. ღეროსუანგა უფრო ინტენსიურად ვითარდება 18 — 24⁰ ტემპერატურის დროს.

გარდა ღეროსუანგასი, მარცვლოვანი კულტურების სოკოვანი დაავადებებია: ყვითელუანგა, მურაჟანგა და სიმინდისმუავა.

მარცვლოვანთა ბაქტერიოზი. ბაქტერიული ავადმყოფობა აზიანებს ყველა თავთავიან კულტურას. ბაქტერიოზის დროს ფოთლებზე, ხალთასა და ღეროზე ჩნდება სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ყავისფერი, წაბლისფერი ან შავი ლაქები. ამ დაავადების არსებობისას მცირდება მარცვლების რაოდენობა თავთავში, ხოლო განვითარებადი მარცვალი ხდება ფშუტი, ფოთლები ხმება და ცვივა.

ვირუსული ავადმყოფობები. ისინი აზიანებენ მარცვლეულს, პარკოსნებს, შაქრის ჭარხალს, თამბაქოსა და ზოგიერთ სხვა კულტურას. ამ დაავადებებიდან განსაკუთრებით ცნობილია მოზაიკა, ზოლიანობა, დაკუტება და ჭარხლის სიყვითლე.

კარტოფილის დაავადებები. კარტოფილს აზიანებს სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული დაავადებები. განსაკუთრებით მავნებელია ფიტოფტოროზი, კარტოფილის კიბო და ჭკნობა.

კარტოფილის სიდამპლე ანუ კარტოფილის ფოჩის ფიტოფტოროზი ყველაზე მავნე დაავადებაა. მისი გამომწვევი სოკო ეკუთვნის ფიტომიციტებს. ვითარდება ზაფხულის მეორე ნახევარში, უფრო ინტენსიურად გრილ, წვიმიან ამინდში. იგი აზიანებს ფოთლებს,

დეროს, ან კარტოფილის ტუბერს.

კარტოფილის კიბოს გამომწვევია სოკო. დაბინძურებულ ტუბერზე წარმოიქმნება გამონაზარდები, რომლებიც დასაწყისში თეთრი ფერისაა, შემდეგ თანდათან ლებულობს წაბლისფერს და ლპება. სოკოს განვითარების ერთი ციკლი გრძელდება 10 — 12 დღე.

მალევკო არის ციტრუსების სოკოვანი დაავადება, რომელიც იჭრება მცენარის ქსოვილში. მისი მოქმედების შედეგად ყლორტი კარგავს ნორმალურ ფერს, ყვითლდება და იწყება ფოთლების ცვენა. შემდეგ ვითარდება ტოტებზე ყავისფერი ლაქები და მცენარე ხმება.

ჩაის პლანტაციების გასანადგურებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ფოთლების ყავისფერი ან ნაცრისფერი ლაქიანობა, აგრეთვე სხვა სოკოვანი დაავადებანი.

ვენახებისა და ხეხილის ბალების გასანადგურებლად გამოიყენება ისეთი ცნობილი დაავადებების გავრცელება, როგორებიცაა ჭრაქი, ნაცარი, ქეცი, ნაყოფის სიდამპლე, შავი კიბო, ვაშლისა და მსხლის ჟანგა.

მცენარეთა მავნებლები. ექსტრემალურ პირობებში შესაძლებელია მავნებლების მასობრივი გავრცელება. მათ შეუძლიათ მოსპონ რადიაციური ნივთიერებებით ან ბაქტერიული საშუალებებით დაზიანებას გადარჩენილი მოსავალი.

მწერები ნაკლებად მგრძნობიარენი არიან დასხივების მიმართ. მათ შეუძლიათ შეუფერხებლად გამრავლდნენ და გავრცელდნენ რადიაციის მაღალი ზონიდან სხვა მინდვრებზე.

ჩვეულებრივ პირობებში მწერებს დიდი რაოდენობით სპონენ ფრინველები. ომის პირობებში ფრინველთა დიდი ნაწილი ნადგურდება გამა-გამოსხივების ზემოქმედებით. ასე, რომ ბევრი მწერი გადაურჩება ფრინველებს. მავნებელთა გამრავლების შესაძლებლობას იძლევა სარეველა ბალახების გავრცელება. სარეველა ბალახს ნაკლები მოვლა ესაჭიროება, იგი უფრო მდგრადია არახელსაყრელი პირობებისადმი. სარეველა ბალახების გავრცელებასთან პრძოლის შემცირებისას, უფრო კარგად ვრცელდება სხვადასხვა ჯიშის მავნებლები.

6.8. თავდასხმის ჩვეულებრივი იარაღი

ტერმინი თავდასხმის ჩვეულებრივი იარაღი იხმარება მას შემდეგ, რაც შეიქმნა ბირთვული იარაღი, რომელსაც გაცილებით დიდი საბრძოლო თვისება გააჩნია.

თანამედროვე პირობებში ზოგიერთი ჩვეულებრივი იარაღი აღჭურვილია ტექნიკის უახლესი მიღწევებით და თავისი ეფექტიანობით უახლოვდება მასობრივი განადგურების იარაღს.

უკანასკნელ წლებში, თავდასხმის ჩვეულებრივი იარაღი გაუმჯობესდა ორი მიმართულებით: 1. აფეთქების ძალის გადიდებით ქიმიური ფეთქებადი ნივთიერებების განვითარების საფუძველზე; 2. საბრძოლო მასალებისა და მისი მიზნამდე მისატანი საშუალებების კონსტრუქციების გაუმჯობესებით.

1. **კუმულატური საშუალებები.** ამჟამად უმეტეს ჯავშანმხვრეტ საბრძოლო მასალებს გააჩნიათ კუმულატური მუხტი. მას უნარი აქვს გახვრიტოს 400 — 600 მმ სისქის ჯავშანი. ასეთი ჭურვი ჯავშანზე მოქმედებს არა თავისი კორპუსის, არამედ მსხვრევადი მუხტის აფეთქების ტალღის ძალით.

კუმულატური ჭურვის ასეთ მოქმედებას განაპირობებს მისი მოწყობის თავისებურება. საარტილერიო ჭურვის კორპუსში, ფოლადის კამერაში მოთავსებულია მსხვრევადი მუხტი რამდენიმე ფენად დაწნებილი ფეთქებადი ნივთიერებით. თითოეულ ფენას ცენტრში აქვს არხი. ეს არხები ერთად ქმნის ცენტრალურ მილს. ზედა ნაწილში მოთავსებულია ნახევარსფერული ან ელიფსური ფორმის სპეციალური (კუმულატური) ჩაღრმავება, ხოლო ქვედა ნაწილში მოთავსებულია მუხტი და ცენტრალური მილის ბოლოში — დეტონატორი. ჭურვის კორპუსი დაფარულია 2 მმ სისქის ფოლადით, ჩახრახნილია ელექტრომოქმედების მთავარი ამფეთქებელი. კუმულატური ჭურვი ჯავშანთან შეხებისას ფეთქდება და იწვევს ფეთქებადი ნივთიერების დეტონაციას, რომელიც მიმართულია მსხვრევადი მუხტის კუმულატური ძაბრის მიმართულებით.

სადეტონაციო ტალღა ამ ძაბრის ზედაპირზე მიმართულია მის მართობულად, ამიტომ მსხვრევადი მუხტის აირის ნაკადი არ გაიფანტება ყველა მიმართულებით, არამედ კონცენტრირდება, რის შედე-

გადაც წნევა, ტემპერატურა, სიმკვრივე და აირის ნაკადის სიჩქარე ალ-მოჩნდება ჩვეულებრივი ჭურვის აირის ნაკადზე გაცილებით მაღალი.

აირის ნაკადი ხვრეტს ჯავშანს, აღწევს ჯავშნიანი მანქანის შიგნით, იწვევს ეკიპაჟის დაზიანებას, ხანძარს, აფეთქებას, შეიარაღებისა და მოწყობილობის მოშლას. კუმულატური ჭურვის უპირატესობაა აგრეთვე ისიც, რომ მისგან ჯავშნის გახვრეტა არ არის დამოკიდებული სროლის სიშორეზე, გარდა ამისა, იგი უფრო იაფია და მარტივია გასაკეთებლად.

2. ბეტონმგრეველი ჭურვები. საპრძოლო მასალა გამოიყენება ქვისა და აგურის, აგრეთვე რკინა-ბეტონის დამცავი ნაგებობების დასანგრევად. ამ ჭურვის თავის ნაწილი გამსხვილებულია, ხოლო კორპუსი არის მაღალი ხარისხის, თერმულად დამუშავებული ფოლადი.

ბეტონზე ჭურვის მოქმედების ეფექტი დამოკიდებულია მის კინეტიკურ ენერგიაზე, მოხვედრის კუთხესა და თვითწინაღობაზე. ამ ფაქტორებთან დამოკიდებულებით ჭურვს შეუძლია გახვრიტოს წინაღობა, შეაღწიოს სიღრმეში და იქ აფეთქდეს. ბეტონმგრეველი ჭურვებით ნგრევა წარმოებს დარტყმისა და ფუგასური მოქმედების შეთანაწყობის შედეგად.

3. ცეცხლგამჩნი საშუალებები. თანამედროვე ტიპის ცეცხლგამჩნი საშუალებები იყოფიან სამ ჯგუფად: 1. ცეცხლნარევი ნავთობპროდუქტები (ნაპალმი), თეთრი ფოსფორი, პლასტიფიცირებული ფოსფორი; 2. ლითონიზებული ცეცხლგამჩნი ნარევი (პიროგელი); 3. თერმიტი და თერმიტული ნარევი.

ამ საშუალებებიდან ყველაზე გავრცელებულია ნაპალმი. იგი უელესმაგვარი წებოვანი ნივთიერებაა, რომელიც შედგება ბენზინისა და სხვადასხვა შემსქელებელი ნივთიერებისაგან. იგი კარგად ეკვრის სხვადასხვა ზედაპირს, წვის შედეგად გამოყოფს $1000 - 1200^{\circ} \text{C}$ ტემპერატურას. მას არა აქვს ამფეთქებელი. იგი იწვის ჰაერის უანგბადთან შეერთებით.

ნაპალმის თვითწვის უზრუნველსაყოფად მას ურევენ ნატრიუმსა და მაგნიუმს, ან ფოსფორს. იგი წყალზე მსუბუქია, ამიტომ წვისას ექცევა წყლის ზედაპირზე და ჰაერში გამოყოფს მომწამლავ გახურებულ ზოლს. გახურებისას აღწევს ხვრელებში, საფრებსა და ტექნიკის

შიგნით. დაუცველ კანზე 1.0 გრამის მოხვედრისას იწვევს მძიმე დაზიანებას.

4. ბურთულოვანი ბომბი წარმოადგენს ცილინდრულ კორპუსს, რომლის სიგრძეა 35 სმ, ხოლო დიამეტრი — 7.5 სმ. მისი კორპუსი გავსებულია ფეთქებადი ნივთიერებით. ბომბის კორპუსის კედელში მოთავსებულია 250 ცალი ლითონის ბურთულა მასით 0.7 — 1.0 გრამი, რომლებიც აფეთქებისას იფანტება 100 მ² ფართობზე. ერთი თვითმფრინავით ლია ადგილზე განლაგებული ცოცხალი ძალის დაზიანების ფართობი შეადგენს 10 ჰა-ს და უფრო მეტსაც. ბომბ-დამშენს შეუძლია გადაიტანოს კასეტებში ჩალაგებული 1000-მდე ცილინდრი.

5. კასეტური საბრძოლო მასალები უზრუნველყოფს ცოცხალი ძალის დაზიანებას ათეულ და ასეულ ჰექტარზე. თითოეულ კასეტაში შეიძლება იყოს რამდენიმე ცალიდან რამდენიმე ათასამდე ჭურვი. კასეტის გახსნისას ჭურვები გაიფანტება დიდ ფართობზე და ფეთქდება.

ბომბდამშენ „ფანტომ F-4“-ის ბორტზე თავსდება 11 კასეტა. მას შეუძლია შექმნას ცოცხალი ძალის დაზიანების ზონა დაახლოებით 1.5 კმ²-ზე. ბომბდამშენ B-52-ს შეუძლია კასეტური ჭურვის ნამსხვრევების გაფანტვა 8 კმ² ფართობზე.

ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკური რაკეტა „ლონსი“ შეიცავს 15 დამაზიანებელ ელემენტს. თითოეული მათგანი აღ-ჭურვილია კუმულატური ტიპის და ინფრანიტელი დამიზნების სისტემის მქონე ჯავშნმხვრეტი საბრძოლო მუხტით. კონსტრუქტორების გაანგარიშებით მას შეუძლია ერთდროულად დააზიანოს 15 ტანკი.

6. მოცულობითი აფეთქების საბრძოლო მასალებში გამოიყენება სხვადასხვა სახეობის თხევადი სათბობი..

მოცულობითი აფეთქების საავიაციო კასეტა **СВИ-55** შედგება სამი (თითოეული 100 კგ) კონტეინერისაგან. თითოეულ მათგანში არის დაახლოებით 35 კგ საწვავი ნარევი. ჭურვის ჩამოგდების შემდეგ კონტეინერები განცალკევდება და ეშვება დაბლა პარაშუტების საშუალებით. წინააღმდეგობის შეხვედრისას წარმოებს საწვავი ნარევის დანაწევრება და დედამიწიდან 2 — 3 მ სიმაღლეზე წარმოიქმნება 15 მ დიამეტრის აეროზოლური ღრუბელი. იგი ფეთქდება

და წარმოქმნის ჭარბ წნევას, რომელსაც შეუძლია დაანგრიოს უმტკიცესი საფარი.

7. მართვადი საავიაციო ჭურვი ერთ-ერთი პერსპექტიული საავიაციო ჭურვის სახეობაა. ჩვეულებრივ საავიაციო ჭურვთან შედარებით მას გააჩნია მოქმედების დიდი სიშორე და მოხვედრის მაღალი სიზუსტე.

მართვადი საავიაციო ჭურვი ამაღლებს ავიაციის მოქმედების ეფექტურობას. თვითდამიზნების სისტემის გამოყენებით საავიაციო საშუალებათა ხარჯი 100-ჯერ მცირდება. მისი ეფექტურობა იზრდება არასაკმარისი ხილვადობის დროს, განსაკუთრებით ლამის საათებში.

ტანკსანინააღმდეგო სარაკეტო ჭურვს „ხოლფაუერსი“, რომელიც განთავსებულია შვეულმფრენის უძრავ ფრთებზე, აქვს კომპლექსური საბრძოლო თვისების მქონე თვითდამიზნების სხვადასხვა სისტემა, რაც საშუალებას იძლევა იგი გამოყენებულ იქნეს ყოველგვარ ამინდში, დღე-დამის ნებისმიერ დროს. მას შეუძლია აღმოაჩინოს სამიზნე ლაზერის სხივების საშუალებით შვეულმფრენიდან 3 კმ მანძილზე.

7. მოსახლეობის დაცვა ექსტრემალურ პირობებში

თანამედროვე პირობებში მოსახლეობის დაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს: 1. სამოქალაქო თავდაცვის დაცვითი ნაგებობები; 2. ქალაქის მუშა-მოსამსახურების განცალკევება და მოსახლეობის ევაკუაცია უსაფრთხო ზონაში; 3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

7.1. სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის დაცვითი ნაგებობები

სამოქალაქო თავდაცვის (სთ) სამსახურის დაცვითი ნაგებობები იყოფა:

1. დანიშნულების მიხედვით — მართვის პუნქტის განლაგებისათვის და მოსახლეობის შესაფარებლად;
2. განლაგების მიხედვით — შენობის ქვეშ (სარდაფში) და ცალკე მდგარი;
3. მშენებლობის დროის მიხედვით — წინასწარ აშენებული და სწრაფმშენებარე;
4. დაცვითი თვისებების მიხედვით — თავშესაფრები, რადიაციის-აგან დაცვის საფრები და უმარტივესი ტიპის საფრები;
5. ტევადობის მიხედვით — მცირე (150-ზე ნაკლები ადამიანისათვის განკუთვნილი), საშუალო (150 — 450 ადამიანის ადგილით) და დიდი (450-ზე მეტი ადამიანისათვის განკუთვნილი).

7.1.1. თავშესაფარი

თავშესაფარი ეწოდება ჰერმეტული ტიპის ნაგებობას, რომელიც იცავს ადამიანებს ბირთვული აფეთქების ყველა დამაზიანებელი ფაქტორის, ქიმიური მომწამლავი ნივთიერებებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების ზემოქმედებისაგან. თავშესაფარში, რომელიც მოწყობილია მასიური ხანძრის წარმოშობის ზონაში, ან მეორეული

ქიმიური მოწამვლის კერაში (სამრეწველო ობიექტის დანგრევის შედეგად), გათვალისწინებულია აგრეთვე დაცვა მაღალი ტემპერატურისა და ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებებისაგან.

თავშესაფრად, შესაძლებელია გადავაკეთოთ მიწაში ჩაღრმავებული ნაგებობები (სარდაფები, სხვადასხვა გვირაბები), აგრეთვე მინისქვეშა სამუშაო ადგილები (მაღაროები).

თავშესაფარი ჩვეულებრივ შედგება ძირითადი შენობის, მფილტრავ-სავენტილაციო კამერის, შესასვლელი ტამბურისა და სანიტარულ-საყოფაცხოვრებო კვანძისაგან. თავშესაფარს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორი შესასვლელი და საავარიონ გამოსასვლელი. დიდი ტევადობის თავშესაფრებში შეიძლება გამოიყოს საკუჭნაო საკვები პროდუქტებისათვის და სამედიცინო ოთახი.

თავშესაფრის ძირითად სათავსში აკეთებენ ორ და სამ იარუსიან ტახტებს, რომელთა ქვედა იარუსი გამოიყენება როგორც დასაწოლად, ასევე დასაჯდომად, ხოლო ზედა იარუსები — მხოლოდ დასაწოლად.

მფილტრავ-სავენტილაციო კამერაში განლაგებულია სავენტილაციო დანადგარი. ამ დანადგარმა შესაძლებელია იმუშაოს ორ რეჟიმში: სუფთა ჰაერის მიწოდებისა და გამფილტრავ-ვენტილაციის რეჟიმში. მოქმედი სანიტარული ნორმების შესაბამისად თავშესაფარში ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა უნდა იყოს ზომიერი: ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 70 — 80%, ხოლო ტემპერატურა — 23 — 31° C.

თავშესაფარში მოწყობილი უნდა იყოს წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობისა და განათების სისტემები, აგრეთვე რადიომაუწყებლობისა და კავშირგაბმულობის საშუალებები.

გარდა ამისა, თითოეული თავშესაფარი აღჭურვილი უნდა იყოს რადიაციული და ქიმიური დაზვერვის ხელსაწყოებით, დამცავი ტანსაცმლით, დაზიანების ადგილების აღმიშვნელი ნიშნებით, სხვადასხვა ინვენტარით, სამედიცინო აფთიაქითა და საავარიო განათების საშუალებებით.

თავშესაფარში შეფარებულებმა განუხრელად უნდა შეასრულონ კომენდანტის ყველა მოთხოვნა და დაეხმარონ მას წესრიგის დამყარებაში. თავშესაფარში აკრძალულია ხმაური, თამბაქოს მოწევა, ას-

ანთის ანთება ნებართვის გარეშე, თავშესაფარში ადვილადაალებადი და მკვეთრი სუნის მქონე ნივთიერებების შეტანა, შინაური ცხოველების შეყვანა, ნარჩენების გადაყრა ნაგავსაყრელების გარდა, განსაკუთრებული საჭიროების გარეშე სიარული. მომსახურე რგოლის უფროსის ნებართვის გარეშე არ შეიძლება თავშესაფრის შიდამოწყობილობის მოქმედებაში მოყვანა. შეფარებულები ვალდებული არიან მზადყოფნაში იქონიონ ინდივიდუალური დაცვის საშუალებანი.

7.1.2. რადიაციის საწინააღმდეგო საფარი

რადიაციის საწინააღმდეგო საფარი ისეთი ნაგებობაა, რომელიც იცავს ადამიანებს ბირთვული აფეთქების რადიაქტიური და სინათლის გამოსხივებისაგან, აგრეთვე თხევადი მომწამლავი ნივთიერებებისაგან.

უმარტივესი ტიპის საფრები, მიწურები, თხრილები, სასილოსეო რმოები, მიწისქვეშა გვირაბები, გადასასვლელები და სხვა ჩაღრმავებული ადგილები მოკლე დროის განმავლობაში შეიძლება აშენდეს ან გადაკეთდეს ადამიანების შესაფარებლად. ისინი მნიშვნელოვნად შეამცირებენ მასობრივი განადგურების იარაღის დამაზიანებელ მოქმედებას.

საფარს, ჩვეულებრივ აგებენ წინასწარ, მშვიდობიანობის დროს. იგი შეიძლება მოეწყოს სამეურნეო ობიექტის გადაკეთების გზით. კერძო სახლებში რეკომენდებულია მოეწყოს საფარი 5 — 10 ადამიანისათვის, ხოლო ეკონომიკის ობიექტების საჭიროებისათვის ეწყობა საფარი 50 და უფრო მეტი ადამიანისათვის.

საფარში სასურველია მოეწყოს სანიტარული კვანძი, სავენტილაციო კამერა და სათავსი დაბინძურებული ტანსაცმლისათვის. საფარში აკეთებენ ორ შესასვლელს ზომით 80×180 სმ². რეკომენდებულია შესასვლელები განთავსდეს 30° -იანი კუთხის დახრით, ერთმანეთის საწინააღმდეგო მხარეს. შესასლელებს უნდა ჰქონდეს ჩვეულებრივი კარი, რომელსაც ჩარჩოების მხარეს ამჭიდროებენ, საფარის დაცვით რეჟიმზე გადაყვანისას. ასევე საჭიროა მჭიდროდ

იხურებოდეს საფარის სახურავი და იგი უნდა უძლებდეს დამატებით დატვირთვას.

მშვიდობიანობისა და საბრძოლო მოქმედებების წარმოების დროს საფარების უსაფრთხო ექსპლუატაციის მოთხოვნების შესაბამისად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ვენტილაცია, გათბობა, წყალმომარაგება, კანალიზაცია და განათება. გარდა ამისა, საფარში ეწყობა ტახტები დასასვენებლად, თავშეფარებულთა საერთო რაოდენობის 25 — 30%-სათვის.

საფარების დამცავი მახასიათებლების ამაღლება ხდება კედლის, გადახურვის, კარის სისქის მომატებით, ფანჯრებისა და სხვა ღიობების ამოშენებით. აუცილებელია თავშესაფარი სათავსების ჰერმეტულობის გაზრდა, რისთვისაც საჭიროა ამოიქოლოს ყველა ნაპრალი, ბზარი, ნახვრეტი ჭერზე, კედლებსა და ფანჯრებზე. გარდა ამისა, საჭიროა კარზე შიგნიდან ამოეკრას ქეჩა, რუბეროიდი, ლინოლეუმი ან სხვა მტკიცე მასალა, ხოლო კარის ნაპირების გასწვრივ, მთელ პერიმეტრზე მაგრდება ფორმვანი რეზინი.

რადიაციის საწინააღმდეგო საფარების დამცავუნარიანობას განსაზღვრავს საფარის მიერ რადიაციის დონის შემცირების კოეფიციენტი, რომლის სიდიდე დამოკიდებულია მასალის სიმკვრივესა და სისქეზე, აგრეთვე გამა-გამოსხივების ენერგიის დონეზე.

რადიაციისაგან თავდაცვისას კარგ შედეგს იძლევა მრავალსართულიანი შენობების სარდაფების გადაკეთება საფრად. ამავე მიზნით შესაძლებელია საფარი მოვაწყოთ გადახურული თხრილის, მინურის, ფიჩის კონისა და სასილოსე ორმოს სახით.

გადახურული თხრილი არის უმარტივესი რადიაციის საწინააღმდეგო ხელოვნურად მოწყობილი საფარი. მას უფრო ხშირად აშენებენ ისეთ ტერიტორიაზე, რომელსაც არ ემუქრება შენობის ნანგრევებით ჩახერგვა — ხევებში, დაუსახლებელ ადგილებში, მოედნებზე და სხვა ტრიალ ადგილებში.

მისი მოწყობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ამოსასვლელები ორი მხრიდან, რომლებიც უნდა იყოს განლაგებული ურთიერთსაპირისპირო მხარეს. თხრილი შეიძლება მოეწყოს რამდენიმე ათეული ადამიანისათვის. მისი გვერდების გასამაგრებლად გამოიყენება ფიცარი, წნული, მორები, შპალები, რკინა-ბეტონის კონ-

სტრუქციები, აგრეთვე სახელდახელო მასალები. თხრილს გადახურავენ, ზევიდან დასხავენ 20 სმ სისქის ტალახს, შემდეგ კი აყრიან 80 სმ სისქის გრუნტს. თხრილში ჩასასვლელად მოწყობილია საფეხურები. თხრილის გასანიავებლად მიწაყრილის მოწყობისას მასში ჩააყოლებენ 3 მ სიმაღლის ჰაერის ამომქაჩავ მიღს, რომელსაც ზევიდან დაფარებული აქვს სახურავი. მიღს ქვედა მხრიდან მოწყობილი აქვს სპეციალური სახურავი, რომელიც რადიაქტიური ნივთიერებების ცვენისას და ქარის ქროლვის დროს, რეკომენდებულია დაიხუროს 2 — 3 საათის განმავლობაში. თხრილის იატაკზე ეწყობა წყალსაწრეტი ჭა. თხრილის მთელ სიგრძეზე, კედლის ერთ მხარეს მოწყობილია დასაჯდომი სკამები და გამოყოფილია ადგილი სასმელი წყლის კასრის დასადგმელად.

სასოფლო-სამურნეო ობიექტებზე ეწყობა უფრო საიმედო რადიაციის საწინაღო საფარი — მიწური. მასში ადამიანებს შეუძლიათ უფრო დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ თავშეფარებულები. მიწურის კედლებსა და გადახურვას აკეთებენ მორების, შპალების, ფიცრების, აგურის ან სხვა რომელიმე მასალისაგან. მიწურის მოწყობის დროს ჯერ გაჰყავთ თხრილი საგანით 2 მ, სიმაღლით 2 მ, ხოლო სიგრძით არანაკლები 3 მ. თხრილის ძირზე მოწყობილია დრენაჟი. მიწურის გადახურვისათვის იყენებენ 18 სმ დიამეტრის მორებს, რომელსაც ზევიდან აყრიან 80 სმ სისქის მიწის ფენას. ჰიდროიზოლაციის მიზნით სახურავსა და კედლებს შორის ყრიან 20 — 25 სმ სისქის თიხას, შეიძლება გამოვიყენოთ ტოლი, რუბეროიდი და სხვა საიზოლაციო საშუალება.

მიწურში ჩასასვლელად მოწყობილია საფეხურები. მიწურში მოწყობილია გათბობა, გამოსატანი ტუალეტი და ავზი სასმელი წყლით. შესასვლელთან მოწყობილია ორმაგი ჰერმეტული კარი. კედლის გასწვრივ მოწყობილია ორიარუსიანი მოსასვენებელი ტახტები.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ თხრილები, მიწურები და სასილოსე ორმოები, რომლებიც გადახურულია 1 მ სისქის მიწის ფენით, რადიაციის დონეს 1000-ჯერ ამცირებს. ხის შენობის კედლები ამცირებენ რადიაქტიურ გამოსხივებას მხოლოდ 2 — 3-ჯერ. მათი დაცვის ხარისხის გაძლიერებისათვის, უპირველეს ყოვლისა, გაამაგრებენ კედლებს. ამისათვის კედლიდან 40 — 50 სმ დაშორებით,

კედლის მთელ სიმაღლეზე აყენებენ ლასტების ან ფიცრის ფარებს, ხოლო მათსა და სახლის კედლებს შორის სივრცეს ამოავსებენ გრუნტით. თუ ამის გაკეთება რთული ან შეუძლებელია, მაშინ კედელი გამაგრდება გრუნტის უბრალოდ მიყრით. მრავალსართულიან შენობებში რადიაციის საწინაღო საფარის მოწყობა ყველაზე ეფექტურია შენობის შიდა სივრცეში. ამ მიზნით ამოაშენებენ ფანჯრის ღიობებს, ამოქოლავენ სხვადასხვა ბზარებსა და ხვრელებს, პერმეტიზაციას უკეთებენ შენობის კარს, ამაგრებენ გადახურვას და წესრიგში მოჰყავთ ვერტილაცია.

სოფლებში თითქმის ყველა სახლის ქვეშ არის სარდაფი, რომელიც ამცირებს რადიაციის დონეს 6 — 8-ჯერ. სარდაფის დამცავი შესაძლებლობის გაზრდა შესაძლებელია ფანჯრების საჰერმეტიზაციო სამუშაოების ჩატარებითა და სარდაფის ზედაპირის მთელ ფართზე 25 სმ სისქის გრუნტის დაყრით. ამ შემთხვევაში სარდაფი რადიაციის დონეს შეამცირებს 100-ჯერ.

რადიაციის საწინაღო საფარში ადამიანების ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნისას, მთავარია უზრუნველყოფით საფარში სუფთა ჰაერის შეუფერხებელი მიწოდება, რადგან ჰაერში ნახშირის ღიოქსიდის შემცველობა, ჰაერის ტემპერატურა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ასეთ ნაგებობებში მატულობს, ხოლო ხანგრძლივი სუნთქვის დროს ჰაერში ნახშირის ღიოქსიდის 2%-ზე მაღალი შემცველობა ძალზედ საშიშია ადამიანისათვის.

7.2. ქალაქებიდან მუშა-მოსამსახურეების განცალკევება და მოსახლეობის ევაკუაცია უსაფრთხო ზონაში

ექსტრემალურ პირობებში მოსახლეობის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ქალაქის მუშა მოსამსახურეებისა და მოსახლეობის განცალკევება, ევაკუაცია ქალაქებით, უსაფრთხო ზონაში და სოფლის რაიონებში.

განცალკევება — არის საწარმოთა იმ მუშა-მოსამსახურეების ქალაქებით, უსაფრთხო ზონაში გაყვანა და განთავსება, რომლებიც

საომარი მოქმედებების გამო წყვეტენ მუშაობას, იმ მუშა-მოსამსახურეებისაგან, რომლებიც ომის პირობებში განაგრძობენ მუშაობას ქალაქში.

ევაკუაცია — წარმოადგენს იმ ობიექტების მუშებისა და მოსამსახურეების ორგანიზებულ გაყვანას, რომლებიც წყვეტენ ქალაქში მუშაობას ან აგრძელებენ მუშაობას ქალაქგარეთ უსაფრთხო ზონაში, აგრეთვე წარმოებაში დაუსაქმებელი მოსახლეობის ქალაქგარეთ უსაფრთხო რაიონებში ორგანიზებულ გაყვანას.

მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების ევაკუაცია ხორციელდება საწარმოო პრინციპის მიხედვით, ე.ი. ეწყობა და ტარდება ეკონომიკის ობიექტების ხაზით. მოსახლეობის იმ ნაწილის ევაკუაცია, რომელსაც კავშირი არა აქვს წარმოებასთან, ხორციელდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ბავშვების ევაკუაცია ჩვეულებრივ ხდება მშობლებთან ერთად, მაგრამ მათი ევაკუაცია შეიძლება მოხდეს სკოლებსა და საბავშვო ბაღებთან ერთად.

მოსახლეობის განცალკევებისა და ევაკუაციის უშუალოდ ჩასატარებლად საევაკუაციო კომისიების ხელმძღვანელობით იქმნება საევაკუაციო პუნქტები სკოლებში, კლუბებში და საწარმოების სიახლოეს განლაგებულ სხვა საზოგადოებრივ შენობებში.

შემკრებ საევაკუაციო პუნქტში მისული მოსახლეობა გაივლის რეგისტრაციას და შემდეგ ნაწილდება ტრანსპორტის ხაზებზე, ეშელონებად და ავტოკოლონებად, ხოლო ქალაქიდან ფეხით გამსვლელები — კოლონებად.

თითოეულ წარმოებას, დაწესებულებას და უმაღლეს სასწავლებელს, რომელთა მუშა-მოსამსახურეები ექვემდებარებიან განცალკევებას ან ევაკუაციას, ქალაქგარეთ, უსაფრთხო ზონაში გამოყოფათ რაიონი განთავსებისათვის.

განცალკევებასა და ევაკუაციას ხელმძღვანელობს ქვეყნის, რეგიონის, რაიონისა და ქალაქის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი და ამ სამსახურის შტაბი. ამ სამუშაოს უშუალო შემსრულებლები არიან სპეციალურად შექმნილი საევაკუაციო კომისია, წარმოება-დაწესებულებების ან სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელები.

ევაკუირებული მოსახლეობის მიღება-დაბინავებისათვის იქმნება

მიმღები საევაკუაციო კომისიები და პუნქტები.

ევაკუირებული მოსახლეობის ფეხით გადაადგილების დროს ინ-იშნება მოძრაობის მარშრუტი, საწყისი და საბოლოო პუნქტები, რე-გულირების პუნქტი, დასვენების ადგილი, საჭიროებისამებრ ევაკუაციის შუალედური პუნქტი, სამედიცინო დახმარებისა და გასათბობი პუნქტები; მოსახლეობის ტრანსპორტით გადაყვანის დროს ტრანსპორტში ჩასხდომისა და ტრანსპორტიდან გადმოსხ-დომის პუნქტები განისაზღვრება მოძრაობის მარშრუტის შესაბამისად.

ფეხით ევაკუირებულთა მოძრაობის მარშრუტი განისაზღვრება წინასწარ. მოწინააღმდეგის თავდასხმის საშიშროების შემთხვევაში მარშრუტი ეწყობა საინჟინრო თვალსაზრისით. რეგულირების პუნ-ქტი ეწყობა კოლონის მოძრაობის მარშრუტზე გადაადგილების წინასწარ შემუშავებული გრაფიკის შესრულების მიზნით.

კოლონის მოძრაობა იგეგმება სადღედამისო გასავლელი მან-ძილის შესაბამისად, ნგრევის ზონიდან დროულად გამოსასვლელად. ევაკუირებულთა დასასვენებლად გათვალისწინებულია მოკლევადიანი შესვენება (10 — 15 წთ), ყოველი 1 — 1.5 სთ-ის მოძრაობის შემდეგ და დიდი შესვენება (1 — 2 სთ), სადღედამისო გადასვლის მეორე ნახევრის დაწყებისას, როგორც წესი, ძლიერი ნგრევის ზონიდან გამოსვლის შემდეგ.

ფეხით ევაკუირებული მოსახლეობისათვის, რომელთა ევაკუაციის ბოლო პუნქტი ძალიან მოშორებულია ევაკუაციის საწყისი პუნქტი-დან, ეწყობა ევაკუაციის შუალედური პუნქტი, დასახლებულ პუნქტში, მოსალოდნელი ნგრევის ზონის გარეთ, სამოძრაო გზის ახლოს, რათა გაადვილდეს მათი გადაყვანა შუალედური პუნქტიდან შემდეგ უკვე ტრანსპორტით.

ავადმყოფთათვის სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად ევაკუა-ციის მარშრუტზე აწყობენ სამედიცინო პუნქტს.

მიმღები საევაკუაციო პუნქტების მოვალეობაა ქალაქიდან ევაკუი-რებული მოსახლეობის დახვედრა და მათი განაწილება ახალ საცხ-ოვრებელ ადგილებზე, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და დასაბინავებლად ორგანიზე-ბულად გაგზავნა.

ევაკუირებულები ვალდებულები არიან ზუსტად შეასრულონ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობის ყველა მითითება და განუხრელად დაცვან მოქმედების დადგენილი წესები.

ევაკუირებული მოსახლეობის მომარაგება სურსათითა და პირველადი მოთხოვნილების აუცილებელი საგნებით ევალება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელობას.

7.3. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები ადამიანებს იცავს რადიაციური და ქიმიური მომნამღავი ნივთიერებებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებებისაგან.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებები იყოფა სასუნთქი ორგანოებისა და კანის დაცვის საშუალებებად. მათ მიეკუთვნება აგრეთვე სამედიცინო ინდივიდუალური პროფილაქტიკური საშუალებები.

7.3.1. სასუნთქი ორგანოების დაცვის საშუალებები

სასუნთქი ორგანოების დაცვის პრინციპის მიხედვით ინდივიდუალური დაცვის საშუალება შეიძლება იყოს მფილტრავი და მაიზოლირებელი.

სასუნთქი ორგანოების, თვალებისა და სახის რადიაციური და მომნამღავი ნივთიერებებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებებისაგან დაცვის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა მფილტრავი აირ-ნინალი. მათი მოქმედების პრინციპი დამყარებულია ჩასასუნთქი ჰაერის გაფილტვრის მეთოდზე, რისთვისაც აირწინალის კოლოფის შიდა ფენაში მოთავსებულია გააქტიურებული ნახშირი და კვამლსაწინალო ფილტრი.

ნახშირის დიოქსიდისაგან დასაცავად გამოიყენება გოპკალიტური ვაზნა, რომელიც არის ცილინდრული კოლოფი. იგი აღჭურვილია

საშრობითა და გოპკალიტით. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ჰაერის ჟანგბადით ნახშირის ოქსიდის დაუანგვას ნახშირის დიოქსიდამდე; საშრობი გაუღენთილია ქლოროვანი კალციუმით, იგი გოპკალიტურ ვაზნაში გამავალი ჰაერიდან შთანთქავს წყლის ორთქლს. გოპკალიტი დამცავ თვისებებს ინარჩუნებს მხოლოდ ორი საათის განმავლობაში, რადგან მისი მასის 20 გრამითა და უფრო მეტით მომატებისას, გოპკალიტის გამოყენება ტენის შთანთქმისათვის არ შეიძლება.

აირწინალების შერჩევა აუცილებელია მოვახდინოთ ნილბის სახ-ეზე კარგად მორგებით, რათა გარემოს ჰაერმა არ იმოქმედოს მაშველის კანსა და სასუნთქ ორგანოებზე.

მაიზოლირებელი აირწინალების მოქმედების პრინციპი დამყარებულია სამაშველო სამუშაოებში მონაწილე პირების სასუნთქი ორგანოების სრულ იზოლაციაზე გარემოს ჰაერისაგან და სუნთქვისათვის სპეციალურ ბალონში წნევის ქვეშ მყოფი კუმშული ჟანგბადის გამოყენებაზე.

მაიზოლირებელი აირწინალები გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

1. სასუნთქ ჰაერში მავნე ნივთიერებების არსებობისას;
2. ჰაერში ჟანგბადის არასაკმარისი რაოდენობით არსებობის დროს;
3. წყალქვეშა სამუშაოების წარმოებისას;
4. მიწისქვეშა ავარიების ლიკვიდაციის დროს.

გარდა აირწინალებისა, რადიაქტიური ნივთიერებებისაგან სასუნთქი ორგანოების დასაცავად გამოიყენება რესპირატორები. იგი მფილტრავი ნახევარნილაბია, ორი ჩასასუნთქი და ერთი ამოსასუნთქი სარქვლით, ცხვირის მომჭერითა და ელასტიკური და გაუჭიმავი თასმებით. რესპირატორის ფორმვან მასალასა და შიდა აფსკს შორის მოთავსებულია პოლიმერული ბოჭკოს ფილტრი.

სამაშველო სამუშაოებში მონაწილისათვის შერჩეული რესპირატორი საჭიროა მჭიდროდ იყოს მიკრული სახეზე და უზრუნველყოფებს სრულ ჰერმეტულობას.

რადიაქტიური დაბინძურების კერაში რესპირატორის გამოყენების შემდეგ საჭიროა მას ჩაუტარდეს დეზაქტივაცია, რისთვისაც საჭიროა პირველ რიგში მას გარედან მოშორდეს რადიაქტიური

მტვერი, ხოლო შიგნიდან გაიწმინდოს სველი ტამპონით. ამის შემდეგ რესპირატორი უნდა მოვათავსოთ სპეციალურ პაკეტში და შევინახოთ.

მტვერსაწინააღმდეგო ქსოვილის ნიღბით თავისი აგებულობით უბრალოა და შეიძლება დამზადდეს ყველა ოჯახში. მისი დანიშნულებაა სასუნთქეი ორგანოებისა და თვალების დაცვა რადიაქტიური ნივთიერებების ზემოქმედებისაგან. ნიღბის კორპუსი წარმოადგენს 4 — 5 ფენა ქსოვილს. ადამიანის თვალების პირდაპირ ქსოვილის ფენები ამოჭრილია და მასში ჩასმულია მინა. ნიღაბს სახეზე იმაგრებენ ქსოვილის თასმების საშუალებით.

ნიღბის ზედა ფენად გამოყენებულია მარლა (დოლბანდი) ან მიტკალი, ხოლო შიდა ფენად — მაუდი, ბამბაზია ან შალის ქსოვილი.

ნიღაბს იკეთებენ რადიაქტიური მტვრისაგან მოსალოდნელი დაბინძურების შემთხვევაში. დაბინძურების კერიდან გამოსვლის შემდეგ, პირველი შესაძლებლობისთანავე საჭიროა ნიღაბს ჩაუტაროთ დეზაქტივაცია.

ბამბა-დოლბანდის სახვევი მზადდება დოლბანდის 100×50 სმ² ზომის ნაჭრისაგან. მასზე ათავსებენ 1 — 2 სმ სისქის, 30 სმ სიგრძისა და 20 სმ სიგანის ბამბის ფენას. შემდეგ დოლბანდს გადაკეცავენ ორივე გრძელი მხრიდან ბამბის ფენაზე და მოჭრიან 30 — 35 სმ სიგრძის ბოლოებს ისე, რომ გამოვიდეს ორი წყვილი შესაკრავი. აუცილებლობის შემთხვევაში შესახვევით ფარავენ პირსა და ცხვირს, ზედა ნაწილს ამაგრებენ კეფაზე, ხოლო ქვედას — საჭოჩრეზე. ცხვირის ორივე მხარეს, ვიწრო ზოლზე მჭიდროდ ჩააფენენ ბამბას. თვალების დასაცავად იყენებენ მტვერსაწინააღმო სათვალეებს.

რადიაქტიური ნივთიერებებით მოწამლულ ტერიტორიაზე მოხვედრისას, თუ არა გვაქვს სასუნთქეი ორგანოების დამცავი საშუალებები, საჭიროა წყალში დავასველოთ ჩვარი, მჭიდროდ მივიდოთ ცხვირზე და მხოლოდ ცხვირით ვისუნთქოთ.

უნივერსალური დამცავი ვაზნა არის ქიმიური მომწამლავი ნივთიერებებისაგან სასუნთქეი ორგანოების დამცავი საშუალება. იგი ეფექტურად იცავს ადამიანს ნახშირის ოქსიდების, აზოტმჟავას, ფოსგენის, ნახშირწყალბადების, ორგანული მჟავების, ქლორწყალბადე-

ბის, სპირტებისა და სხვა მომწამლავი ნივთიერებებისაგან.

აღნიშნული დამცავი ვაზნა გამოიყენება მფილტრავი აირწინალის ნიღაბთან ერთად კომპლექტში. იგი შედგება ვაზნის, აეროზოლსან-ინალო ფილტრის, შემაერთებელი მილისა და ჩანთისაგან. ვაზნა ალ-ჭურვილია ორმაგი ხრახნის მქონე მისაერთებელი ყელით, რომელთაგან გარე ხრახნი განკუთვნილია მისაერთებელი მილის ჩასახრახნად, ხოლო შიდა ხრახნი — მფილტრავ-მშთანთქმელი კოლოფის მისახრახნად.

ვაზნის დამცავი მოქმედების ხანგრძლივობა სხვადასხვაა და დამოკიდებულია მოქმედი ქიმიური ნივთიერების სახეობაზე.

7.3.2. კანის დაცვის საშუალებები

კანის დამცავი საშუალებები თავისი დანიშნულებისა და მოწყობის მიხედვით შეიძლება იყოს სპეციალური (ტაბელური) და სახელდახელო.

კანის დაცვის სპეციალური საშუალებები იცავენ ადამიანებს ბაქტერიოლოგიური საშუალებების, ქიმიური ნივთიერებების წვეთებისა და ორთქლის, ალფა ნანილაკების ზემოქმედებისაგან და ასუსტებს სინათლის გამოსხივების ზემოქმედებას. მოქმედების პრინციპის მიხედვით აღნიშნული დამცავი საშუალება შეიძლება იყოს მაიზოლირებელი ან მფილტრავი.

კანის დამცავი მაიზოლირებელი საშუალება ჩვეულებრივ მზადდება რეზინ-ჟლენთილი ქსოვილისაგან. იგი გამოიყენება დასნებოვნებულ რაიონებში ადამიანების ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყოფნისას და მას ძირითადად იყენებენ სამაშველო სამსახურის ფორმირებების პირადი შემადგენლობის დასაცავად.

კანის დამცავ მფილტრავ საშუალებებს ჩვეულებრივ ამზადებენ ბამპეულის ტანსაცმელისა და საცვლების სახით. ისინი გაუღენთილია სპეციალური ქიმიური ნივთიერებებით. ასეთ საშუალებად შეიძლება ჩავთვალოთ ჩვეულებრივი ტანსაცმელი, რომელიც იქლინთება სპეციალური პასტით ან საპონ-ზეთოვანი ემულსიით.

ყველაზე გავრცელებული კანის დამცავი სპეციალური (ტაბელური) საშუალებებია მსუბუქი დამცავი კოსტუმი და დამცავი კომ-

ბინიზონი. ისინი იკერება რეზინ-ურენთილი ქსოვილისაგან. მათი გა-მოყენება აუცილებელია კანის დასაცავად ძლიერი დასწრებოვნების პირობებში სამაშველო-აღდგენითი სამუშაოების შესრულებისას.

კანის დაცვის სახელდახელო საშუალებები გამოიყენება ტა-ბელური საშუალებების უქონლობისას. მათ მიეკუთვნება ჩვეულე-ბრივი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. რეზინ-ულენთილი ქსოვილისაგან დამზადებული ლაბადა, ტყავის ან უხეში მაუდის პალტო კარგად იცავს კანს რადიაქტიური მტვრისა და ბაქტერიოლოგიური საშუალე-ბებისაგან. მათ შეუძლიათ დაიცვან კანი თხევადი მომწამლავი ნივთიერებებისაგან 5 — 10 წუთის, ხოლო ბამბის ტანსაცმელი — 40 — 50 წუთის განმავლობაში. ფეხების დასაცავად რეკომენდებულია რეზინის მაღალყელიანი ფეხსაცმელების, ხელების დასაცავად — რეზინის ან ტყავის ხელთათმანების, ხოლო თავისა და კისრის დასაცავად — კაპიუშონის გამოყენება.

სპეციალური გამუდენთებით დამუშავებული ჩვეულებრივი ტან-საცმელი იცავს აგრეთვე მომწამლავი ქიმიური ნივთიერებების ორ-თქლისაგანაც.

7.3.3. ინდივიდუალური სამედიცინო პროფილაქტიკური საშუალებები

მიღებული საკვების ან სასმელი წყლის საშუალებით ადამიანის ორგანიზმში რადიაქტიური ნივთიერებების მოხვედრისას პირველი დახმარებაა რადიაქტიური ნივთიერებების მოშორება ადამიანის კუჭიდან. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი პრეპარატის გამო-ყენებით კუჭის ამორეცხვა.

ინდივიდუალური აფთიაქი შეიცავს რადიაციის, ქიმიური მომ-ნამლავი ნივთიერებებისა და ბაქტერიული საშუალებების საწინააღ-მდეგო და სხვა პროფილაქტიკურ, აგრეთვე პირველადი დახმარების საშუალებებს.

ინდივიდუალური აფთიაქის № 1 ბუდეში მოთავსებულია ტკი-ვილგამაყუჩებელი საშუალება შპრიც-ტუბიკში. იგი გამოიყენება მო-ტყხილობის, ღრმა ჭრილობისა და დამწერობის დროს. მისი

გამოყენება შესაძლებელია როგორც შიშველ რბილ ქსოვილში, ასევე ტანსაცმელში გატარებითაც (სასწრაფო შემთხვევაში).

№ 2 მრგვალ, ნითელი ფერის ბუდეში მოთავსებულია ფოს-ფორმრგანული ნივთიერებებით მოწამვლის თავიდან ასაცილებელი საშუალება. პრეპარატის მიღებისთანავე უნდა ჩამოვიცვათ აირ-ნინალი. პრეპარატის მეორედ მიღება რეკომენდებულია 5 — 6 საათის გასვლის შემდეგ.

№ 3 ბუდეში, დიდ მრგვალ საკალმეში მოთავსებულია ბაქტერი-ოლოგიური დაზიანების საწინააღმდეგო № 2 საშუალება (სულ-ფადიმეტოქსინი — 15 აბი). იგი გამოიყენება კუჭ-ნაწლავის აშლილობისას, რომელიც ხშირად აღინიშნება დასხივების შემდეგ. პირველ დღე-ღამეში ღებულობენ 7 აბს ერთ მიღებაზე, ხოლო შემდეგ — ორ დღე-ღამეში 4 — 4 აბს.

№ 4 ბუდეში, ორ რვაწახნაგა ვარდისფერ საკალმეში (6 — 6 აბი თითოეულში) მოთავსებულია რადიაციის საწინააღმდეგო № 1 საშუალება (ცისტამინი). ამ პრეპარატს ღებულობენ დასხივების საშიშროებისას — 6 აბს პირველი მიღების დროს (ერთ მიღებაზე). მეორედ, პირველი მიღებიდან 4 — 5 საათის გასვლის შემდეგ, კიდევ რეკომენდებულია 6 აბის მიღება.

№ 5 ბუდეში, ორ ოთხწახნაგა ბუდეში მოთავსებულია ბაქტერი-ოლოგიური დაზიანების საწინააღმდეგო № 1 საშუალება (ქლორტეტრაციკლინ ჰიდროქლორიდი). იგი მიიღება უშუალოდ ინფექციური დავადების საშიშროების წარმოქმნისას და მისი წარმოშობის შემთხვევაშიც, აგრეთვე დაჭრისა და ძლიერი დამწვრობისას. ჯერ მიიღება ერთი ბუდიდან 5 აბი ერთად (წყლის დაყოლებით), ხოლო 6 საათის გასვლის შემდეგ მეორე ბუდიდან — 5 აბი ერთად.

№ 6 ბუდეში, ოთხწახნაგა თეთრი ფერის საკალმეში, მოთავსებულია რადიაციის საწინააღმდეგო № 2 საშუალება (იოდოვანი კალიუმი — 10 აბი). იგი მიიღება რადიაქტიური ნალექის ჩამოცვენის შემდეგ, თითო აბი ყოველდღე 10 დღის განმავლობაში, განსაკუთრებით მაშინ თუ საჭმელში გამოყენებულია ახალი რძე. პრეპარატს აძლევენ განსაკუთრებით ბავშვებს.

№ 7 ბუდეში, ცისფერ მრგვალ საკალმეში, მოთავსებულია ღებინების საწინააღმდეგო საშუალება (ეტაპერაზინი — 5 აბი). იგი მი-

იღება დასხივებისთანავე, აგრეთვე თავის დაზიანების შემთხვევაში, გულისრევისას რეკომენდებულია მივიღოთ 1 აბი.

ყველა აღნიშვნული პრეპარატი 8 წლამდე ასაკის ბავშვმა ერთ მიღებაზე უნდა მიიღოს $1/4$ აბი, ხოლო 8-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვმა — $1/2$ აბი.

ინდივიდუალური ქიმისანინაღო პაკეტი გამოიყენება ტანსაცმლის, აგრეთვე ტანის შიშველ ნაწილებზე მოხვედრილი მომწამლავი ნივთიერებების გაუსწოვოვნებისათვის. მის კომპლექტში შედის ბოთლი სადეგაზაციო ხსნარითა და ჰერმეტულ პაკეტში მოთავსებული 4 ცალი ბამბა-დოლბანდის ტამპონი.

ტანის შიშველ ნაწილსა და ტანსაცმელზე თხევადი მომწამლავი ნივთიერებების მოხვედრისას, აუცილებელია სადეგაზაციო ხსნარით კარგად დავასველოთ ტამპონი და გავიწმინდოთ კანის დასწრებოვნებული ადგილები და კანის შიშველ ნაწილებთან ახლოს მდებარე ტანსაცმლის ნაწილები. დამუშავების დროს შეიძლება წარმოიშვას წვის შეგრძნება, მაგრამ იგი მაღალი გაივლის და არ მოქმედებს ადამიანის შრომისუნარიანობაზე. სადეგაზაციო ხსნარი შხამიანია და საშიშია მისი მოხვედრა თვალში.

ინდივიდუალური ქიმისანინაღმდეგო პაკეტის უქონლობისას, ტამპონის ნაცვლად შესაძლებელია გამოვიყენოთ ჩვეულებრივი დოლბანდი ბამბასთან ერთად. სადეგაზაციო ხსნარი შესაძლებელია დამზადდეს გამოყენების წინ, რისთვისაც ერთმანეთში უნდა შეურიოთ წყალბადის ზეჟანგის $3\%-იანი$ ხსნარი და მწვავე ნატრიუმის აგრეთვე $3\%-იანი$ ხსნარი თანაბარი რაოდენობით. მწვავე ნატრიუმის მაგივრად შესაძლებელია გამოვიყენოთ წყალბადის ზეჟანგის $3\%-იანი$ 1.0 ლ ხსნარში გახსნილი 150 გრამი საკანცელარიო სილიკატური ნებო. ამავე მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ ნიშადურის სპირტი. ასეთი ხსნარები გამოიყენება ისევე, როგორც ინდივიდუალური ქიმისანინაღმდეგო პაკეტის სადეგაზაციო ხსნარი.

დაზიანების (დასწრებოვნების) კერიდან გამოსვლის შემდეგ ადამიანები აუცილებლად გადის სრულ სანიტარულ დამუშავებას, ხოლო მის ტანსაცმელს, ფეხსაცმელსა და დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს უტარდება დეგაზაცია და დეზაქტივაცია.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ო. მდივნიშვილი, ო ტაველიშვილი, თ. მელქაძე. საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა. გამომც. მერიდიანი, თბილისი, 2001.
2. ა. კლდიაშვილი. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაცვა მასობრივი დაზიანების იარაღისაგან. თბილისი, 1984.
3. 6. მაჭავარიანი, ა. ნევეროვი, მ. ჯიქია. საგანგებო სიტუაციები. სტუ ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008.
4. Аварии и катастрофы. Предупреждение и ликвидация последствий. Изд. Ассоциации строительных ВУЗ-ов, М., 1995.
5. Гражданская оборона. Под редакцией Е.П.Шубина, М., 1991.

შინაარსი

შესავალი.....	3
1. საგანგებო სიტუაციების მართვის საფუძვლები.....	6
1.1. საგანგებო სიტუაციების მართვისა და სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები	6
1.2. საგანგებო სიტუაციების კლასიფიკაცია.....	6
2. ბუნებრივი ხასიათის სტიქიური უბედურებები	8
2.1. სტიქიური უბედურებების, საწარმოო ავარიებისა და კატასტროფების სახეობები	8
2.2. სტიქიური უბედურებების, საწარმოო ავარიებისა და კატასტროფების შედეგების ლიკვიდაცია.....	9
2.3. მიწისძვრები და მათი წარმოშობის მიზეზები	11
2.4. მიწისძვრის პროგნოზირება.....	16
2.5. მიწისძვრები საქართველოში	19
2.6. მიწისძვრის სახეობები	20
2.7. მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	21
2.8. ლანდშაფტური ხანძრის სახეები.....	23
2.9. ტყისა და ტორფის ხანძრები	24
2.10. ლანდშაფტური ხანძრების სალიკვიდაციო ღონისძიებები	25
2.11. გრიგალი, ქარიშხალი, ქარბორბალა და მათი მოქმედების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	27
2.12. წყალდიდობა, ღვარცოფი, მეწყერი, ნიადაგის ეროზია და მათი შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები.....	30
3. ბიოლოგიურ-სოციალური საგანგებო სიტუაციები	34
3.1. ეპიდემია, ეპიზოტოპია და ეპიფიტოტიკია	34
4. ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციები	37
4.1. საწარმოო ავარიები და კატასტროფები	37
4.2. შენობა-ნაგებობების ჩავარდნა და ჩამორეცხვა	39
4.3. აფეთქებები	39
4.4. ხანძრები	41
4.5. ავარიები ენერგოსისტემის, საინჟინრო და ტექნოლოგიურ ქსელებში	44
4.6. ავარიები სატრანსპორტო კომუნიკაციებზე	45
4.7. მავნე ნივთიერებების გაუონვა და გარემოს დაბინძურება	48
4.8. რადიაქტიური დაბინძურება	53
4.9. ჰიდროდინამიკური ავარიები	58

5.	საწარმოო ავარიებისა და სტიქიური უბედურებების შედეგების	
	ლიკვიდაცია	60
5.1.	დაზიანების კერებისა და დანგრეულ ნაგებობათა კლასიფიკაცია	
	და დახასიათება	60
5.2.	ნაგებობების შესაძლო დაზიანებათა ძირითადი სახეები.....	61
5.3.	ავარიებისა და სტიქიური უბედურებების სალიკვიდაციოდ	
	გამოყენებული ძალები, საშუალებები და მექანიზმები.....	62
5.4.	მაშველი და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარების	
	ტაქტიკური ხერხები და თანამიმდევრობა.....	65
6.	ექსტრემალური ხასიათის საგანგებო სიტუაციები	70
6.1.	ზოგადი ცნობები	70
6.2.	პიროვული იარაღი	70
6.3.	სხივური დაავადება	77
6.4.	რადიაქტიკური ნივთიერების მოქმედება მცენარეებზე,	
	სურსათსა და წყალზე	79
6.5.	ქიმიური იარაღი	80
6.6.	ქიმიური მომწამლავი ნივთიერებების კლასიფიკაცია	82
6.7.	ბაქტერიოლოგიური იარაღი.....	86
6.7.1.	ადამიანებისა და ცხოველების დაავადების ბაქტერიოლოგიური	
	საშუალებები	87
6.7.2.	მცენარეთა გასანადგურებელი ბაქტერიოლოგიური საშუალებები	89
6.8.	თავდასხმის ჩვეულებრივი იარაღი	91
7.	მოსახლეობის დაცვა ექსტრემალურ პირობებში	95
7.1.	სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის დაცვითი ნაგებობები.....	95
7.1.1.	თავშესაფარი	95
7.1.2.	რადიაციის საწინააღმდეგო საფარი	97
7.2.	ქალაქებიდან მუშა-მოსამსახურების განცალკევება და	
	მოსახლეობის ევაკუაცია უსაფრთხო ზონაში	100
7.3.	ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.....	103
7.3.1.	სასუნთქი ორგანოების დაცვის საშუალებები	103
7.3.2.	კანის დაცვის საშუალებები	106
7.3.3.	ინდივიდუალური სამედიცინო პროფილაქტიკური საშუალებები	107
	ლიტერატურა.....	110

რედაქტორი ნ. დოლიძე

გადაეცა წარმოებას 19.03.2010. ზელმოწერილია დასაბუჭიდად
23.03.2010. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნატეჭდი თამახი 7.
ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი,
კოსტავას 77

